სისხლის სამართალი

ზოგადი და კერძო ნაწილები

სისხლის სამართლის პროცესი

კერძო ნაწილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/court-decisions/

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2020, №10-12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2020, №10-12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2020, №10-12

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2020, №10-12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

რუსუდან ჭანტურიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის დანიშვნა

სასჯელის დამძიმება 4

2. პირობითი მსჯავრი

მოვალეობის დაკისრება 12; 15

პირობითი მსჯავრის გაუქმება 19

კერძო ნაწილი

1. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ

დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ 46

განზრახ მკვლელობა 46

ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა 69

2. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით 80

სისხლის სამართლის პროცესი

კერძო ნაწილი

1. საკასაციო განაჩენი

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და პირის დამნაშავედ ცნობა

საქართველოს სსკ-ის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილით 95

განაჩენში ცვლილების შეტანა და პირის უდანაშაულოდ ცნობა ქურდობისა და ძარცვის ბრალდების ნაწილებში 102

2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის უცვლელად დატოვება 114; 120; 126; 139; 147

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენში ცვლილების შეტანა კანონის უკუძალითი გამოყენების უფლების დარღვევისათვის 154

ექსტრადიცია 163; 172; 182; 191

სისხლის სამართალი
ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის დანიშვნა
სასჯელის დამძიმება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№574ას-20 22 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ პაატა ცეცხლაძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენი გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა პაატა ცეცხლაძემ, რომელიც ითხოვს განაჩენის შეცვლასა და მ. ბ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ სასჯელის ნაწილში განაჩენი არის უკანონო, რადგან სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მ. ბ-ს ბრალად ედებოდა განზრახი, ოჯახური დანაშაულის ჩადენა; იგი წარსულში არაერთხელ არის ნასამართლევი სხვადასხვა განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 5 ივლისის განაჩენით იგი მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ახალი დანაშაულის ჩადენის დროს მისი ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ყოფილა; სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას უგულებელყო კანონით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნები იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარეს პირველი ინსტანციის სასამართლოში არ მიუ-

თითებია მსჯავრდებულისათვის რეციდივის წესითა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის თაობაზე, რაც, კასატორის მითითებით, არ ათავისუფლებს სასამართლოს კანონიერი სასჯელის განსაზღვრის ვალდებულებისაგან.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ივნისის განაჩენით მ. ბ., – დაბადებული ...., – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,151-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც აეთვალა 2019 წლის 11 მარტიდან.

3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ბ-მ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, რაც გამოიხატა შემდეგში:

– 2019 წლის 15 თებერვალს ... ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე, მ. ბ. სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრა რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს – დ. დ-ს, რომელსაც გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ივნისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა პაატა ცეცხლაძემ, რომელიც ითხოვდა განაჩენის შეცვლასა და მ. ბ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიიჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეში წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა (დაზარალებულ დ. დ-ს, მოწმეების – ნ. ი-სა და ზ. ბ-ს გამოკითხვის ოქმები, შეტყობინებების დათვალიერების ოქმები, შემაკავებელი ორდერი და მისი ოქმი, ქორწინების რეგისტრაციის აქტი), რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ მ. ბ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებუ-

ლი განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

3. რაც შეეხება მსჯავრდებულ მ. ბ-სათვის განსაზღვრულ სასჯელს, საკასაციო სასამართლომ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნევს, რომ შეფარდებულ სასჯელს არ აქვს კანონიერი გამართლება შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, მ. ბ-სათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახით შეეფარდებინა – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ვინაიდან უგულებელყოფილია სისხლის სამართლის საქმის მასალებით უტყუარად დადგენილი პასუხისმგებლობის აშკარა დამამძიმებელი გარემოებები და კანონისმიერი არაერთი იმპერატიული დანაწესი.

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,151-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლითაც მსჯავრი დაედო მ. ბ-ს, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

6. სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებელს არ მიუთითებია მსჯავრდებულის მიმართ არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 5 ივლისის აღუსრულებელ განაჩენსა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესზე, შემდგომში იმავე საკითხზე, მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისით, გასაჩივრება უსაფუძვლოა, ხოლო სააპელაციო სასამართლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ამ საკითხზე.

7. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში არ მიიღო, ერთი მხრივ, რეციდივის შემთხვევაში, ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახური დანაშაულის ჩადენისას სასჯელის განსაზღვრის სავალდებულო წესები, გასცდა მისთვის კანონით მინიჭებულ დისკრეციის ფარგლებს და მ. ბ-ს კანონით დადგენილ ზღვარზე ნაკლები სასჯელი შეუფარდა შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას, ხოლო ამავე კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე – დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

9. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებში არ იყო გამოკვეთილი მ. ბ-სათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმზე უფრო ნაკლები სასჯელის – 6 თვით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების წინაპირობები, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ნასამართლობაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, აგრეთვე ამავე კოდექსის 55-ე მუხლით (სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება) ან 63-ე მუხლის პირველი ნაწილით (თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად) გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია: მ. ბ-ს, რომელიც დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 5 ივლისის განაჩენით ნასამართლევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238^1-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის და ახალი დანაშაულის ჩადენის დროს – 2019 წლის 15 თებერვალს მას ნასამართლობა კანონით დადგენილი წესით მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონია, ნაცვლად 6 თვით თავისუფლების აღკვეთისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე, უნდა შეფარდებოდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ვინაიდან საქარ-

თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზომა არის – 1 წელი.

11. საყურადღებოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მ. ბ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები (მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის აღიარება და გულწრფელი სინანული) და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. ბ-ს პირველი ინსტანციის სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,151-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციით დაწესებული მინიმალური სასჯელი განუსაზღვრა, რომლის გამკაცრების საფუძველი არ არსებობდა.

12. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას და მიუთითებს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11^1 მუხლის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133^1-ე, 133^2-ე, 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144^3-ე, 149-ე-151^1-ე, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255^1-ე, 381^1-ე და 381^2-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით.

13. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2018 წლის 14 დეკემბრიდან მოქმედი რედაქცია) 53^1-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია, რომ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

14. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები არც ამ შემთხვევაში იყვნენ უფლებამოსილნი, მ. ბ-სათვის დაენიშნათ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმზე უფრო ნაკლები სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღ-

კვეთა, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, აგრეთვე ამავე კოდექსის 55-ე მუხლით (სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება) ან 63-ე მუხლის პირველი ნაწილით (თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად) გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენის დროს სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესი. განსახილველ შემთხვევაში გამოკვეთილი არ ყოფილა არცერთი ზემოაღნიშნული წინაპირობა.

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: სადავოდ არ გამხდარა და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმაც უპირობოდ დადგენილად მიიჩნიეს, რომ მ. ბ-მ დანაშაული ჩაიდინა ოჯახის წევრის მიმართ, რაზეც მიუთითებს მისი ქმედების დამატებით მე-11[1] მუხლით კვალიფიკაცია, რაც იყო ცალსახა წინაპირობა იმისა, რომ ნაცვლად 6 თვით თავისუფლების აღკვეთისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე, მას უნდა შეფარდებოდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზომა არის – 1 წელი.

16. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებელს არ მიუთითებია მსჯავრდებულის მიმართ არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 5 ივლისის აღუსრულებელ განაჩენსა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესზე და სააპელაციო სასამართლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ვერ იმსჯელებდა განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის განსაზღვრაზე.

17. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის ამგვარი ინტერპრეტაცია დასაშვებია, თუ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო არ გასცდება მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციის ფარგლებს და არ დაარღვევს კანონის იმპერატიულ დანაწესს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს, ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს. ამდენად, კანონი სასამართლოს დისკრეციის სფეროს მიაკუთვნებს იმ საკითხს, საბოლოო სასჯელის განსაზღვრის რომელი წესი გამოიყენოს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მაგრამ კანონის იმგვარი განმარტება, რომ, თითქოსდა, სასამართლო თავისი მიხედულებით წყვეტს, განსაზღვროს თუ არა საბოლოო სასჯელი განაჩენთა ერთობლიობის დროს, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით აშკარად დასტურდება აღუსრულებელი განაჩენის არსებობა, არ არის მართებული.

18. სადავოდ არ გამხდარა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 5 ივლისის განაჩენით მ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო საჯელად განესაზღვრა – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 1000 ლარი. დადგენილია, რომ მ. ბ. პენიტენციური დაწესებულებიდან სასჯელის მოხდით გათავისუფლდა 2019 წლის 4 იანვარს, თუმცა განაჩენით დაკისრებული ჯარიმა – 1000 ლარი აღუსრულებელია.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ პაატა ცეცხლაძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენი უნდა შეიცვალოს და მ. ბ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა შეეფარდოს კანონიერი სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საბოლოო სასჯელი განესაზღვროს განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, რაც სრულად შეესაბამება სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემობებს და უზრუნველყოფს მის მიზნებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ პაატა ცეცხლაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მ. ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^{1},151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 5 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი ჯარიმა – 1000 ლარი და საბოლოოდ განესაზღვროს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. მ. ბ-ს სასჯელის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის მიღების დღიდან; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. პირობითი მსჯავრი

მოვალეობის დაკისრება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№475ას-20 1 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნაზი მირიანაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 6 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის განაჩენით გ. ნ-ი, – დაბადებული ... წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 11[1],151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და გ. ნ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით სასჯელის ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა სსკ-ის 63-ე მუხლის გამოყენებით ჩაეთვალა პირობით მსჯავრად და ამავე კოდექსის 64-ე მუხლის გამოყენებით გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2019 წლის 5 ივლისიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2018-2019 წლების განმავლობაში ...-ის რაიონის სოფელ ...-ში, სახლში ყოფნის დროს, მთვრალი გ. ნ-ი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, რადგან არ მოსწონდა, რომ მისი მეუღლე ნ. წ-ი იყო მისგან განსხვავებული რელიგიის მიმდევარი, იეჰოვას მოწმე, თავიანთი არასრულწლოვანი შვილების – 17 წლის ლ. ნ-ისა და 15 წლის თ. წ-ის

თანდასწრებით, სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რაც იწვევდა ნ. წ-ის ფსიქოლოგიურ ტანჯვას.

2019 წლის 9 ივნისს, საღამოს საათებში, ...-ის რაიონის სოფელ ...-ში, სახლში ყოფნის დროს, მთვრალმა გ. ნ-მა მეუღლეს – ნ. წ-ს ეჭვიანობის გამო მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრა, რომ დანა ჰქონდა და მოკლავდა, რა დროსაც ნ. წ-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ, რომელიც საჩივრით ითხოვდა გ. ნ-ის მიმართ უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 6 თებერვლის განაჩენით მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი ნაზი მირიანაშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გ. ნ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ პროკურორ ნაზი მირიანაშვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა გ. ნ-მა ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

3. სასამართლო არ იზიარებს სახელმწიფო ბრალმდებლის მოთხოვნას პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მსჯავრდებულმა გ. ნ-მა გულწრფელად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, სადავოდ არ გაუხდია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, დაზარალებულთან კონფლიქტი აღმოფხვრილია და მეუღლეები შერიგდნენ, რის გამოც სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენება.

4. იმავდროულად სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულის ჩა-

დენის მოტივს, ხასიათს, ქმედების ჩადენას არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, ასევე იმ გარემოებას, რომ ოჯახში ძალადობას განსაკუთრებით მძიმე შედეგები გააჩნია ბავშვის ფსიქიკასა და ნორმალურ განვითარებაზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვი მოწმე ხდება ძალადობრივი გამოვლინებებისა ოჯახში, რაც ართმევს მას უსაფრთხოების განცდას. შესაბამისად, სოციალურად ჯანმრთელ, ძალადობისაგან თავისუფალ, უსაფრთხო და ღირსეულ გარემოში განვითარების უფლების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, გ. ნ-ს დაეკისროს საქართველოს სსკ-ის 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა – პირობითი მსჯავრის დროს გაიაროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნაზი მირიანაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 6 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. მსჯავრდებულ გ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 65-ე მუხლის საფუძველზე დაეკისროს შემდეგი მოვალეობები: გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი და გაიაროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლებისა და „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლისა და დახმარების განხორციელება დაევალოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

4. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოვალეობის დაკისრება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№479ას-20 10 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნაზი მირიანაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 5 დეკემბრის განაჩენით დ. ზ-ე, – დაბადებული ... წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2019 წლის 16 აგვისტოს ეპიზოდი) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 11[1],151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 126[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2019 წლის 13 მაისის ეპიზოდი) – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, ჩაეთვალა პირობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ დ. ზ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, ჩაეთვალა პირობით და ამავე კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი.

დ. ზ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზში. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2019 წლის 17 აგვისტოდან იმავე წლის 5 დეკემბრის ჩათვლით.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2019 წლის 16 აგვისტოს, დაახლოებით 16:00 საათზე, ...-ის რაიონის სოფელ ...ში,

სახლში ყოფნის დროს, დ. ზ-მ, როდესაც ნახა, რომ მეუღლეს მ. ე-ს ავტომანქანაში ჰქონდა ჩანთები ჩაწყობილი და აპირებდა მისგან წასვლას, დაუწყო ჩხუბი და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, სახის არეში დაარტყა ხელი, შემდეგ დააგდო დივანზე და სახეში დაარტყა მუშტები, თან იჭერდა და არ აძლევდა ადგომის საშუალებას. წინააღმდეგობის დროს მ. ე-მ შემთხვევით ფეხი მიარტყა მაგიდას, რაც გატყდა, რის გამოც დ. ზ-ე კიდევ უფრო გაბრაზდა და როდესაც მ. ე-ა ადგა, მან ხელი ჰკრა და თავი მიარტყმევინა კედელს, რის გამოც წაიქცა, შემდეგ კი წაქცეულ მეუღლეს ფეხი ჩაარტყა ლოყაში. დ. ზ-მ აიღო მაგიდის გატეხილი ფიცარი და მ. ე-ს დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით. აღნიშნული ძალადობის შედეგად მ. ე-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2019 წლის 16 აგვისტოს, დაახლოებით 16:00 საათზე, ...-ის რაიონის სოფელ ...-ში, სახლში ყოფნის დროს, დ. ზ-მ, როდესაც ნახა, რომ მეუღლეს – მ. ე-ს ავტომანქანაში ჰქონდა ჩანთები ჩაწყობილი და აპირებდა მისგან წასვლას, დაუწყო ჩხუბი და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, სახის არეში დაარტყა ხელი, შემდეგ დააგდო დივანზე და სახეში დაარტყა მუშტები, თან იჭერდა და არ აძლევდა ადგომის საშუალებას. წინააღმდეგობის დროს მ. ე-მ შემთხვევით ფეხი მიარტყა მაგიდას, რაც გატყდა, რის გამოც დ. ზ-ე კიდევ უფრო გაბრაზდა და როდესაც მ. ე-ა ადგა, მან ხელი ჰკრა და თავი მიარტყმევინა კედელს, რის გამოც წაიქცა, შემდეგ კი წაქცეულ მეუღლეს ფეხი ჩაარტყა ლოყაში. დ. ზ-მ აიღო მაგიდის გატეხილი ფიცარი და მ. ე-ს დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით. აღნიშნული ძალადობის შედეგად მ. ე-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2019 წლის 13 მაისს ქალაქ ...-ში, ...-ის დასახლებაში, მე-. მ/რ-ის მე-. კვარტლის კორპუს ...-ში მდებარე მ. ე-ს საცხოვრებელ ბინა ...-ში დ. ზ-ს შელაპარაკება მოუხდა მეუღლე მ. ე-თან, რა დროსაც მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მ. ე-ს, კერძოდ, რამდენჯერმე დაარტყა მუშტი სახის არეში, ასევე თმა მოქაჩა ძლიერად, დააგდო იატაკზე და ასევე ურტყამდა მუშტებს სახის არეში. დ. ზ-ის ძალადობის შედეგად მ. ე-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ, რომელიც საჩივრით ითხოვდა დ. ზ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას თავისუფლების აღკვეთის სახით პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განაჩენით მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 5 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი ნაზი მირიანაშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: დ. ზ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ პროკურორ ნაზი მირიანაშვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა დ. ზ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

3. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს პროკურორის მოთხოვნას მსჯავრდებულ დ. ზ-სათვის შეფარდებული სასჯელის გამკაცრების თაობაზე. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ითვალისწინებს, რომ მსჯავრდებულმა დ. ზ-მ გულწრფელად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, წარსულში ნასამართლეობის არმქონეა, სადავოდ არ გაუხდია მტკიცებულებები.

4. სასამართლო ითვალისწინებს რომ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო მხედველობაში იღებს დ. ზ-ის მიმართ შერაცხული ქმედების ძალადობრივ ხასიათს, სისხლის სამართლის კანონით დაცული ობიექტის მნიშვნელობას, იმას რომ ჩადენილია ოჯახური დანაშაული, რაც გულისხმობს დანაშაულის ჩადენას იმ სივრცეში, სადაც დაზარალებული თავს უნდა გრძნობდეს ყველაზე დაცულად და უსაფრთხოდ, ოჯახური ურთიერთობებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას, იმ გარემოებას, რომ დ. ზ-ს და დაზარალებულს ჰყავთ საერთო მცირეწლოვანი შვილები, არასრუწლოვნებთან დ. ზ-ის ურთიერთობისას არასრუწლოვნებისთვის თავისუფალ და ღირსებულ პირობებში ფიზიკური, გონებრივი, მორალური და სულიერი განვითარების ფუნდამენტური უფლების უზრუნველყოფის ვალდებუ-

ლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია, დ. ზ-ს დაეკისროს საქართველოს სსკ-ის 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა – პირობითი მსჯავრის დროს გაიაროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნაზი მირიანაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. მსჯავრდებულ დ. ზ-ს საქართველოს სსკ-ის 65-ე მუხლის საფუძველზე დაეკისროს შემდეგი მოვალეობები: გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე, არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი და გაიაროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლებისა და „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლისა და დახმარების განხორციელება დაევალოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

4. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არგასაჩივრდება.

პიროგითი მსჯავრის გაუქმება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№504ას-20 21 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ჩ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ღ-ასა და გ. ლ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 12 ივლისის განაჩენით კ. ჩ-ე, – დ-ს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და დანაშაულთა ერთობლიობით მას მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა კ. ჩ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 31 მაისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვლილი აქვს პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, კ. ჩ-ის მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა, შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ბრალდებულ კ. ჩ-ეს, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2018 წლის 27 დეკემბრიდან.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2018 წლის 20 დეკემბერს დაახლოებით 18:15 საათზე, კ. ჩ-ე ცეცხლსასროლი იარაღითა და ცულებით შეიარაღებულ, გამოძიებით დაუდგენელ სამ პირთან ერთად, ჯგუფურად თავს დაესხა და უკანონოდ შეაღწია ქ. ...-ი, ... კვარტლის მიმდებარედ არსებულ სს „...-ის“ ექსპრეს ფილიალში. მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს უსაფრთხოების თანამშრომელ ვ. მ-ს და მოლარე-ოპერატორ ნ. მ-ეს, იარაღის დემონსტრირებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით დაემუქრნენ მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელ ს. გ-ს, უსაფრთხოების თანამშრომელ ვ. მ-ს, მოლარე-ოპერატორ ნ. მ-ეს და სალაროდან გაიტაცეს დიდი ოდენობით თანხა – 31 301.21 ლარი და ე.წ. „ცხელი ფული“ (ფულის კუპიურების შეკვრის იმიტაცია-მულაჟი), ღირებული 1400.1 ლარად. ზემოაღნიშნული ქმედების შედეგად სს „...-ს“ მიადგა 32 701,31 ლარის დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი, ვ. მ-ს და ნ. მ-ეს – ფიზიკური და მორალური სახის ზიანი, ხოლო ს. გ-ს – მორალური ზიანი.

კ. ჩ-ემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა – ქარხნული წესით დამზადებული, 1951 წლის ნიმუშის, მაკაროვის კონსტრუქციის 9 მმ კალიბრიანი პისტოლეტის საშტატო ნიმუში „ПМ“ (საიდენტიფიკაციო ნომრით ...) და აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღისათვის განკუთვნილი 13 ცალი 9 მმ კალიბრიანი ვაზნა, რომელთაც 2018 წლის 27 დეკემბერს ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ქ. ...-ი, ვ-ში.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ, რომელიც საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 12 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებულ კ. ჩ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატები – მ. ღ-ა და გ. ლ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და კ. ჩ-ის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო კასატორთა მოთხოვნას მსჯავრდებულ კ. ჩ-ის უდანაშაულოდ ცნობისა და მისი გამართლების თაობაზე არ ეთანხმება, რადგან წარმოდგენილ საქმის მასალებში საამისოდ არ მოიპოვება კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი. ამასთან, 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებში ჩამოყალიბებული დასკვნები ინკრიმინირებულ ქმედებებში მისი ბრალეულობის თაობაზე, სავსებით აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რასაც ადასტურებს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ:

3. დაზარალებულის წარმომადგენლის – დ. გ-ის ჩვენების თანახმად, კ. ჩ-ის და მისი თანხმლები პირების ყაჩაღური თავდასხმის შედეგად, ჯამში სს „...-ს“ მიადგა 33 092.42 ლარის ზიანი. მისი განცხადებით, კ. ჩ-ემ და მისმა თანხმლებმა პირებმა სს „...-ის“ ექსპრეს ფილიალიდან ფულადი თანხა წაიღეს, კერძოდ: 13 012.2 ლარი, 3 380 ევრო და 3 010 აშშ დოლარი, დააზიანეს ასევე ბანკის შემოსასვლელი კარი, რომლის ღირებულება არის 391 ლარი, ასევე თავდამსხმელებმა წაიღეს ე.წ. „ცხელი ფული“, რომლის ღირებულება შეადგენს 1400.10 ლარს.

4. დაზარალებულ ვ. მ-ის განცხადებით ის მუშაობს სს „...-ის“ ექსპრეს ფილიალში, დაცვის თანამშრომლის პოზიციაზე, რომელიც მდებარეობს ....-ში ... კვარტალში. 2018 წლის 20 დეკემბერს დაახლოებით 18:00 საათზე ასრულებდა სამსახურეობრივ მოვალეობას, ფილიალის მენეჯერმა ს. გ-მა დაასრულა სამუშაო, რომელსაც თანხა უნდა გადაებარებინა მოლარესთვის – ნ. მ-ისთვის. ს. გ-მა მას სთხოვა შიდა მინის კარის დაკეტვა, რომელიც გააღო, როდესაც თანხის გადაბარება დასრულდა. ვ. მ-ის განცხადებით, რამდენიმე წამში გაიგონა მტვრევის ხმა, ჩაიმტვრა ბანკის ფილიალში შემოსასვლელი კარის მინა, რა დროსაც ბანკში შევარდა ოთხი თავდამსხმელი, რომლებიც იყვნენ მუქ ტანისამოსებში შემოსილი, სახეზე ეკეთათ ნიღბები, ხელში მომარჯვებული ჰქონდათ ნაჯახები და ცეცხლსასროლი იარაღები, კერძოდ, ორი პიროვნება შეიარაღებული იყო პისტოლეტით და ერთი ავტომატით, ასევე თავდამსხმელებს ჰქონდათ ორი სპორტული ჩანთა, ერთი შავი ფერის ელვა შესაკრავით, ხოლო მეორე ლურჯი ფერის მართკუთხედი ფორმის. ვ. მ-ის განმარტებით, მან დააჭირა ხელი დაცვის სამსახურის საგანგებო ღილაკს, რა დროსაც მასთან მივარდა ორი თავდამსხმელი, რომლიდანაც ერთ-ერთმა ბლაგვი რკინის საგანი ჩაარტყა სახეში და მოუწოდა ძირს დაწოლისკენ. ერთ-ერთი თავდამსხმელი დარჩა მასთან,

ხოლო მეორე მივიდა ნ. მ-ესთან. ვ. მ-ს ვიზუალური კონტაქტი დაკარგული ჰქონდა, ვინაიდან ის ჩაიმუხლა და ვერ ხედავდა თუ რა ხდებოდა დარბაზში, მას მხოლოდ თავდამსხმელების მოწოდებები ესმოდა, რომლებიც ითხოვდნენ ფულს. თავდამსხმელებს სიმშვიდისკენ მოუწოდებდა მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი ს. გ-ი, რა დროსაც გარეთ მყოფმა თავდამსხმელმა დაიყვირა „დროზე, მოდიან“, ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ნ. მ-ეს ხელი დაარტყა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილი თავდამსხმელებმა დატოვეს. ვ. მ-ის განმარტებით, როგორც შემდეგ მისთვის ცნობილი გახდა თავდამსხმელებმა შეძლეს თანხის წაღება. ვ. მ-ის განმარტებით, ბანკზე განხორციელებული ყაჩაღობისას მას მიადგა ფიზიკური და მორალური ზიანი.

5. დაზარალებულმა ს. გ-მა განაცხადა, რომ მუშაობს ქ. ...ში ... კვარტალში მდებარე სს „...-ის“ ექსპრეს ფილიალში მენეჯერის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე. 2018 წლის 20 დეკემბერს, 18 საათზე, ემზადებოდა სამსახურიდან წასასვლელად და თანხა უნდა გადაებარებინა მოლარისთვის, რა დროსაც დაცვის თანამშრომელმა ვ. მ-მა დაკეტა სალაროს სივრცის მინის კარები, რომელიც გახსნა თანხის გადაბარების შემდეგ. ს. გ-ი გავიდა გამოსაცვლელ ოთახში, რა დროსაც გაიგონა მინის მსხვრევის ხმა, გამოვიდა გარეთ და დაინახა ფილიალში ოთხი პირი იყო შემოსული, სახეზე ნიღბებით, ხელზე ხელთათმანებით, თავზე კაპიშონით, ერთს ხელში ეკავა ცული, ერთს ავტომატი, მხარზე გადაკიდებული ჰქონდათ სპორტული ჩანთები, მოლარე ნ. მ-ესთან იდგა ორი პირი, ერთი პირი იდგა ვ. მ-თან, რომელიც ძირს დააწვინეს, ერთი პირი იდგა ფილიალის სივრცეში და ხელში ეკავა პისტოლეტი. ისინი ითხოვდნენ ფულს, თავად გამოაღეს სალარო და წაიღეს ბანკის კუთვნილი თანხა, ასევე წაიღეს სალაროში დადებული ე.წ. ცხელი ფული, ე.წ. ფულის შეკვრის იმიტაცია, რომელიც ბანკის გარეთ ტერიტორიაზე იხსნება და ღებავს ფულის კუპიურებს. თანხის ჩალაგების შემდეგ ამ პირებმა დატოვეს ბანკის ტერიტორია. აღნიშნული ქმედებით ს. გ-მა მიიღო მორალური ზიანი.

6. ანალოგიური შინაარსის ჩვენებები მისცეს სასამართლოს სს „...-ის“ ექსპრეს ფილიალის კონსულტანტმა მოწმე მ. ძ-მა.

7. მოწმე ნ. ქ-მა განაცხადა, რომ 2018 წლის 20 დეკემბერს, როგორც სს „...-ის“ მომხმარებელი იმყოფებოდა ...-ის ექსპრეს ფილიალში, როდესაც დაცვის თანამშრომელმა განაცხადა, რომ გადაბარება დამთავრებული იყო, გაიგონა კარის შემტვრევის ხმა, რა დროსაც ბანკში შეიჭრნენ თავდამსხმელები, რომლებსაც ნიღბები ეკეთათ და ბანკის თანამშრომლებისგან მოითხოვდნენ ფულს. თავდამსხმელები შეიარაღებული იყვნენ იარაღებით და ნაჯახებით,

მათ ასევე ჰქონდათ სპორტული სტილის მუქი ფერის ჩანთა. ნ. ქ-მა დაინახა, რომ დაცვის თანამშრომელი ეგდო ძირს და თავის არედან მოსდიოდა სისხლი.

8. მოწმეებმა ც. თ-მა და ქ. რ-მა დაადასტურეს, რომ ისინი დაუკავშირდნენ საპატრულო პოლიციას, რომელსაც შეატყობინეს მომხდარი ყაჩაღობის შესახებ.

9. მოწმე ზ. ზ-ამ დაადასტურა, რომ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, იმის თაობაზე, თუ რა ა/მანქანით იყვნენ დამნაშავეები მისულნი სს „...-ის“ ...-ის ექსპრეს ფილიალთან და რომელი ა/მანქანით დატოვეს შემთხვევის ადგილი. ინფორმაციის თანახმად, დამნაშავეები გადაადგილდებოდნენ ა/მანქანა „ტოიოტა აქვათი“, რომელიც ეკუთვნოდა თ. ლ-ეს.

10. მოწმე გ. ფ-მა დაადასტურა, რომ 2018 წლის 25 დეკემბერს მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, სს „...-ის“ ...-ის ექსპრეს ფილიალის დამყაჩაღებელი კ. ჩ-ე, 2018 წლის 20 დეკემბერს, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ა/მანქანა „ტოიოტა აქვათი“ გადაადგილდებოდა ...-ის ქუჩის გზაზე, შემდეგ გაემართა ჯ. ლ-ას ქუჩისკენ, საიდანაც გზა განაგრძო ... კვარტალში და გაიარა რესტორნის მიმდებარედ. გ. ფ-მა ასევე დაადასტურა, რომ 2018 წლის 26 დეკემბერს მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ კ. ჩ-ე იმყოფებოდა ჯ-ის ქუჩაზე და კ-ის ქუჩაზე, რომელსაც თან უნდა ჰქონოდა ყაჩაღური გზით დაუფლებული ფულადი თანხა. ინფორმაციის თანახმად, კ. ჩ-ე საცხოვრებელ ბინაში ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღს და ყაჩაღური გზით დაუფლებულ ფულად თანხას, ასევე ფულად თანხას ინახავდა მისი მეუღლის მშობლების საცხოვრებელ სახლში და მისი მეგობრის ნ. ქ-ის სახლში. მან მიღებული ოპერატიული ინფორმაციები პატაკის საფუძველზე აცნობა ხელმძღვანელობას.

11. მოწმე თ. ლ-ემ განაცხადა, რომ საკუთრებაში ჰყავს ა/მანქანა „ტოიოტა აქვა“, რომელსაც დღიურად აქირავებს. 2018 წლის 20 დეკემბერს დაუკავშირდა კ. ჩ-ე, რომელსაც სურდა ა/მანქანის დაქირავება ერთი დღით. ერთმანეთს შეხვდნენ დაახლოებით 13:00-14:00 საათზე, ...-ის გადასახვევთან, პოლიციის შენობასთან, კ. ჩ-ესთან ერთად იმყოფებოდა მისი მეუღლე ა-ი. თ. ლ-ე ა/მანქანის გაქირავებისას კლიენტს სთხოვდა პირადობის დამადასტურებელ მოწმობას. ვინაიდან კ. ჩ-ეს არ ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, მისი მეუღლის ა-ის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა აჩვენა, რომელსაც თ. ლ-მა მობილური ტელეფონის მეშვეობით ფოტო გადაუღო. შემდეგ კ. ჩ-ემ თ. ლ-ეს გადასცა 60 ლარის ოდენობის თანხა, სანაცვლოდ კი თ. ლ-ემ სუფთა მდგომარეობაში მყოფი „ტოიოტა აქვა“ ერთი დღით მიაქირავა კ. ჩ-ეს. ისი-

ნი შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს, იმავე დროს შეხვდებოდნენ ერთმანეთს და ა/მანქანას გადასცემდა. მეორე დღეს დაუკავშირდა კ. ჩ-ე, რომელსაც თავდაპირველად სურდა კვლავ ერთი დღით ა/მანქანის ქირაობის გაგრძელება, მაგრამ შემდეგ უარი განაცხადა, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ...-ის დასახლებაში, მაღაზია „ნ-თან“. თ. ლ-ის განცხადებით, როდესაც კ. ჩ-ემ ა/მანქანა მიუყვანა, ა/მანქანა იყო დასვრილი, როგორც გარედან, ასევე სალონიც. სალონი დასვრილი იყო მოწითალო ფერის ლაქებით. მას კ. ჩ-ემ განუცხადა, რომ ვერ მოასწრო ა/მანქანის გარეცხვა და სანაცვლოდ დაუმატა 10 ლარი. როდესაც თ. ლ-ე დაშორდა კ. ჩ-ეს, ავტო სამრეცხაოში მიიყვანა ა/მანქანა, სადაც მრეცხავმა განუცხადა, რომ სალონში არსებული წითელი ფერის ლაქები არ შორდებოდა და საჭიროებდა ქიმწმენდას. ასევე, მრეცხავმა ა/მანქანის დასუფთავების დროს ნახა ორი ცალი ჩანთა, მუქი ფერის, სპორტული სტილის, ოთხკუთხედი ფორმის, რომლებსაც აღენიშნებოდა წითელი ფერის ლაქები. თ. ლ-ე დაუკავშირდა კ. ჩ-ეს და განუცხადა, რომ ა/მანქანაში დარჩა ჩანთები, შემდეგ კ. ჩ-ე მივიდა ავტო სამრეცხაოსთან, საიდანაც წაიღო ჩანთები. 2018 წლის 22 დეკემბერს დაუკავშირდნენ სამართალდამცველები, რომლებსაც გადასცა კუთვნილი მობილური ტელეფონი, ასევე ჩატარდა ა/მანქანის დათვალიერება, რის შემდეგ დაილუქა ა/მანქანა და გადაყვანილი იქნა შესაბამის ადგილზე.

12. მოწმე ბ. წ-მა განმარტა, რომ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია კ. ჩ-ის თაობაზე, რომელიც სარგებლობდა ორი მობილური ტელეფონის ნომრით.

13. მოწმეებმა – მ. ქ-მა, თ. ხ-ამ, შ. კ-მა, ა-მა, მ. ჩ-ამ და მ. კ-ამ დაადასტურეს, რომ მათ გამომძიებლებს გადასცეს იმ ობიექტების სათვალთვალო კამერების ვიდეო ჩანაწერი, სადაც ისინი მუშაობდნენ.

14. მოწმე ზ. წ-მა დაადასტურა, რომ 2018 წლის 23 დეკემბერს მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, ვ-ში სს „ს-ის“ ექსპრეს ფილიალის დაყაჩაღების გზით მოპოვებული თანხის ნაწილი გახარჯული უნდა ყოფილიყო სავაჭრო ცენტრ „ი-ში“ განთავსებულ მაღაზიებში „ფ-ში“ და „ბ-ში“. ფულად თანხაზე უნდა ყოფილიყო სითხის კვალი. ზ. წ-მა მიღებული ოპერატიული ინფორმაცია პატაკის საფუძველზე აცნობა ხელმძღვანელობას.

15. მოწმე ა-მა განაცხადა, რომ მუშაობს მაღაზია „...“., რომელიც მდებარეობს სავაჭრო ცენტრ „...-ის“ ტერიტორიაზე. მაღაზია აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით. 23 დეკემბერს გამომძიებლის მიერ მაღაზიიდან ამოღებულ და წაღებულ იქნა 20 ლარიანი ქაღალდის კუპიურები.

16. მოწმე მ. ჩ-ამ განაცხადა, რომ მუშაობს მაღაზია „...-ში“, მაღაზია მდებარეობს სავაჭრო ცენტრ „...-ის“ ტერიტორიზე. იცნობს ბრალდებულს, რომელმაც მაღაზიაში იყიდა საბავშვო ფეხსაცმელები. 23 დეკემბერს გამომძიებლის მიერ მაღაზიიდან ამოღებულ და წაღებულ იქნა 20 ლარიანი ქაღალდის კუპიურები. მაღაზიას აქვს ვიდეო სათვალთვალო კამერები, რომლის ჩანაწერები ამოიღო გამომძიებელმა.

17. მოწმე ნ. ქ-ამ განაცხადა, რომ ვ-ში ჰქონდა ბინა, რომელიც გაქირავებული ჰქონდა ა-ზე და კ. ჩ-ის ოჯახზე. მას ყოველთვიურად თანხას უხდიდა ა-ი, ხოლო ბოლო ორი თვის განმავლობაში თანხა კ. ჩ-მ გადაუხადა. ნ. ქ-ას განცხადებით, მის ბინას ჰქონდა ორი გასაღები: ერთი გასაღები ჰქონდა ა-ს და კ. ჩ-ეს, ხოლო ერთი თავად მასთან ინახებოდა.

18. მოწმეებმა – ზ. ო-მა, ი. ქ-ამ, ლ. ა-მა, ზ. კ-მა, ქ. ქ-ემ, ზ. ვ-ემ განაცხადეს, რომ მათ მიიღეს მონაწილეობა კ. ჩ-ის ბინის ჩხრეკაში, საიდანაც ამოიღეს თანხა, იარაღი და ვაზნები. აღნიშნული ბინის კარები მათ გაუღო კ. ჩ-ის მეუღლემ – ა-მა.

19. მოწმე ა-მა განაცხადა, რომ არის კ. ჩ-ის მეუღლე. ორი თვის წინ გადავიდა და ცხოვრობდა დედასთან – ... მ/რაიონში, ხოლო კ. ჩ-ე ცხოვრობდა ...-ში. მომხდარი დანაშაულის თაობაზე ინფორმაცია არა აქვს. ა-მა დაადასტურა, რომ 20 დეკემბერს მან და კ. ჩ-ემ იქირავეს თ. ლ-ისგან ა/მანქანა „ტოიოტა აქვა“. მისთვის კ. ჩ-ეს არ განუცხადებია თუ რისთვის ესაჭიროებოდა მანქანა. მეორე დღეს, იმავე დროს, მან და კ. ჩ-ემ თ. ლ-ეს დაუბრუნეს ა/მანქანა, შემდეგ ტაქსით მიიყვანა კ. ჩ-ემ სახლში. მას საეჭვო არაფერი შეუნიშნავს ა/მანქანისთვის. ღამის 03:00 საათზე დედამისის სახლში მივიდნენ პოლიციელები, რომლებმაც ჩაატარეს ბინის ჩხრეკა. პოლიციის თანამშრომლებმა შემდეგ მოსთხოვეს გაჰყოლოდა კ. ჩ-ის სახლში, რაზედაც ა-მა განაცხადა, რომ ბინის გასაღები არ ჰქონდა, საპასუხოდ კი პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა უთხრა, რომ თავად ჰქონდა ბინის გასაღები. ის და დედამისი პოლიციის თანამშრომლებს გაჰყვნენ კ. ჩ-ის საცხოვრებელ ბინაში – მდებარე ...-ში. პოლიციის თანამშრომელმა გადასცა გასაღები, რის შემდეგაც ა-მა გააღო ბინის კარი, აანთო ნათურა და დაინახა, რომ სახლში ტანსაცმელი იყო გადმოყრილი. შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა დაიწყეს ბინის ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოღებული იქნა იარაღი და ფულადი თანხა. მისთვის უცნობი იყო თუ რის გამო ტარდებოდა საგამოძიებო მოქმედებები, მან მხოლოდ პოლიციის განყოფილებაში მისვლის შემდეგ შეიტყო თუ რას ედავებოდნენ კ. ჩ-ეს. ა-ის განმარტებით, კ. ჩ-ეს არასოდეს უმუშავია, მას ფინანსურად ეხმარებოდა საზღვარგარეთ მყოფი მშობელი, რომელიც ყოველთვიუ-

რად 100, 200 ან 300 ევროს უგზავნიდა.

20. სს „ს...-ის“ ფიზიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მომართვის თანახმად, 2018 წლის 20 დეკემბერს, ქ. ..., ... კვარტალის მიმდებარედ არსებული სს „...-ის“ ექსპრეს სერვის ცენტრის დაყაჩაღების ფაქტის შედეგად წაღებული იქნა 13012.2 ლარი, 3010 აშშ დოლარი და 3380 ევრო (2018 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული კურსით ჯამში 31301.21 ლარი). ასევე, წაღებული იქნა ე.წ. „ცხელი ფული“, რომლის ღირებულება შეადგენს 1400.1 ლარს. დაზიანებული იქნა შესასვლელი შუშის კარი, რომლის აღდგენის ღირებულება შეადგენს 391.20 ლარს. ჯამში, ყაჩაღობის ფაქტის შედეგად ბანკისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენს 33092.42 ლარს.

21. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანახმად, შემთხვევის ადგილი მდებარეობს ქ. ..., ... მ/რაიონის ...-ლი კვარტალის მიმდებარე ტერიტორიაზე სს „...-ის“ ექსპრეს ფილიალში. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ექსპერტ-კრიმინალისტების მიერ ამოღებული იქნა: სუნის კვალის ნიმუშები; ხელის კვლები; ფულის ჩასაყრელი ყუთი; პარკის ნაჭერი; პლასტმასის დეტალი; გასაღებები რგოლზე; კვალი მწებავ ლენტზე. აღნიშნული ოქმის სისწორე დაადასტურეს ოქმის შემდგენმა გამომძიებელმა ი. ქ-მა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე პირებმა – ექსპერტ-კრიმინალისტებმა დ. ც-მა, ლ. ჯ-მა და ა. ნ-მა.

22. ამოღების ოქმის თანახმად, მოწმე თ. ლ-ისგან ამოღებული იქნა მისი კუთვნილი შავი ფერის „ჰუავეი ჰ9 ლაითის“ ფირმის მობილური ტელეფონი, შიგ მოთავსებული მისი კუთვნილი „...-ის“ ქსელში ჩართული 5... სიმ ბარათით. ამოღების ოქმის სისწორე დაადასტურა ოქმის შემდგენმა გამომძიებელმა ი. შ-ემ.

23. დეტალური ამონაბეჭდის და მისი დათვალიერების ოქმის თანახმად, ირკვევა, რომ მოწმე თ. ლ-ის მიერ წარდგენილი იქნა ...ს ქსელში ჩართული 5... ნომრის შემავალი და გამავალი ზარების დეტალური ამონაბეჭდი, რომლის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ 2018 წლის 20-21 ივნისს თ. ლ-ეს კუთვნილი მობილური ტელეფონის ნომერზე ... უკავშირდებოდა კ. ჩ-ე, მის მფლობელობაში არსებული მობილური ტელეფონის ნომრებიდან ... და ... დათვალიერების ოქმის სისწორე დაადასტურა გამომძიებელმა ი. შ-ემ.

24. ა/მანქანის დათვალიერების ოქმის თანახმად, ქ. ..., ...-ის ქუჩა ...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე დათვალიერებული იქნა თ. ლ-ის კუთვნილი რუხი ფერის (ვერცხლისფერი) 2012 წლის გამოშვებული „ტოიოტა აქვას“ ფირმის ა/მანქანა, სახელმწიფო ნომრით ... დათვალიერებისას დადგინდა, რომ ა/მანქანის სალონში აღინიშნებოდა მოწითალო ფერის ნივთიერების ლაქები. დათვალიერების შე-

დეგად ამოღებული იქნა ანაწმენდები, მიკრონაწილაკები, ნაჭრის ამონაჭრელები, სუნის ნიმუში, სარეგისტრაციო მოწმობა და გასაღები. დათვალიერების ოქმის სისწორე დაადასტურა ოქმის შემდგენმა გამომძიებელმა ი. შ-ემ და დათვალიერებაში მონაწილე პირებმა კ. კ-ემ, გ. უ-ემ და ჯ. მ-ამ.

25. ამოღების ოქმის თანახმად, მოწმე თ. ლ-ისგან ამოღებული იქნა მისი კუთვნილი რუხი ფერის (ვერცხლისფერი) 2012 წელს გამოშვებული „ტოიოტა აქვას“ ფირმის ა/მანქანა, სახელმწიფო ნომრით ... ამოღების ოქმის სისწორე დაადასტურა ოქმის შემდგენმა გამომძიებელმა ი. შ-ემ.

26. პირის ამოცნობის ოქმის თანახმად, თ. ლ-ემ წარდგენილი სამი პიროვნებიდან ამოიცნო მარჯვნიდან პირველი და მარცხნიდან მესამე ადგილზე მდგომი მამაკაცი (კ. ჩ-ე) და განმარტა, რომ ის პიროვნება არის სწორედ ის პირი, ვინც 2018 წლის 20 დეკემბერს გოგონასთან ერთად მისგან იქირავა მისი ა/მანქანა „ტოიოტა აქვა“. თ. ლ-ემ კ. ჩ-ე ამოიცნო სიმაღლით, ვარცხნილობით, თმის ფერით, სახის ფერით, წარბებით. პირის ამოცნობის ოქმის სისწორე დაადასტურა ოქმის შემდგენმა გამომძიებელმა ი. გ-მა.

27. პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, 2018 წლის 26 დეკემბერს 22:46-23:10 საათზე ქ. ..., ...-ის ქუჩისა და ... ქუჩის კვეთის ტერიტორიაზე პირადი ჩხრეკა ჩაუტარდა კ. ჩ-ეს. პირადი ჩხრეკის შედეგად კ. ჩ-ის შარვლის წინა მარჯვენა ჯიბიდან ამოღებული იქნა „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი, შიგ მოთავსებული „ლაილაის“ ფირმის ... სიმ ბარათით. მისი შარვლის მარცხენა ჯიბიდან ამოღებული იქნა 8 ცალი ასლარიანი კუპიურა. პირადი ჩხრეკის ოქმის სისწორე დაადასტურა გამომძიებელმა ე. გ-მა.

28. ბინის ჩხრეკის ოქმის თანახმად, 2018 წლის 27 დეკემბერს 03:05-04:03 საათზე ჩატარდა ქ. ..., ვ. მ. ბინის ჩხრეკა (ა-ის მშობლების ბინა). ბინის ჩხრეკისას – მისაღებ ოთახში არსებული შავი ფერის ხელჩანთიდან ამოღებული იქნა 12 ცალი 100 ლარიანი კუპიურა; 10 ცალი 50 ლარიანი კუპიურა; 19 ცალი 20 ლარიანი კუპიურა და 11 ცალი 100 აშშ დოლარიანი კუპიურა. ბინის ჩხრეკის ოქმის სისწორე დაადასტურა გამომძიებელმა ი. ქ-მა, ჩხრეკაში მონაწილეობდნენ გ. ბ., ლ. ჩ., გ. ა-ი.

29. ბინის ჩხრეკის ოქმის თანახმად, 2018 წლის 27 დეკემბერს 03:20-05:10 საათზე ჩატარდა ქ. ..., ...-ში მდებარე კ. ჩ-ის ბინის ჩხრეკა, ჩხრეკას ესწრებოდა ა-ი. ბინის ჩხრეკისას – ე.წ. ლოჯში შესასვლელი კარიდან ხელმარცხნივ, განთავსებული ხის კარადიდან რაფაზე აღმოჩენილი და ამოღებული იქნა 28 ცალი – 5 ევროიანი კუპიურა. საძინებელ ოთახში ხელმარჯვნივ განთავსებულ კომოდის ბოლო უჯრაში აღმოჩენილი იქნა პისტოლეტი ნომრით ..., რომელ-

შიც მოთავსებული იყო მჭიდი და 7 ცალი ვაზნა. აღნიშნულ ადგილას აღმოჩენილი და ამოღებული იქნა "Supreme~-ს წარწერით არსებული წელის ჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო 3 ცალი 200 ლარიანი, 1 ცალი 50 ლარიანი, 4 ცალი 20 ევროიანი; 2 ცალი, 5 ევროიანი, 1 ცალი 10 ევროიანი, 2 ცალი 50 ევროიანი, 30 ცალი 1 აშშ დოლარიანი, 30 ცალი 5 აშშ დოლარიანი, 3 ცალი 20 აშშ დოლარიანი, 5 ცალი 50 აშშ დოლარიანი, 1 ცალი 100 აშშ დოლარიანი, 49 ცალი 10 აშშ დოლარიანი, 130 ცალი 5 აშშ დოლარიანი კუპიურები. საძინებელ ოთახში განთავსებულ ტანსაცმლის კარადიდან აღმოჩენილი და ამოღებული იქნა მოშავო ფერის პოლიეთილენის პარკში მოთავსებული 6 ცალი ვაზნა. საცხოვრებელი ბინის შემოსასვლელში განთავსებული ხის კარადიდან აღმოჩენილი და ამოღებული იქნა 1 ცალი 20 ლარიანი კუპიურა. საცხოვრებელი ბინიდან ჩხრეკის დროს აღმოჩენილ და ამოღებულ კუპიურებს აღენიშნებოდათ მოწითალო ფერის შეფერილობა. ჩხრეკის ოქმის სისწორე და ბინის ჩხრეკაში მონაწილეობა დაადასტურეს გამომძიებელმა ქ. ქ-ემ და მონაწილე პირებმა ზ. ო-მა, ზ. ვ-ემ, ი. ქ-ამ, ლ. ა-მა და ზ. კ-მა.

30. ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, პაკეტში წარწერით: 28 ცალი 5 ევროიანი კუპიურა ამოღებული ე.წ. „ლოჯში" შესასვლელიდან მარცხენა კედელზე არსებული თაროს ზედაპირიდან, მოთავსებულ 28 ცალ 5 ევროიან კუპიურების კიდეებზე არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერება და ნიმუშის სახით წარმოდგენილ ე.წ. „ცხელი ფულის" მოწყობილობაზე არსებული მუქი ფერის წითელი ფერის ნივთიერება ხასიათდება ერთნაირი ქიმიური შემადგენლობით და წარმოადგენს 1-მეთილამინოანთრაქინონს. საძინებელი ოთახის კომოდის ქვედა უჯრიდან ამოღებულ ჩანთაში მოთავსებულ ფულადი კუპიურების ზედაპირზე არსებული მუქი წითელი ფერის, ნივთიერების დანაშრევი და ნიმუშის სახით წარმოდგენილ ე.წ. „ცხელი ფულის" მოწყობილობაზე არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერება ხასიათდება ერთნაირი ქიმიური შემადგენლობით და წარმოადგენს 1-მეთილამინოანთრაქინონს. შპს „ფდან" ამოღებულ 2 ც 20 ლარიან კუპიურაზე: A...; A... არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერების კვალი, შპს „ა-ის" მაღაზია, ...-დან" ამოღებულ 2 ც 20 ლარიანი კუპიურაზე A...; A... არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერების კვალი, ასევე ავტომობილის სახელმწიფო ნომრით ... წინა მარცხენა და მარჯვენა სავარძლის საზურგედან ამოღებულ შალითების ქსოვილის ფრაგმენტებზე არსებული მოწითალო ნივთიერების კვალი და ნიმუშის სახით წარმოდგენილ ე.წ. „ცხელი ფულის" მოწყობილობაზე არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერება ხასიათდება ერთნაირი ქიმიური შემადგენლობით და წარმოადგენს 1-მეთილამინოანთრაქინონს. დოლარზე

და 55 ევროზე არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერება, 28 ც 5 ევროიან კუპიურების კიდეებზე არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერება, 1 ცალ 20 ლარიანი კუპიურის კიდეებზე არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერება, საძინებელი ოთახის კომოდის ქვედა უჯრიდან ამოღებულ ჩანთაში მოთავსებულ ფულადი კუპიურების ზედაპირზე არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერება, შპს „...-დან“ ამოღებულ 2 ც 20 ლარიან კუპიურაზე: A...; A... არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერება, შპს „...-ის“ მაღაზია „...-დან“ ამოღებულ 2 ც 20 ლარიან კუპიურაზე: A...; A.... არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერება, ასევე ავტომობილის №... წინა მარცხენა და მარჯვენა სავარძლის საზურგედან ამოღებულ შალითების ქსოვილის ფრაგმენტებზე არსებული მოწითალო ნივთიერების კვალი და ნიმუშის სახით წარმოდგენილ ე.წ. „ცხელი ფულის“ მოწყობილობაზე არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერება ხასიათდება ერთნაირი ქიმიური შემადგენლობით და წარმოადგენს 1-მეთილამინოანთრაქინონს. აღნიშნული დასკვნის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა ნ. მ-ამ და ა. დ-ემ.

31. ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, საძინებელი ოთახის კომოდის ქვედა უჯრიდან ამოღებულ ჩანთაში მოთავსებული ფულადი კუპიურების ზედაპირზე არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერების დანაშრევი და ნიმუშის სახით წარმოდგენილ ე.წ. „ცხელი ფულის“ მოწყობილობაზე არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერება, ასევე, ა/მანქანის სავარძელზე არსებული ნივთიერება, შპს „...-დან“ ფულად კუპიურებზე A...; A... და A...; A... არსებული ნივთიერებები ხასიათდება ერთნაირი ქიმიური შემადგენლობით და წარმოადგენს 1-მეთილამინოანთრაქინონს. აღნიშნული დასკვნის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა ნ. მ-ამ და ა. დ-ემ.

32. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, დათვალიერებული იქნა შპს „...-ის“ მაღაზიის „...-დან“ ამოღებული ვიდეო ჩანაწერი. პირველი ვიდეო ფაილის გახსნისას ვხედავთ, რომ ზედა მარცხენა მხარეს აღნიშნულია თარიღი „2018-12-23“. 16:17:54 საათზე მაღაზიაში შედის მამაკაცი, რომელსაც ტანთ აცვია ნაცრისფერი შარვალი, სპორტული თეთრ ფერებში გაწყობილი ფეხსაცმელი და მუქი ფერის ზედა. ასევე მამაკაცს აქვს მოკლედ შეჭრილი მუქი თმა. აღნიშნულ მამაკაცს თან ჰყავს ორი მცირეწლოვანი ბავშვი – გოგონა. ისინი შედიან თუ არა იწყებენ მაღაზიაში არსებული ფეხსაცმელების დათვალიერებას და გასინჯვას. ამ დროს აღნიშნულ მაღაზიაში შედიან სხვა მოქალაქეები ბავშვებთან ერთად. ზ/აღნიშნული მამაკაცი მასთან მყოფ

ერთ ბავშვს-გოგონას კონსულტანტის დახმარებით ასინჯებს ფეხსაცმელს, რის შემდეგაც ყიდულობს მას და 16:27:56 საათზე მაღაზიის სალაროში იხდის შეძენილი ფეხსაცმლის თანხას და მაღაზიას ტოვებს 16:28:49 საათზე ბავშვებთან ერთად.

33. ამოღების ოქმის თანახმად, მოწმე მ. ჩ-სგან (მაღაზია „...-ს“ შპს „...-ის“ კონსულტანტი) ამოღებული იქნა 5 ცალი 20 ლარიანი ქაღალდის კუპიურა, სულ 100 ლარის ოდენობით. ამოღების ოქმის სისწორე დაადასტურა ოქმის შემდგენმა გამომძიებელმა ი. გ-მა.

34. ამოღების ოქმის თანახმად, მოწმე ...-ისგან (მაღაზია შპს „...-ს“ კონსულტანტი) ამოღებული იქნა 31 ცალი 20 ლარიანი ქაღალდის კუპიურა, სულ 620 ლარის ოდენობით. ამოღების ოქმის სისწორე დაადასტურა ოქმის შემდგენმა გამომძიებელმა ი. გ-მა.

35. ქიმიური ექსპერტიზის №...; ... დასკვნის თანახმად, შპს „...-დან“ ამოღებულ 2 ცალ 20 ლარიან კუპიურაზე: A...; A... არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერების კვალი, შპს „...-ის“ მაღაზია „...-დან“ ამოღებულ 2 ცალი 20 ლარიან კუპიურაზე A...; A... არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერების კვალი, ასევე ავტომობილის ... წინა მარცხენა და მარჯვენა სავარძლის საზურგედან ამოღებულ შალითების ქსოვილის ფრაგმენტებზე არსებული მოწითალო ნივთიერების კვალი და ნიმუშის სახით წარმოდგენილ ე.წ. „ცხელი ფულის“ მოწყობილობაზე არსებული მუქი წითელი ფერის ნივთიერება ხასიათდება ერთნაირი ქიმიური შემადგენლობით და წარმოადგენს 1- მეთილამინოანთრაქინონს.აღნიშნული დასკვნის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა ა. დ-ემ და ნ. მ-მა.

36. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, გახსნილი და დათვალიერებული იქნა „...-დან გამოთხოვილი ვიდეო ჩანაწერები. მეორე დისკის მეხუთე ვიდეო ფაილის გახსნისას ვხედავთ, რომ ზედა მარცხენა მხარეს აღნიშნულია თარიღი „12-20-2018“. 18:14:57 საათზე ვიდეოში მოსჩანს, რომ აფთიაქის მარჯვენა მხრიდან მოდის ოთხი პიროვნება, კერძოდ, პირველ პიროვნებას ტანთ აცვია მუქი ფერის შარვალი, მუქი ფერის ფეხსაცმელი, მუქი ფერის ქურთუკი თავზე წამოფარებული კაპიშონით, ქურთუკზე მიმაგრებული აქვს მოწითალო ფერის ნაჭერი, ხელებზე კი აცვია მუქი ხელთათმანები, ხელში უკავია მუქი ფერის ავტომატი. მეორე პიროვნებას ტანთ აცვია მომწვანო ფერის სპორტული ფეხსაცმელი, მუქი ფერის შარვალი, მუქი ფერის კაპიშონიანი ქურთუკი, ხოლო თავზე კი აქვს წამოფარებული ქურთუკის შიგნით არსებული ზედის მუქი ფერის კაპიშონი. ხელებზე გაკეთებული აქვს მუქი ფერის ხელთათმანები, მარჯვენა ხელში კი უკავია ცულის მაგვარი საგანი. მას ზურგზე უკანა მხარეს გადაკიდებული

აქვს შავი ფერის ჩანთა. მესამე პიროვნებას ტანთ აცვია მუქი ფერის სპორტული ფეხსაცმელი, მუქი ფერის შარვალი, მუქი ფერის ჟილეტი, ხოლო ჟილეტის შიგნით მუქი ფერის ზედა და თავზე წამოფარებული აქვს ჟილეტის შიგნით ნაცვამი ზედის მუქი ფერის კაპიშონი. მას მარცხენა ხელში უჭირავს მუქი ფერის ჩანთა. მეოთხე პიროვნებას ტანთ აცვია მუქი ფერის სპორტული ფეხსაცმელი, მუქი ფერის შარვალი, მუქი ფერის კაპიშონიანი ქურთუკი, რომლის კაპიშონიც აქვს თავზე წამოფარებული, ხელებზე კი უკეთია ხელთათმანები, ხოლო მარჯვენა მხარზე კი გადაკიდებული აქვს მოლურჯო მუქი ფერის ჩანთა. ბანკის ფილიალის კართან მისვლისას, მეორე – ხელში ცულიანმა პიროვნებამ ბანკის ფილიალის შესასვლელ კარს რამოდენიმეჯერ ჩაარტყა ხელში არსებული ცულის მაგვარი საგანი, რის შემდეგაც 18:15:06 საათზე შედიან ბანკის ფილიალში. აღნიშნულის შემდეგ ბანკის ფილიალიდან გამორბიან სწრაფად მოქალაქეები, ასევე აღნიშნულ ტერიტორიაზე შეინიშნება ბანკის ფილიალის მიმდებარედ არსებული ობიექტებიდან გამოსული მოქალაქეთა დაბნეული და სწრაფი მოძრაობები. 18:16:58 საათზე ბანკის ფილიალიდან გამოდიან პირველი წითელ ნაჭრიანი ხელში ავტომატიანი პიროვნება, ხოლო შემდეგ კი დანარჩენები, რომლებსაც ხელში უკავიათ ჩანთები და სირბილით მიემართებიან ისევ ბანკის მარჯვენა მხარეს და 18:17:03 საათზე ყველანი სცდებიან ვიდეო სათვალთვალო კამერის თვალთახედვის არეს. დათვალიერების ოქმის სისწორე დაადასტურა გამომძიებელმა ი. შ-ემ.

37. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, გახსნილი და დათვალიერებული იქნა სს „...-ის“ ექსპერეს ფილიალის ვიდეოჩანაწერები. მეორე დისკის მეექვსე ვიდეო ფაილის გახსნისას ვხედავთ, რომ ზედა მარცხენა მხარეს აღნიშნულია თარიღი „12-20-2018“ და დრო, რომელიც იწყება 17:58:29 საათზე. ფირზე აღბეჭდილია სს „...-ის“ ფილიალის შიდა ტერიტორია, სადაც განთავსებულია ბანკომატები და სწრაფი ჩარიცხვის აპარატები. ასევე მოსჩანს სალარო განყოფილება, რომელიც მოქალაქეთა დარბაზიდან გაყოფილია მინის კარებებით. სალარო სივრცეში არსებულ სალარო მაგიდებთან სხედან ფილიალის მოლარე ოპერატორი თანამშრომლები, ხოლო მოქალაქეთა სივრცეში კი დგას კონსულტანტი თანამშრომელი, რომელიც ასევე ემსახურება მოქალაქეებს. ასევე, დარბაზში მოძრაობს მუქ ტანსაცმელში ჩაცმული დაცვის თანამშრომელი მამაკაცი. ამავე დროს ბანკის ფილიალში დროდადრო შემოდიან და გადიან მოქალაქეები, თუმცა მუდმივად სალარო სივრცეში არის მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობა და სარგებლობენ ბანკომატით თუ სწრაფი ჩარიცხვის აპარატით. 18:15:09 საათზე ვიდეოში ჩანს, რომ სწრაფი ჩარიცხვის აპა-

რატებთან არიან მოქალაქეები – ერთი ქალბატონი, ორი მამაკაცი და კონსულტანტი გოგონა. სალარო სივრცეში შედის ღია ლურჯ ქურთუკიანი ქალბატონი, ხოლო დაცვის თანამშრომელი ბიჭი კი დგას სალარო სივრცის მინის კარებთან. ამ დროს ვიდეოში ჩნდება მინის ნამსხვრევები და ფილიალში შემოდის ოთხი პიროვნება. კერძოდ, პირველ პიროვნებას ტანთ აცვია მუქი ფერის შარვალი მუქი ფერის ფეხსაცმელი, მუქი ფერის ქურთუკი თავზე წამოფარებული კაპიშონით, ქურთუკზე მიმაგრებული აქვს მოწითალო ფერის ნაჭერი, ხელებზე კი აცვია მუქი ფერის ხელთათმანები, ხელში უკავია მუქი ფერის ავტომატი; მეორე პიროვნებას ტანთ აცვია მომწვანო ფერის სპორტული ფეხსაცმელი, მუქი ფერის შარვალი, მუქი ფერის კაპიშონიანი ქურთუკი, ხოლო თავზე კი აქვს წამოფარებული ქურთუკის შიგნით არსებული ზედის მუქი ფერის კაპიშონი. ხელებზე გაკეთებული აქვს მუქი ფერის ხელთათმანები, მარჯვენა ხელში კი უკავია ცულის მაგვარი საგანი. მას ზურგზე უკანა მხარეს გადაკიდებული აქვს შავი ფერის ჩანთა; მესამე პიროვნებას ტანთ აცვია მუქი ფერის სპორტული ფეხსაცმელი, მუქ ფერის შარვალი, მუქი ფერის ჟილეტი, ხოლო ჟილეტს შიგნით მუქი ფერის ზედა და თავზე წამოფარებული აქვს ჟილეტის შიგნით ნაცვამი ზედა მუქი ფერის კაპიშონი. მას მარცხენა ხელში უჭირავს მუქი ფერის ჩანთა. მეოთხე პიროვნებას ტანთ აცვია მუქი ფერის სპორტული ფეხსაცმელი, მუქი ფერის შარვალი, მუქი ფერის კაპიშონიანი ქურთუკი, რომლის კაპიშონიც აქვს თავზე წამოფარებული, ხელებზე კი უკეთია ხელთათმანები, ხოლო მარჯვენა მხარზე კი გადაკიდებული აქვს მოლურჯო ფერის ჩანთა. ამ დროს დაცვის თანამშრომელი მივიდა შემოსასვლელიდან მარჯვენა მხარეს, რა დროსაც მასთან მიდის ორი ნიღბიანი, მათ შორის ერთი პიროვნება, რომელსაც ქურთუკზე აქვს გაკეთებული მოწითალო ფერის ნაჭერი. ერთ-ერთმა მასზედ მოახდინა ფიზიკური ზემოქმედება და დააწვინა იატაკზე. ამის შემდეგ დაცვის თანამშრომელთან რჩება ცულიანი პიროვნება. მოქალაქეთა დარბაზში კი რჩება მეოთხე პიროვნება, რომელსაც მხარზე გადაკიდებული აქვს მოლურჯო ფერის ჩანთა და ხელში უკავია პისტოლეტი. ამ დროს ფილიალში დარჩა მხოლოდ ღია ლურჯ ქურთუკიანი ქალბატონი, რომელიც დადგა კედელთან. სალარო სივრცეში შედის ორი ნიღბიანი, ერთი მათგანი არის წითელ ნაჭრიანი, რომელსაც ჰქონდა ხელში ავტომატი და ორივენი მოძრაობენ სალარო სივრცეში, სალარო მაგიდებს შიგნით და იწყებენ ჩანთებში რაღაცის ჩალაგებას. ამის შემდეგ წითელ ნაჭრიანი გამოდის მოქალაქეთა სივრცეში, რომელსაც პისტოლეტიანი პიროვნება აძლევს ჩანთას. სალარო სივრცეში მყოფ ნიღბიანებს ერთ-ერთი გოგონა ხელებით მოუწოდებს რაღაცას. ვიდეო ჩანაწე-

რი მთავრდება 18:16:13 საათზე. მეორე დისკის მეშვიდე ფაილის გახსნისას ვხედავთ, რომ ზედა მარცხენა მხარეს აღნიშნულია თარიღი „12-20-2018“ და დრო, რომელიც იწყება 18:16:16 საათზე. ვიდეო ფირი არის მეექვსე ვიდეო ჩანაწერის გაგრძელება და მასზედ აღბეჭდილია ზ/აღნიშნული ნიღბიანი პირები თუ როგორ აყაჩაღებენ ბანკის ფილიალს. მოქალაქეთა სივრცეში პისტოლეტიანი პიროვნება რაღაცას მოუწოდებს სალარო სივრცეში მყოფ პირებს. ნიღბიანი სალარო სივრციდან გამოდიან 18:17:02 საათზე და ფილიალის ტერიტორიას ტოვებენ 18:17:07 საათზე და გადიან სათვალთვალო კამერის თვალთახედვის არედან. მეოთხე დისკის მეოთხე ვიდეო ფაილის გახსნისას ვხედავთ, რომ ზედა მარცხენა მხარეს აღნიშნულია თარიღი „12-20-2018“. 18:15:08 საათზე ვიდეოში მოსჩანს, რომ ბანკის ფილიალს მარჯვენა მხრიდან მოდის ოთხი პიროვნება, კერძოდ პირველ პიროვნებას ტანთ აცვია მუქი ფერის შარვალი, მუქი ფერის ფეხსაცმელი, მუქი ფერის ქურთუკი თავზე წამოფარებული კაპიშონით, ქურთუკზე მიმაგრებული აქვს მოწითალო ფერის ნაჭერი, ხელებზე კი აცვია მუქი ხელთათმანები, ხელში უკავია მუქი ფერის ავტომატი. მეორე პიროვნებას ტანთ აცვია მომწვანო ფერის სპორტული ფეხსაცმელი, მუქი ფერის შარვალი, მუქი ფერის კაპიშონიანი ქურთუკი, ხოლო თავზე კი აქვს წამოფარებული ქურთუკის შიგნით არსებული ზედის მუქი ფერის კაპიშონი. ხელებზე გაკეთებული აქვს მუქი ფერის ხელთათმანები, მარჯვენა ხელში კი უკავია ცულის მაგვარი საგანი. მას ზურგზე უკანა მხარეს გადაკიდებული აქვს შავი ფერის ჩანთა. მესამე პიროვნებას ტანთ აცვია მუქი ფერის სპორტული ფეხსაცმელი, მუქი ფერის შარვალი, მუქი ფერის ჟილეტი, ხოლო ჟილეტის შიგნით მუქი ფერის ზედა და თავზე წამოფარებული აქვს ჟილეტის შიგნით ნაცვამი ზედის მუქი ფერის კაპიშონი. მას მარცხენა ხელში უჭირავს მუქი ფერის ჩანთა. მეოთხე პიროვნებას ტანთ აცვია მუქი ფერის სპორტული ფეხსაცმელი, მუქი ფერის შარვალი, მუქი ფერის კაპიშონიანი ქურთუკი, რომლის კაპიშონიც აქვს თავზე წამოფარებული, ხელებზე კი უკეთია ხელთათმანები, ხოლო მარჯვენა მხარზე კი გადაკიდებული აქვს მოლურჯო მუქი ფერის ჩანთა. ბანკის ფილიალის კართან მისვლისას, მეორე ხელში ცულიანმა პიროვნებამ ბანკის ფილიალის შესასვლელ კარს რამოდენიმეჯერ ჩაარტყა ხელში არსებული ცულის მაგვარი საგანი, რის შემდეგაც 18:15:12 საათზე ოთხივენი შედიან ბანკის ფილიალში. აღნიშნულის შემდეგ ბანკის ფილიალიდან გამორბიან სწრაფად მოქალაქეები, ასევე, აღნიშნულ ტერიტორიაზე შეინიშნება ბანკის ფიალიალის მიმდებარედ არსებული ობიექტებიდან გამოსულ მოქალაქეთა დაბნეული და სწრაფი მოძრაობები. 18:17:04 საათზე ბანკის ფილიალიდან გა-

მოდიან პირველი წითელ ნაჭრიანი ხელში ავტომატიანი პიროვნება, ხოლო შემდეგ კი დანარჩენები, რომლებსაც ხელში უკავიათ ჩანთები და სირბილით მიემართებიან ისევ ბანკის მარჯვენა მხარეს და 18:17:07 საათზე ყველანი სცდებიან ვიდეო სათვალთვალო კამერის თვალთახედვის არეს. დათვალიერების ოქმის სისწორე დაადასტურა გამომძიებელმა ი. შ-ემ.

38. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, გახსნილი და დათვალიერებული იქნა ქ. ... ვ-ი, ზ. პ-ის ქუჩა №...-ში მდებარე შპს „...-ის“ მშენებარე ობიექტიდან გამოთხოვილი ვიდეო-სათვალთვალო კამერის ჩანაწერი. ვიდეოს გახსნისას მითითებულია თარიღი 2018-12-20 და დრო, რომელიც იწყება 18:00:00 საათზე. ვიდეოს დაწყებიდან 18:18:46 საათზე გზაზე მოძრაობს მოვერცხლისფრო ფერის „ტოიოტა აქვას“ ფირმის ა/მანქანა და მიემართება სს „...-ის“ სავაჭრო ცენტრ „...-ას“ მიმართულებით. დათვალიერების ოქმის სისწორე დაადასტურა გამომძიებელმა ი. შ-ემ.

39. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, გახსნილი და დათვალიერებული იქნა ქ. ... ..., ზ. პ-ის ქუჩა №...-ში მდებარე იეჰოვას მოწმეების დარბაზის შენობიდან გამოთხოვილი ვიდეო-სათვალთვალო კამერის ჩანაწერი. ვიდეოს გახსნისას მითითებულია თარიღი 2018-12-20 და დრო, რომელიც იწყება 18:00:00 საათზე. ვიდეოს დაწყებიდან 18:18:28 საათზე ვ-ის პირველი მიკრორაიონიდან ამომავალ ა/სამანქანო გზიდან ცენტრალურ სამანქანო გზაზე ამოდის სწრაფი მოძრაობით გზაზე მოძრაობს მოვერცხლისფერო ფერის „ტოიოტა აქვას“ ფირმის ა/მანქანა და მიემართება სს „...-ის“ სავაჭრო ცენტრ „...-ას“ მიმართულებით. დათვალიერების ოქმის სისწორე დაადასტურა გამომძიებელმა ი. შ-ემ.

40. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, გახსნილი და დათვალიერებული იქნა ქ. ..., ... მე-. მ/რ მე-. კვარტლის მდებარედ ს.ს. „...-ის“ სავაჭრო ცენტრ „...-ას“ შენობიდან გამოთხოვილი ვიდეო-სათვალთვალო კამერის ჩანაწერი. ვიდეოს გახსნისას ვხედავთ თარიღი 2018-12-20 და დრო, რომელიც იწყება 18:00:00 საათზე. ვიდეოს დაწყებიდან 18:19:21 საათზე გზაზე მოძრაობს მოვერცხლისფრო ფერის „ტოიოტა აქვას“ ფირმის ა/მანქანა და მიემართება ..-ის მიმართულებით. დათვალიერების ოქმის სისწორე დაადასტურა გამომძიებელმა ი. შ-ემ.

41. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, გახსნილი და დათვალიერებული იქნა ქ. ... ...-ის ..ის პირველი საგუშაგოს შენობიდან გამოთხოვილი ვიდეო-სათვალთვალო კამერის ჩანაწერი. ვიდეოს გახსნისას ვხედავთ თარიღი 2018-

12-20 და დრო, რომელიც იწყება 18:00:00 საათზე. ვიდეოს დაწყებიდან 18:22:36 საათზე გზაზე მოძრაობს მოვერცხლისფრო ფერის „ტოიოტა აქვას“ ფირმის ა/მანქანა და მიემართება ვ-ის დასახლების მიკრორაიონებისკენ. დათვალიერების ოქმის სისწორე დაადასტურა გამომძიებელმა ი. შ-ემ.

42. კომპიუტერული ექსპერტიზის №000439219 დასკვნის თანახმად, ტელეფონის მეხსიერებიდან ამოღებული 2018 წლის 20 დეკემბრით დათარიღებული ა-ის პირადობის მოწმობაზე გადაღებული ფოტო ფაილი გადატანილი იქნა საქაღალდეში სახელწოდებით: „Phone“ და დაარქივებული იქნა პროგრამა „WinRar“-ის გამოყენებით ფაილად სახელწოდებით: „Phone.rar“ და გადატანილ იქნა „Verbatim“-ის წარმოების დისკზე. აღნიშნული დასკვნის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა გ. შ-ემ.

43. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, გახსნილი და დათვალიერებული იქნა ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩატარებული კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნა ორ ცალ პაკეტთან ერთად, მოხდა მე-2 პაკეტის გახსნა და დათვალიერება. ფაილის გახსნისას მასში ჩაწერილია ინფორმაცია, რომელსაც ერთვის ფოტოსურათი, ფოტოსურათზე აღბეჭდილია ...-ის პ/ნ ... პირადობის მოწმობა, ხოლო ქვემოთ კი მობილური ტელეფონის მონაცემები და ამ სურათის გადაღების თარიღი 20/12/2018 12:32:42 PM.

44. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, გახსნილი და დათვალიერებული „ა-დან“ გამოთხოვილი ვიდეო ჩანაწერი. ვიდეო დაწყებიდან 13:59:19 საათზე აფთიაქის მარცხენა მხრიდან ვიდეო სათვალთვალო კამერების თვალთახედვის არეში შემოდის ახალგაზრდა გოგო, რომელსაც ტანთ აცვია მოლურჯო ფერის ჯინსის შარვალი, მუქი ფერის ქურთუკი და გადაკიდებული აქვს ჩანთა, ასევე ფეხზე აცვია მოთეთრო ფერის სპორტული ფეხსაცმელები, ახალგაზრდა გოგო შედის აფთიაქში. 14:00:32 საათზე იმავე მარცხენა მხრიდან ვიდეო-სათვალთვალო კამერის თვალთახედვის არეში ჩნდება ახალგაზრდა მუქი ფერის მოკლედ შეჭრილი თმით მამაკაცი, რომელსაც ფეხზე აცვია თეთრძირიანი სპორტული ფეხსაცმელი, მუქი ფერის შარვალი და მუქი ფერის ქურთუკი და ისიც შედის აღნიშნულ აფთიაქში. 14:01:14 საათზე აფთიაქის წინ არსებულ გზაზე ჩამოივლის მოვერცხლისფრო ფერის „ტოიოტა აქვას“ ფირმის ა/მანქანა, რომელიც უხვევს მარცხნივ და მიემართება ა/მანქანის გზით ზემო მიმართულებით და სცდება სათვალთვალო კამერის თვალთახედვის არეს. 14:04:15 საათზე აღნიშნული აფთიაქიდან ერთად გამოდიან ზ/აღნიშნული

ახალგაზრდა გოგო და ახალგაზრდა მამაკაცი, მიემართებიან აფთიაქის წინ არსებულ ა/სამანქანო გზისკენ.

45. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, გახსნილი და დათვალიერებული იქნა „...“. აფთიაქიდან გამოთხოვილი ვიდეო ჩანაწერები. ფირის დაწყებიდან 14:03:21 საათზე აფთიაქის მარცხნივ მდებარე ა/სამანქანო გზაზე მოდიან ერთად ახალგაზრდა გოგონა და ახალგაზრდა მამაკაცი. გოგონას ტანთ აცვია მოლურჯო ფერის ჯინსის შარვალი, მუქი ფერის ქურთუკი და გადაკიდებული აქვს ჩანთა, ასევე ფეხზე აცვია მოთეთრო ფერის სპორტული ფეხსაცმელები. მამაკაცს კი ფეხზე აცვია თეთრძირიანი სპორტული ფეხსაცმელები, მუქი ფერის შარვალი და მუქი ფერის ქურთუკი. ისინი ჩერდებიან გარკვეული ხანი ა/სამანქანო გზაზე. 14:03:50 საათზე აჩერებენ მოვერცხლისფრო ფერის ა/მანქანა „მერსედესის“ ტაქსს და სხდებიან ა/მანქანის უკანა მხარეს. 14:00:00 საათზე აფთიაქის მარცხნივ მდებარე ა/სამანქანო გზაზე გამოდის მოვერცხლისფრო ფერის „ტოიოტა აქვა“ ფირმის ა/მანქანა, რომელსაც გარედან ემჩნევა დასვრის კვალი.

46. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, გახსნილი და დათვალიერებული იქნა „...-დან“ გამოთხოვილი ვიდეო ჩანაწერი. დისკზე არსებული პირველი ვიდეო ფაილის გახსნისას ვხედავთ, რომ ზედა მარცხენა მხარეს აღნიშნულია თარიღი „12-21-2018“. 14:05:53 საათზე რესტორნის შენობის წინ ა/სამანქანო გზის პირას, ნახევრად გზაზე და ნახევრად ფეხით მოსიარულეთა ბილიკზე ჩერდება ვერცხლისფერი ა/მანქანა. აღნიშნული ა/მანქანის უკანა მარჯვენა კარიდან გადმოდის შავი ფერის თეთრძირიან სპორტულ ფეხსაცმელში, მუქი ფერის მოყავისფრო ფერის და შავი ფერის ზედაში ჩაცმული მამაკაცი, რომელსაც თავზე აქვს მუქი ფერის მოკლედ შეჭრილი თმა და ფეხით მიემართება, ა/მანქანის უკანა მხრიდან ა/სამანქანო გზისკენ და სცდება ვიდეო სათვალთვალო კამერის თვალთახედვის არეს. აღნიშნული პიროვნება ისევ იმავე გზით ბრუნდება ა/მანქანის უკანა მხრიდან, მას ხელში უკავია მოლურჯო ფერის ჩანთა. უახლოვდება ა/მანქანის უკანა მარჯვენა კარს, აღებს მას და ჩანთითურთ ჯდება ა/მანქანაში, რის შემდეგაც ა/მანქანა იწყებს მოძრაობას ..ის მიმართულებით. დისკზე არსებული მეორე ვიდეო- ფაილის გახსნისას ვხედავთ, რომ ზედა მარცხენა მხარეს აღნიშნულია თარიღი „12-21-2018“. 14:05:53 საათზე რესტორნის შენობის წინ ა/სამანქანო გზის პირას, ნახევრად გზაზე და ნახევრად ფეხით მოსიარულეთა ბილიკზე ჩერდება ვერცხლისფერი მერსედესის ფირმის ა/მანქანა, რომელსაც აქვს ტაქსის ნიშანი. ა/მანქანის უკანა მარჯვენა კარიდან გადმოდის მამაკაცი და ფეხით მიემართება. გადა-

დის ფეხით აღნიშნულ სამანქანო გზაზე, ჩერდება სამრეცხაოს წინ და უახლოვდება მის წინ მდგომ მოთეთრო ფერის ფეხსაცმელებიან პიროვნებას. ხელების მოძრაობით ეკონტაქტებიან ერთმანეთს. მანქანიდან გადმოსული მამაკაცი შედის სამრეცხაოს შენობაში და მალევე გამოდის. ისევ ჩერდება აღნიშნული მოთეთრო ფერის ფეხსაცმელებიანი მამაკაცის წინ და შემდეგ ისევ ბრუნდება იმავე გზით ა/მანქანის უკანა მხრიდან, მას ხელში უკავია ჩანთა. უახლოვდება ა/მანქანას უკანა მარჯვენა კარს აღებს და ჩანთითურთ ჯდება ა/მანქანაში, რის შემდეგაც ა/მანქანა იწყებს მოძრაობას.

47. ოდოროლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ქ. ...-ი, ... კვარტლის მიმდებარედ შპს „...-ის“ ექსპრეს ფილიალში განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით, შ/ადგილიდან და ა/მანქანა „ტოიოტა აქვას“ სახელმწიფო ნომერი ...-დან ამოღებული სუნის კვალის ნიმუშები არაიდენტურია ბრალდებულ კ. ჩ-ისგან აღებული სუნის კვალის ნიმუშის. აღნიშნული დასკვნის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა მ. ჩ-ემ.

48. ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის №.. დასკვნის თანახმად, პაკეტში, წარწერით: 1 ც. პისტოლეტი მჭიდით და 7 ც ვაზნით ამოღებული საძინებელში კომოდის ქვედა უჯრიდან და 6 ც. ვაზნა მოშავო ფერის პოლიეთილენის პარკში ამოღებული საძინებელში ტანსაცმლის კარადიდან მოთავსებულ: იარაღისმაგვარ საგანზე არსებული ბიომასალის (ობ. №...) შერეული გენეტიკური პროფილების მაჟორული წილი და კ. ჩ-ის (ობ. №...; პაკეტი, წარწერით: „ჩ-ე კ. ნერწყვის ნიმუში“) გენეტიკური პროფილი იდენტურია. ექვს ცალ ვაზნაზე არსებული ბიომასალის (ობ. №.) შერეული გენეტიკური პროფილის მაჟორული წილი და კ. ჩ-ის (ობ. №.) გენეტიკური პროფილი იდენტურია. აღნიშნული დასკვნის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა შ. კ-ემ.

49. მოწმეებმა რ. წ-მა, კ. ნ-ემ, მ. ჯ-ემ, ი-მა, ს. ე-მა, გ. გ-ამ, გ. ი-მა და ა. ხ-მა დაადასტურეს მათ მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების სისწორე.

50. ბინის ჩხრეკის ოქმის თანახმად, 2018 წლის 27 დეკემბერს 03:20 საათზე ჩატარდა ქ. ..., ... ბინის ჩხრეკა, რომელსაც ფლობდა და სარგებლობდა კ. ჩ-ე. ბინის ჩხრეკისას საძინებელ ოთახში ხელმარჯვნივ განთავსებულ კომოდის ბოლო უჯრაში აღმოჩენილი იქნა პისტოლეტი ნომრით ..., რომელშიც მოთავსებული იყო მჭიდი და 7 ცალი ვაზნა. საძინებელ ოთახში განთავსებულ ტანსაცმლის კარადიდან აღმოჩენილი და ამოღებული იქნა მოშავო ფერის პოლიეთილენის პარკში მოთავსებული 6 ცალი ვაზნა.

51. ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილი ... ობიექტი არის ქარხნული წესით დამზადებული, 1951 წლის ნიმუშის, მაკაროვის კონსტრუქციის 9 მმ კალიბრის პისტოლეტის საშტატო ნიმუში „ПМ“, იგი მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის. აღნიშნულ პისტოლეტზე რაიმე კონსტრუქციულად გადაკეთების კვალი არ აღინიშნება. ექსპერტიზაზე წარდგენილი პისტოლეტის მარცხენა მხარეს ჩარჩოზე და ჩამკეტის გარსაცმზე არსებული ნომრები „..“., მსგავსია დამამზადებელი საწარმოს მიერ შესრულებული მარკირებებისა. ... პისტოლეტზე რაიმე კონსტრუქციულად გადაკეთების კვალი არ აღინიშნება. 13 ობიექტი არის ქარხნული წესით დამზადებული 1951 წლის ნიმუშის 9 მმ კალიბრის ვაზნა, განკუთვნილი მაკაროვის კონსტრუქციის პისტოლეტებისათვის „ПМ“; სტეჩკინის კონსტრუქციის ავტომატური პისტოლეტებისათვის და სხვა (მათ შორის ექსპერტიზაზე წარდგენილი ... პისტოლეტისათვისაც). აღნიშნული ვაზნები მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად. აღნიშნული დასკვნის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა პ. დ-მ.

52. ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, პაკეტში, წარწერით: 1 ც. პისტოლეტი მჭიდით და 7 ც. ვაზნით ამოღებული საძინებელში კომოდის ქვედა უჯრიდან და 6 ცალი ვაზნა მოშავო ფერის პოლიეთილენის პარკში (ამოღებული საძინებელში ტანსაცმლის კარადიდან) მოთავსებულ იარაღის მაგვარ საგანზე არსებული ბიომასალის (ობ. №1,2) შერეული გენეტიკური პროფილების მაჟორული წილი და კ. ჩ-ის (ობ. №...; პაკეტი, წარწერით: „... ნერწყვის ნიმუში“) გენეტიკური პროფილი იდენტურია. ექვს ცალ ვაზნაზე არსებული ბიომასალის (ობ. №5) შერეული გენეტიკური პროფილის მაჟორული წილი და კ. ჩ-ის (ობ. №...) გენეტიკური პროფილი იდენტურია. აღნიშნული დასკვნის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა შ. კ-ემ.

53. ბრალდებულმა კ. ჩ-ემ თავი არ სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. მან განაცხადა, რომ 20 დეკემბერს თ. ლ-ისგან ერთი დღით, პირადი საჭიროებისთვის, იქირავა ა/მანქანა „ტოიოტა აქვა“, რომელიც დაუბრუნა მეორე დღეს. მანქანა შიგნიდან დასვრილი არ ყოფილა, მანქანაში ედო ლეპტოპი და არა რაიმე ჩანთა. კაზინოში მოიგო 1200 ლარი, რის შემდეგაც იმყოფებოდა სავაჭრო ცენტრ „...-ის“ მაღაზიებში, სადაც მოგებული თანხით შეიძინა ბავშვებისთვის ნივთები, ხოლო 800 ლარი ამოიღეს მისი პირადი ჩხრეკისას. კ. ჩ-ემ კატეგორიულად უარყო მისი მონაწილეობა სს „...-ის“

ექსპრეს ფილიალის დაყაჩაღებაში. ასევე განაცხადა, რომ სავარაუდოდ პოლიციის თანამშრომლებმა წაიყვანეს ეს მანქანა და თვითონ მოიყვანეს დასვრილ მდგომარეობაში; ასევე, პოლიციის თანამშრომლებმა მისი დაკავების შემდეგ, ამოიღეს საცხოვრებელი ბინის გასაღები, სადაც წინასწარ შეიტანეს და ბინის სხვადასხვა ოთახებში დააწყვეს ფულადი კუპიურები, ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები, რის შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს ბინის ჩხრეკა.

54. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს საფუძველი მითითებული მტკიცებულებების უტყუარობასა და სანდოობაში ეჭვის შესატანად, ვინაიდან ისინი იმყოფებიან ურთიერთთანხვედრასა და ლოგიკურ ურთიერთკავშირში.

55. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ კ. ჩ-ის ადვოკატების არგუმენტებს, რომ მას არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული და მიაჩნია, რომ მათი პოზიცია მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და მოგონილია კ. ჩ-ისათვის პასუხისმგებლობის არიდების მიზნით.

56. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდების მხარის მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურებულია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2018 წლის 20 დეკემბერს კ. ჩ-ემ თ. ლ-ისგან იქირავა ავტომანქანა „ტოიოტა აქვა“, სწორედ ამის შემდეგ მოხდა ბანკის ფილიალის დაყაჩაღება და აღნიშნული ავტომანქანით ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილება. ავტომობილში (როგორც გარედან, ასევე სალონში), ასევე კ. ჩ-ის ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ფულად კუპიურებზე და სავაჭრო ცენტრიდან ამოღებულ, კ. ჩ-ის მიერ დახარჯულ კუპიურებზე აღბეჭდილია სს „...-ის“ ექსპრეს ფილიალის დაყაჩაღების შედეგად წაღებული ე.წ „ცხელი ფულის“ კვალი. კ. ჩ-ეს აღნიშნულ ავტომანქანაში დარჩა ის ჩანთები, რომლებიც მას თან ჰქონდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე – ბანკის ფილიალში, რომლებზეც ასევე აღინიშნება ე.წ. „ცხელი ფულის“ კვალი. კ. ჩ-ის ბინიდან ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელზეც დადასტურდა კ. ჩ-ის გენეტიკური პროფილის იდენტურობა (რაც გამორიცხავს პოლიციის მიერ კ. ჩ-ის ბინაში იარაღისა და თანხის დადების ვერსიას). აღნიშნული გარემოებები პირდაპირ და უტყუარად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ კ. ჩ-ე ყაჩაღურად თავს დაესხა ..., ... კვარტალის მიმდებარედ არსებულ სს „...-ის“ ექსპრეს ფილიალს.

57. საფუძველს მოკლებულია კასატორების პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ კ. ჩ-ეს პირადი ჩხრეკისას ამოუღეს საცხოვ-

რებელი ბინის გასაღები, რომლითაც პოლიციელებმა კარი გააღეს და კ. ჩ-ის საცხოვრებელ ბინაში ნივთები განათავსეს. კ. ჩ-ის პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, პირადი ჩხრეკისას არ იყო ამოღებული გასაღები. პირველი ინტანციის სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ბინის მეპატრონის ნ. ქ-ას განმარტებით, ბინას ჰქონდა ორი გასაღები, რომელთაგან ერთს თავად ინახავდა, ხოლო მეორე – ა-სა და კ. ჩ-ეს ჰქონდათ გადაცემული. მოწმის სახით დაკითხული პოლიციის თანამშრომლების განმარტებით, ა-ს ჰქონდა ბინის გასაღები, რომელმაც ჩხრეკის დაწყებამდე გააღო კარი. მოწმე ა-ის ჩვენება ეწინააღმდეგება პოლიციის თანაშრომლების ჩვენებებსა და ჩხრეკის ოქმებს. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი ჩხრეკის ოქმის თანახმად, ა-ის მშობლების ბინის ჩხრეკა ჩატარდა 27 დეკემბერს, 03:05-04:03 საათზე, რომელსაც ესწრებოდა გ. ა-ი, ხოლო კ. ჩ-ის ბინის ჩხრეკა ჩატარდა 27 დეკემბერს, 03:20-05:10 საათზე, რომელსაც ესწრებოდა ა-ი. პარალელურ რეჟიმში მიმდინარე ორ სხვადასხვა ჩხრეკაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა პირები, რაც ქმნის კ. ჩ-ის ბინის ჩხრეკასთან დაკავშირებით ა-ის ჩვენების სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

58. მოწმე ზ. უ-ემ ვერ შესძლო ზუსტად მიეთითებინა დრო, როდესაც კ. ჩ-ის ბინაში ანთებული შუქი და ადამიანები შენიშნა. ვინაიდან 27 დეკემბერს ღამის საათებში (03:20- 05:10სთ) კ. ჩ-ის საცხოვრებელ ბინაში ტარდებოდა ბინის ჩხრეკა არ არის გამორიცხული, რომ სწორედ აღნიშნულ დროს, ბინაში მყოფ პირებსა და ანთებულ შუქს გულისხმობდეს მოწმე, რადგან საწინააღმდეგო საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება.

59. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ პისტოლეტზე მჭიდით და 7 ცალ ვაზნაზე არსებული ბიომასალის შერეული გენეტიკური პროფილების მაჟორული წილი და კ. ჩ-ის გენეტიკური პროფილი იდენტურია. ექვს ცალ ვაზნაზე არსებული ბიომასალის შერეული გენეტიკური პროფილის მაჟორული წილი და კ. ჩ-ის გენეტიკური პროფილი იდენტურია.

60. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ზედა ინსტანციის სასამართლოებს უფლება აქვთ დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., Hirvisaari v. Finland, no49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება, არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ.,Gorou v. Greece (No. 2) no 12686/03, §37, §41,ECtHR, 20/03/2009).

61. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისა და ურთიერთშე-

ჯერების შედეგად, საკასაციო სასამართლოს გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულმა კ. ჩ-ემ ჩაიდინა ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, შესაბამისად, მისი ქმედება სწორად არის დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

62. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ:

63. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

64. საქმის მასალების მიხედვით, კ. ჩ-ე 2017 წლის 13 ივნისს გასამართლებულია თელავის რაიონული სასამართლოს მიერ და მას საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 180 საათის ოდენობით; სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 31 მაისის განაჩენით სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და მოუხდელი სასჯელი – 4 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, მთლიანად დაემატა ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ, კ. ჩ-ეს განესაზღვრა 4 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 5 წელი და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 180 საათით.

65. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 4 აგვისტოს განჩინებით თელავის რაიონული სასამართლოს მიერ 2017 წლის 13 ივნისს განაჩენით კ. ჩ-ის მიმართ სასჯელის სახით დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 180 საათის ოდენობით შეიცვალა ჯარიმით – 1500 ლარით.

66. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 სექტემბრის განჩინებით მსჯავრდებულ კ. ჩ-ის მიმართ გავრცელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ 2017 წლის 26 ივლისის საქართველოს კანონის მოქმედება. თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 ივნისის განაჩენში შევიდა ცვლილება, რომლითაც მსჯავრდებულ კ. ჩ-ის ქმედება სსკ-ის 273-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 273[1]-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 საათით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა კ. ჩ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 31 მაისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, კ. ჩ-ეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 5 წელი და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 საათით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განაჩენით კ. ჩ-ე გათავისუფლდა თელავის რაიონული სასამართლოს მიერ 2017 წლის 13 ივნისს განაჩენითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 სექტემბრის განჩინებით საქართველოს სსკ-ის 273[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დანიშნული სასჯელისგან. საბოლოოდ, კ. ჩ-ეს მოსახდელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 31 მაისის განაჩენით სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვლილი აქვს პირობით 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

67. სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმდა კ. ჩ-ის მიმართ პირობითი მსჯავრი და მას მოეხსნა ნასამართლობა.

68. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ ყოფაქცევით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია პირობით მსჯავრდებულის

ყოფაქცევის კონტროლისა და მისი დახმარების განმახორციელებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირობით მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ.

69. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. კანონმდებელი არ უთითებს, რომ აღნიშნული დანაწესი ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენას ადგილი აქვს გამოსაცდელი ვადის გაუქმებამდე, თუმცა განაჩენის დადგენის მომენტისთვის პირობითი მსჯავრი უკვე გაუქმებულია. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი არ ითვალისწინებს უკვე გაუქმებული პირობითი მსჯავრის სასამართლოს მიერ „ავტომატურად გაცოცხლების“ შესაძლებლობას, როდესაც პირობითი მსჯავრი უკვე გაუქმებულია სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

70. იმ პირობებში, როდესაც არ არის გაუქმებული სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება კ. ჩ-ის მიმართ გამოყენებული პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და მისთვის ნასამართლობის მოხსნის თაობაზე, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული განზრახი დანაშაულისთვის განაჩენის დადგენისას კ. ჩ-ე ითვლებოდა ნასამართლობის არმქონედ. შესაბამისად, 1-ლი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა მოცემული კონკრეტული შემთხვევის მიმართ საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოქმედების საკითხი. შესაბამისად, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის თანახმად, კ. ჩ-ე განაჩენის დადგენის მომენტში ითვლებოდა ნასამართლობის არმქონედ, არ არსებობდა მის მიმართ არც სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის განსაზღვრის წესის გამოყენების საფუძველი.

71. ამრიგად, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 4 მარტს მსჯავრდებულ კ. ჩ-ის მიმართ გამოტანილ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება და განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ კ. ჩ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 31 მაისის განაჩენით გამოყენებული პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ამ განაჩენით გათვალისწი-

ნებული, მის მიერ მოუხდელი რეალური სასჯელის – 4 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთის იმ ახალი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელით შთანთქმის შესახებ, რომელიც მან ჩაიდინა ხსენებული პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში.

72. რაც შეეხება მსჯავრდებულ კ. ჩ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნულ სასჯელს, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებს, ასევე ჩადენილი ქმედების ხასიათს (ჩადენილია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის ძალადობრივი დანაშაული), მსჯავრდებულის პიროვნებასა და წარსულ ცხოვრებას, ზიანის სახით დამდგარ შედეგს, მსჯავრდებულის პირად და ოჯახურ მდგომარეობას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ კ. ჩ-ეს განუსაზღვრა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებშია, არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებსა და სასჯელის მიზნებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ კ. ჩ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ღ-ასა და გ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს შემდეგი მითითება: „საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს კ. ჩ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 31 მაისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის

236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლით, 11 (თერთმეტი) თვით და 27 (ოცდაშვიდი) დღით, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩათვლილი აქვს პირობით 5 (ხუთი) წლის გამოსაცდელი ვადით.

4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, კ. ჩ-ის მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლით, 11 (თერთმეტი) თვით და 27 (ოცდაშვიდი) დღით და საბოლოოდ, ბრალდებულ კ. ჩ-ეს, განაჩენთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 11 (თერთმეტი) წლის ვადით“.

5. შესაბამისად, კ. ჩ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანქთას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. მსჯავრდებულ კ. ჩ-ეს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2018 წლის 27 დეკემბრიდან.

7. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო ნაწილი

1. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ

დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განზრახ მკვლელობა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№355ას-20 6 ოქტომბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე)
მ. ვასაძე,
მ. გაბინაშვილი

დისტანციურად განიხილა მსჯავრდებულ დ. პ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. ხ-ას, მსჯავრდებულ დ. ჩ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – ლ. გ-ისა და ი. ჭ-ას, მსჯავრდებულ გ. გ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ს-ს, მსჯავრდებულ ვ. თ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. ქ-ასა და მსჯავრდებულ გ. ქ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 აგვისტოს განაჩენით:

1.1. დ. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. ჩ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2016 წლის 20 ნოემბრიდან.

1.2. გ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა – 2 წლით; გ. გ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2016 წლის 11 ოქტომბრიდან 2016 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით. მასვე სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2017 წლის 17 აგვისტოდან.

1.3. გ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით; გ. ქ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2016 წლის 10 ოქტომბრიდან 2016 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით. მასვე სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2017 წლის 17 აგვისტოდან.

1.4. ვ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 3 წლით; საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ვ. თ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 დეკემბრის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოუხდელი სასჯელის ნაწილი – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – დაემატა ახლად დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ვ. თ-ს სასჯელად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვით; ვ. თ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2016 წლის 12 ოქტომბრიდან 2016 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2017 წლის 17 აგვისტოდან.

1.5. დ. პ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 3 წლით; საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა დ. პ-ას მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 21 ივლისის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოუხდელი სასჯელის ნაწილი – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – დაემატა ახლად დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. პ-ას სასჯელად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვით. დ. პ-ას სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2016 წლის 12 ოქ-

ტომბრიდან 2016 წლის 14 ოქტომბრის ჩათვლით და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2017 წლის 17 აგვისტოდან.

2. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ: დ. ჩ-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება. დ. პ-ამ, გ. ქ-მა, გ. გ-მა და ვ. თ-მა ჩაიდინეს შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება და ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2016 წლის 9 ოქტომბერს, დაახლოებით 18:30 საათზე, თ-ი, მ-ის კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, დ. ჩ-მ, მოკვლის განზრახვით, თანნაქონი ცეცხლსასროლი იარაღიდან, რომელიც საბრძოლო მასალასთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ ჰქონდა შეძენილი და უკანონოდ ინახავდა და ატარებდა, – რ. ს-ის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა, რის შედეგადაც მას სხეულის სხვადასხვა ადგილას მიაყენა ცეცხლნასროლი ჭრილობები. რ. ს. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, დ. ჩ. კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2.2. დ. პ-ამ, გ. ქ-მა, გ. გ-მა და ვ. თ-მა, რომლებმაც ნამდვილად იცოდნენ, რომ მზადდებოდა და ჩადენილი იყო ზემოაღნიშნული, განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ამის თაობაზე არ შეატყობინეს სამართალდამცავ ორგანოებს.

3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. გ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ს-მ, მსჯავრდებულმა ვ. თ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ჯ. ქ-ამ, მსჯავრდებულმა გ. ქ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. მ-ემ, მსჯავრდებულ დ. პ-ამ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ჯ. ხ-ამ, მსჯავრდებულ დ. ჩ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ი. ჭ-ამ და ლ. გ-მა, რომლებმაც მოითხოვეს პირველი ინსტანციის განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულთა მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. კასატორი – მსჯავრდებულ დ. ჩ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატები – ი. ჭ. და ლ. გ. ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

5.1. პროკურორი, რომელიც მიხვდა, რომ მტკიცებულებების კუთხით ძალიან „უჭირდა“ საქმეს, „შექმნა“ ახალი მტკიცებულებები და მოწმეებს, გარდაცვლილის დედასა და გარდაცვლილის მეუღლეს ათქმევინა ტყუილი, შეაცვლევინა გამოძიებაში მიცემული ჩვენება. როდესაც მოსამართლე ლ. ს-ას ჩვენებას მტკიცებულებად მოიხმობს, აბზაცის ბოლოს გაკვრით ახსენებს: „... მოწმე გარკვეული ხნის მანძილზე კონკრეტული გვარების დასახელებას თავს არიდებდა, რადგან გარკვეული არ იყო სიტუაციაში და შემთხვევის ადგილზე მყოფი მისი მეორე ვაჟის – რ-ს დაცვა სურდა“. საქმის მასალებით კი დასტურდება, რომ გამოძიების ეტაპზევე რ. ს-ს დატოვებული ჰქონდა საქართველო და სიმართლის თქმას წინ არაფერი ედგა, მით უფრო – გამომძიებელთან.

5.2. თ. გ. არის მოწმე, რომელიც უშუალოდ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე; წლებია იგი იმ უბანში ცხოვრობს და მან ვერ შეიცნო მსროლელში პიროვნება. მოწმე ასევე ამბობს, რომ რ. ს. სროლის დროს ფეხზე ადგა, უფრო სწორად, შეძახილის დროს. მაშინ როგორ ავხსნათ ჭრილობების მიმართულება, ზევიდან ქვევით დახრით? აღნიშნული ვერ ახსნა და არ ახსნა სასამართლომ. აღსანიშნავია ისიც, რომ ნ-იც იმ უბნელია, მაგრამ მანაც ვერ იცნო ის პიროვნება, ვინც ისროდა. გ. ბ-მა სააპელაციო სასამართლოში ვერ დაადასტურა გამოძიებაში მიცემული ჩვენების დროს აღწერილი დეტალები და ახსნა რატომ: როგორც კი სროლა დაიწყო, მას ფიქრი მხოლოდ თავისი შვილიშვილისკენ გაექცა და არაფერი არ შეუმჩნევია. თანაც მიუთითა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა; ამოცნობის ოქმის დემონსტრირებისას, როდესაც მოწმის ხელის მოწერაზე დადასტურება ვთხოვეთ, ბ-მა განაცხადა, რომ არცერთ გვერდზე, გარდა ბოლო გვერდისა, სადაც ადასტურებდა ამოცნობაში მის მონაწილეობას, ხელის მოწერები მას არ ეკუთვნოდა. მან ასევე სასამართლოს განუცხადა, რომ რაღაც ფურცლებზე ხელს აწერინებდნენ, თუმცა არ წაუკითხავს და არც ფოტოები უნახავს.

5.3. რაც შეეხება იარაღის ნაწილში ბრალდებას: არ არსებობს ერთი მტკიცებულებაც კი, რომ დ. ჩ. ფლობდა ან ატარებდა იარაღს.

6. კასატორი – მსჯავრდებულ დ. პ-ას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ჯ. ხ. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

6.1. ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციაში ჯერ კიდევ 2015 წლის 7 დეკემბერს დაიწყო გამოძიება დ. პ-ას ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე (სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით), თუმცა შემდეგში გამოძიება შეწყდა, რაც ცალ-

სახად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ წარსულში რ. ს-ს დ. პ. არ დაუჭრია. ბრალდების მხარემ, მართალია, ამ საქმეზე გამოძიება განაახლა, თუმცა ეს იყო ფორმალური მოქმედება, რამდენადაც არანაირი რეაგირება მას დღემდე არ მოჰყოლია. რ. ს., რომელიც უშუალოდ შეესწრო თავისი ძმის მკვლელობას, პირდაპირი მოწმე იქნებოდა მოცემულ სს საქმეზე. გამოძიებამ კი თავი აარიდა მის მიმართ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას. არავითარი პროცესუალური ძალა არ უნდა ჰქონოდა მოწმის სახით გამოკითხულ პირთა ინფორმაციას, მით უფრო მაშინ, როდესაც მოწმეებმა დააფიქსირეს სასამართლოზე პოლიციელთა მიერ ზეწოლის ფაქტი. არცერთი გამოკვლეული მტკიცებულებით არ იკვეთება ის ფაქტი, რომ დ. პ-ამ იცოდა რ. ს-ის მკვლელობის მომზადებისა და ჩადენის შესახებ.

6.2. დ. პ-ას შემთხვევის ადგილზე ყოფნის ფაქტის გამომრიცხველი მტკიცებულებაა ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, მის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე დენთის წვის შედეგად წარმოქმნილი მიკრონაწილაკები არ აღინიშნება. ამასთან, შემთხვევის ადგილზე მყოფი პირები: გ. ბ., ე. ნ., თ. გ., რომლებიც მოწმის სახით დაიკითხნენ, არ ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ რ. ს-ზე თავდამსხმელთა შორის იმყოფებოდა დ. პ..

7. კასატორი – მსჯავრდებულ გ. გ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. ს. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

7.1. პროკურორმა განაცხადა, რომ გარდაცვლილის დედამ დაინახა, თუ როგორ ჯდებოდა გ. გ. ავტომანქანაში. ქალბატონ ლ. ს-ას, დაინტერესებულ პირს, წინასწარ გამოძიებაში აღნიშნულის შესახებ არაფერი განუცხადებია, რადგან მისი შვილები ცხოვრობენ „ცხოვრების სხვა წესით“ და ვერ დაასახელებდა დამნაშავე პირთა ვინაობას; ანძის მიხედვით, ადვოკატის ტელეფონიც რომ გადაეგზავნათ, ანალოგიურ სურათს მიიღებდნენ, რადგან იქვე ცხოვრობს.

8. კასატორი – მსჯავრდებულ ვ. თ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ჯ. ქ. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

8.1. განაჩენში ჩამოთვლილი მოწმეებიდან არცერთს მსჯავრდებულ ვ. თ-ის მამხილებელი ჩვენება არ მიუცია, არცერთი მოწმის ჩვენებით არ დასტურდება დანაშაულის ჩადენის დროს ვ. თ-ის შემთხვევის ადგილზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტი.

დადგენილია მხოლოდ ის, რომ ვ. თ. იმყოფებოდა იმ რადიუსში, რომელ ტერიტორიასაც ემსახურება აღნიშნული ანძა (რომლის მოქმედების რადიუსი იზომება არა მეტრებით, არამედ კილომეტრებით). ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ვ. თ-ის ფეხსაცმელზე აღმოჩნდა რ. ს-ის სისხლის კვალი. ამ დასკვნის თანახმად, ვ. თ. თითქმის გვერდით უნდა მდგარიყო რ. ს-თან და ეს რომ ასე ყოფილიყო, იქ მყოფი მრავალი თვითმხილველი მოწმიდან ერთი მაინც შეამჩნევდა ვ. თ-ს. ბრალდებულს ფეხსაცმელი სისხლით რომ დასვროდა, მას აუცილებლად მოიშორებდა.

9. კასატორი – მსჯავრდებულ გ. ქ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. მ. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

9.1. ბ. მ-ის ჩვენებაში არაფერია ნათქვამი რ. ს-ის მკვლელობის მომზადებაზე. დ. ჩ-ის ჩვენება ასევე არ არის გ. ქ-ის ბრალის დამადასტურებელი; მასში მინიშნებაც არ არის იმაზე, რომ გ. ქ-მა იცოდა განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულის მომზადების შესახებ. რაც შეეხება მობილურ ტელეფონებზე შემავალი და გამავალი ზარებისა და მათი მომსახურე ანძების დეტალური ნუსხის დათვალიერებას, აღნიშნულით შეუძლებელია დადასტურდეს ფაქტი, რომ გ. ქ-ისათვის ცნობილი იყო რ. ს-ის მკვლელობის მომზადების შესახებ. რაც შეეხება მსჯავრდებულთა მობილურ ტელეფონებზე შემავალ-გამავალი ზარების, მათი მომსახურე ანძების დეტალურ ნუსხას, აღნიშნულით შეიძლება დადასტურდეს კონკრეტული პირის კონკრეტულ დროს გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში ყოფნის ფაქტი და არა – პირის დანაშაულებრივი განზრახვის არსებობა დროის კონკრეტულ მონაკვეთში. გ. ქ. დაადანაშაულეს განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობაში, რომლის მზადება და ჩამდენის ვინაობა მან იცოდა. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, ვინ ამზადებდა აღნიშნულ დანაშაულს და რით დასტურდება იგი.

10. საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატებმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივრებს და ითხოვეს მათი დაკმაყოფილება (რასაც დაეთანხმნენ მსჯავრდებულები), ხოლო პროკურორმა იოსებ ხუციშვილმა ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. გ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ს-სა და მსჯავრდებულ გ. ქ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ის საკასაციო საჩივრე-

ბი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ დ. ჩ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – ლ. გ-ისა და ი. ჭ-ს, მსჯავრდებულ დ. პ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. ხ-ასა და მსჯავრდებულ ვ. თ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. ქ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო სასამართლო პირველ რიგში იმსჯელებს დ. ჩ-ის მსჯავრდების (დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 108-ე მუხლით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით), ხოლო შემდეგ კი დ. პ-ას, ვ. თ-ის, გ. გ-ისა და გ. ქ-ის მსჯავრდების (დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 376-ე მუხლით) საფუძვლიანობაზე, კერძოდ:

3. მსჯავრდებულ დ. ჩ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების პოზიციას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად გაიზიარა ლ. ს-ას (გარდაცვლილ რ. ს-ის დედის) ჩვენება საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება შემდეგ გარემოებათა გამო:

4. მოწმე ლ. ს-ამ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ 2016 წლის 9 ოქტომბერს, დაახლოებით 18:00 საათზე, ავიდა სახლში. მისი შვილები კი – რ. და რ. ს-ები დაბლა ჩავიდნენ. მეზობლები „ბესედკაში“ დომინოს თამაშობდნენ. იქ მის ბიჭებთან ერთად იყვნენ: ი. ნ., გ. ბ., თ. გ., ჯ. კ.. მოწმემ მიუთითა, რომ მისი აივანი პირდაპირ უყურებს დასახელებულ ადგილს და ჩანს ხელის გულივით. სახლში ასვლიდან 10-15 წუთში მან ერთი გასროლის ხმა გაიგო და გავიდა აივანზე. დაინახა დ. ჩ., რომელიც „ბესედკის“ გარეთ უცნობ პირთან ერთად იყო. ჩ-ს „სერი“ ფერის სპორტული და ჯინსი ეცვა. მისი შვილი – რ-ი ავტოფარეხთან იდგა. ჩ-მ სროლა დაიწყო. ლ. ს-ამ აგრეთვე დაინახა, რომ დ. პ. ამ „ბესეტკაში“ შევიდა. სროლა რომ გაიგო, დაბლა ჩავიდა და იმ მიმართულებით გაიქცა. ყველაფერი წამებში მოხდა. მისი მიმართულებით მორბოდა ჩ. ხელში იარაღით, რომელსაც პირისპირ შეხვდა (მისგან დაახლოებით 15 მეტრში, შემთხვევის ადგილიდან – 30 მეტრში). დ. ჩ. დაბნეული იყო და მილიციის კორპუსებისკენ გაიქცა. დაზარალებულმა აგრეთვე დაინახა ვერცხლისფერი ავტომანქანა, რომლის საჭესთან გ. გ. დაჯდა. მანქანა შემთხვევის ადგილიდან ხუთ მეტრში იყო და ისიც მილიციის კორპუსებისკენ წავიდა.

4.1. როგორც ლ. ს-ამ დამატებით აღნიშნა, მან მოგვიანებით შეიტყო, რომ ერთი წლის წინ მის შვილს, რ-ს დ. პ-ასათვის დანა დაურტყამს. პირველ სართულზე მცხოვრებმა მეზობელმა უთხრა, რომ შემთხვევის დროს დ. პ-ას დანა ჰქონდა. მეზობლებმა ყველაფერი დაინახეს, მაგრამ შიშის გამო არაფერს ამბობენ, რადგან ეს ბიჭები ნასამართლევები არიან. მას გამოძიების სტადიაზე არაფე-

რი უთქვამს. რძალს უთხრა, რომ დ. ჩ-მ ესროლა. ლ. ს-ამ აგრეთვე განაცხადა, რომ შემთხვევამდე ორი დღით ადრე დ. ჩ-მ, ი. ჩ-მ, დ. პ-ამ და ვ. თ-მა, ასევე სხვა პირებმა მათი აივნის წინ ჩაიარეს და აივანზე მეუღლესთან ერთად მდგარი რ-ი როცა შენიშნეს, მათ წინ გაჩერდნენ და „თავხედურად უყურებდნენ“. რ-ს ბიჭებისათვის არაფერი უთქვამს.

4.2. მოწმე ლ. ს-ამ ასევე აღნიშნა, რომ იგი შემთხვევიდან თვენახევრის შემდეგ დაიკითხა, მაგრამ არაფერი განაცხადა, რადგან რ-ს გამო ეშინოდა. იგი ასევე იყო დაჭრილი. ამასთან, რ-ი „სხვანაირი ცხოვრებით ცხოვრობდა“. მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის თვითმხილველი იყო, იგი იმიტომ არიდებდა თავს კონკრეტული გვარების დასახელებას, რომ შემთხვევის ადგილზე მყოფი მეორე ვაჟი – რ. დაეცვა.

5. დაცვის მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ლ. ს. ვერ შეძლებდა დაენახა, თუ რა მოხდა შემთხვევის ადგილზე, უსაფუძვლოა, ვინაიდან როგორც თ. გ-ისა და ე. ნ-ის ჩვენებებით დგინდება, ლ. ს-ას აივანსა და შემთხვევის ადგილს შორის მანძილი დაახლოებით 35 მეტრიდან – 40 მეტრამდე მერყეობს. მოწმე მ. ა., რომელიც მისივე განმარტებით, ლ. ს-ას გვერდით სადარბაზოში ცხოვრობს, უთითებს, რომ შემთხვევის ადგილი მისი აივნიდან 20-30 მეტრშია. ამასთან, მოწმეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ აივანი პირდაპირ უყურებს შემთხვევის ადგილს (ლ. ს-ას ჩვენების თანახმად – „ხელის გულივით ჩანს“).

5.1. მაშასადამე, საკასაციო პალატას არ გააჩნია საფუძველი, ეჭვი შეიტანოს იმ გარემოებაში, რომ ლ. ს-ას შეეძლო შემთხვევის ადგილზე განვითარებული მოვლენების პირდაპირ დანახვა.

6. ადვოკატები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ბრალდების მხარემ ლ. ს-ს სასამართლოში შეაცვლევინა მისი პირვანდელი ჩვენება (ათქმევინა ტყუილი), მაშინ როცა გამოძიების სტადიაზე იგი არ ასახელებდა კონკრეტულ გვარებს და ამასთან, როდესაც გამომძიებლის მიერ იკითხებოდა, მისი მეორე ვაჟი საქართველოში უკვე აღარ იყო.

6.1. საკასაციო პალატა დაცვის მხარის აღნიშნულ პოზიციას არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ როგორც სასამართლო სხდომაზე მოწმედ დაკითხვის დროს ლ. ს-ამ განაცხადა, გამოძიების სტადიაზე იგი გამოიკითხა ნებით და რაიმე სახის ზეწოლა მასზე არ მომხდარა. ამასთან, მტკიცებულება, რომელიც თუნდაც ირიბი ფორმით მიუთითებდა გამოძიების მხრიდან ლ. ს-ზე ზეწოლის ფაქტზე, წარმოდგენილი არ ყოფილა.

6.2. რაც შეეხება ადვოკატების აპელირებას – თუ რატომ არ მიუთითა ლ. ს-ამ პირველივე დაკითხვის დროს, რომ იგი იყო მისი შვი-

ლის მკვლელობის თვითმხილველი, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, ზოგადად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოწმის მიერ გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების შესაბამისი ორგანოსათვის განუცხადებლობა შესაძლებელია განპირობებული იყოს მისი ან მისი ახლობლის მიმართ მოსალოდნელი საფრთხის რეალური და საფუძვლიანი შიშით. საფრთხის აღმოფხვრის შემდეგ კი მოწმისათვის უკვე აღარ არსებობს რაიმე სახის დამაბრკოლებელი გარემოება – შესაბამისი ორგანოსთვის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

6.3. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, თუ რატომ არ განაცხადა მოწმემ გარკვეული ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოში დაკითხვის დროს და რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც მან ამ ინფორმაციის გაცხადება გადაწყვიტა.

6.4. მაშასადამე, ყველა შემთხვევა, როდესაც პირმა, კონკრეტული ინფორმაცია შესაბამის ორგანოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ განუცხადა, არ შეიძლება უპირობოდ ერთსა და იმავე სამართლებრივ სიბრტყეში მოექცეს. ამასთან, ზოგადად, შიშის ფაქტორი, რომ მოწმესთან მიმართებით სამართლებრივ მოცემულობას გარკვეულწილად ცვლის, დადასტურებულია საკონსტიტუციო სასამართლოს №1/1/548 გადაწყვეტილებითაც (კერძოდ, რომ საგამონაკლისო წესით „სასამართლომ შესაძლებელია განიხილოს ირიბი ჩვენების დაშვების შესაძლებლობა, როდესაც მოწმე ან დაზარალებული დაშინებულია“) და ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკითაც (მაგალითად, იხ. საქმე „ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, Al-Khawaja and Tahery v. The United Kingdom, 2011 წლის 15 დეკემბერი).

6.5. მოცემულ შემთხვევაში, გარდაცვლილის დედამ სასამართლოში მიცემულ თავის ჩვენებაში ნათლად ახსნა, რომ გამოძიების ეტაპზე დაკითხვის დროს მას ეშინოდა და სურდა შემთხვევის ადგილზე მყოფი მეორე ვაჟი – რ. დაეცვა (რომელიც ასევე დაჭრილი იყო). ის ფაქტი, რომ ლ. ს. შემთხვევის თვითმხილველი ნამდვილად იყო, დასტურდება მათ შორის დაზარალებულის უფლებამონაცვლე თ. ო-ას (გარდაცვლილის მეუღლე) ჩვენებით, კერძოდ, აღნიშნულმა მოწმემ როგორც გამოძიების სტადიაზე (2016 წლის 20 ოქტომბერი), ისე სასამართლოში ერთგვაროვნად განმარტა, რომ მისი დედამთილი შემთხვევის თვითმხილველი იყო და მან (ლ. ს-ამ) აგრეთვე დაინახა პირი, რომელმაც ესროლა რ. ს-ს. სასამართლო სხდომაზე თ. ო-ამ აგრეთვე მიუთითა, რომ ჩ-ის გვარი დედამთილმა მას შემდეგ უთხრა, რაც მისი მაზლი საქართველოდან წავიდა.

მოწმემ აგრეთვე დაადასტურა ფაქტი, რომ რ. იყო დაჭრილი. ამდენად, დედის განცხადებას, რომ მას სურდა მეორე ვაჟის დაცვა, საკასაციო სასამართლო საეჭვოდ არ მიიჩნევს.

6.6. დაცვის მხარე აგრეთვე აპელირებს რ. ს-ის ბინაზე გამოცხადების ოქმებზე, კერძოდ, ადვოკატების განმარტებით, გამომძიებელი რ. ს-ის ბინაზე პირველად გამოცხადდა 2016 წლის 5 დეკემბერს. ამ ოქმის თანახმად, ლ. ს. აღნიშნავს, რომ მას შვილი უკვე 20 დღეა არ უნახავს. ამასთან, დაზარალებულმა გამომძიებელს სამჯერ განუცხადა, რომ მისი შვილი უკვე დიდი ხანია არ იმყოფებოდა საქართველოში. შესაბამისად, 2016 წლის 22 ნოემბერს, როდესაც ლ. ს. საგამოძიებო ორგანოში იკითხებოდა, მისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ რ. ს-ს ქვეყანა დატოვებული ჰქონდა (რის გამოც საფრთხეც ვერ იარსებებდა). საკასაციო პალატა ადვოკატების (ი. ჭ-ასა და ლ. გ-ის) ამ განცხადებას, რამდენიმე არგუმენტის გათვალისწინებით, ვერ დაეთანხმება:

6.7. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ბინაზე გამოცხადების არცერთ ოქმში (2016 წლის 5 დეკემბერი, 2016 წლის 7 დეკემბერი, 2016 წლის 20 დეკემბერი) ლ. ს. არ აცხადებს, რომ მისმა შვილმა საქართველო დატოვა (სამივეგან ერთგვაროვნად უთითებს, რომ არ იცის მისი ადგილსამყოფელი); მეორე, შვილის კონკრეტული ადგილსამყოფლის არცოდნა ცალსახად არ შეიძლება ნიშნავდეს, რომ ლ. ს. უკვე მიიჩნევდა, რომ მისი შვილი – რ. უსაფრთხოდ იყო და მესამე, როგორც საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის წერილითა და მასზე თანდართული ფაილით ირკვევა (გამოქვეყნდა: 02.08.2017 წლის სასამართლო სხდომაზე), რ. ს-მა საქართველო დატოვა 2016 წლის 15 დეკემბერს (ე.ი ლ. ს-ას საგამოძიებო ორგანოში დაკითხვის დროს, 2016 წლის 22 ნოემბერს, ის ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდა).

7. ლ. ს-ას ჩვენების სანდოობასთან მიმართებით აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მის მიერ გაცხადებული რიგი ფაქტობრივი გარემოებები დასტურდება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული სხვა მტკიცებულებებითაც. მაგალითად, ის ფაქტი, რომ დ. ჩ-ს ეცვა ნაცრისფერი სპორტული ზედა, დაადასტურა აგრეთვე ი. ჩ-მაც. ლ. ს-ამ აგრეთვე განაცხადა, რომ, როგორც მან დაინახა, შემთხვევის ადგილზე ასევე იმყოფებოდნენ: ე. ნ., გ. ბ. და თ. გ. (აღნიშნული პირები ნამდვილად ადასტურებენ შემთხვევის ადგილზე ყოფნის ფაქტს).

8. მაშასადამე, დაცვის მხარის არგუმენტები ლ. ს-ას სასამართლოში მიცემული ჩვენების გაუზიარებლობის თაობაზე (კერძოდ, რომ მოწმეს ათქმევინეს ტყუილი, იგი ვერ შეძლებდა შემთხვევის ადგილის დანახვას, უსაფუძვლო იყო მისი მეორე შვილის დაცვის

შიში) არ დასტურდება საქმის მასალებით და ეწინააღმდეგება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. ამასთან, როგორც აღინიშნა, მიზანშეუწონელია საკასაციო სასამართლომ ლ. ს-ას ჩვენება მხოლოდ იმის გამო არ გაიზიაროს, რომ მოწმემ მეორე შვილის დაცვის მიზნით საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მისთვის საფრთხის აღმოფხვრის შემდეგ, მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე განაცხადა.

9. ამდენად, საკასაციო სასამართლო ლ. ს-ას ჩვენებას მიიჩნევს დ. ჩ-ის ბრალეულობის დამადასტურებელ პირდაპირი სახის მტკიცებულებად და მის უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გააჩნია.

10. საკასაციო პალატა დ. ჩ-ის ბრალდების (სსკ-ის 108-ე მუხლით) მართებულობის დამადასტურებლად ზემოაღნიშნულ ჩვენებასთან ერთად, მხედველობაში იღებს ი. ჩ-ის ჩვენებასაც, კერძოდ, აღნიშნულმა მოწმემ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მიუთითა, შემდეგი:

10.1. იგი არ იცნობს არც გარდაცვლილს და არც ბრალდებულებს. შემთხვევის დღეს შ-სთან ა. ჩ-თან ერთად იმყოფებოდა (რომელიც მანქანას აკეთებდა). შ-ის ზედა, საცხოვრებელი კორპუსების ეზოების მხრიდან დაინახა სირბილით მომავალი, დაახლოებით 20-25 წლის ბიჭი, რომელიც ერთი ხელით თმას ისწორებდა, ხოლო მეორე შარვლის საქამრესთან ჰქონდა. მან გზის მეორე მხარეს გადაირბინა და თ. სკოლასთან ჩაუხვია; ბიჭს ლურჯი შარვალი და ნაცრისფერი სპორტული ზედა ეცვა. ჯინსი ეცვა თუ არა, არ ახსოვს. იქნებოდა 1.80 მ. სიმაღლის, გამხდარი, ჰქონდა წვერი, მოგრძო ცხვირი, გრძელი თმა და საშუალო შუბლი. ეს ბიჭი მისი მხედველობის არეში დაახლოებით 4-5 წამს იყო. თავად იქ კიდევ 5-10 წუთს გაჩერდა და წავიდა სუპერმარკეტში სიგარეტის საყიდლად, რომელიც თ-სა და შ-ების კვეთაზე მდებარეობს. დაინახა სასწრაფო და სახანძრო და რომ მივიდა, გაიგო, რომ ვიღაც დაჭრეს. მასთან პოლიციელი მივიდა და ჰკითხა, რამე ხომ არ დაუნახავს. მანაც აუხსნა, რომ დაინახა ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც მისი ყურადღება მიიქცია. პოლიციელმა მისი ნომერი ჩაიწერა.

10.2. მოწმემ აგრეთვე განაცხადა, რომ ამოცნობა სურათებით ჩატარდა, სადაც იერით, წვერით, მოგრძო ცხვირით ამოიცნო პირი, რომელიც გამორბოდა. მან გაიგო, რომ იგი იყო დ. ჩ.. შემდეგ კიდევ დაიბარეს ამოსაცნობად და მთელი დღე დიღომში იყო, მაგრამ ამოცნობა არ ჩატარდა. როგორც იცის, დაცვის მხარე არ მივიდა.

11. ადვოკატები საკასაციო საჩივარში უთითებენ, რომ ი. ჩ-ის ჩვენებაში ეჭვი მხოლოდ მისი პოლიციელობის გამო არ ეპარებათ.

იგი შემთხვევის ადგილზე არ ცხოვრობდა და არც ინციდენტის დროს იყო ადგილზე, ამასთან, საქამრეზე ხელის ჭერა არ შეიძლება მიუთითებდეს დ. ჩ-ის მიერ ვინმეს მოკვლის ფაქტზე.

11.1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ი. ჩ-ის ჩვენებით დასტურდება არა უშუალოდ დ. ჩ-ის მიერ რ. ს-ისთვის სროლისა და მოკვლის ფაქტი, არამედ – ფაქტი, რომ იგი სწორედ შემთხვევის ადგილზე იყო და იქიდან მორბოდა. მოწმის განცხადებით, ამ პირმა იმიტომ მიიქცია მისი ყურადღება, რომ იგი სწრაფად გარბოდა, იყო შეშინებული, აქეთ-იქით იყურებოდა, მაგრამ არავინ მისდევდა. ამასთან, მართალია, მოწმემ ვერ დაინახა, ხელში ზუსტად რა ეჭირა დ. ჩ-ს, მაგრამ მიუთითა, რომ ერთი ხელი ჰქონდა საქამრესთან. როგორც აღინიშნა, ლ. ს-ამ მიუთითა, რომ როდესაც დაბლა ჩავიდა, მისი მიმართულებით მორბოდა დ. ჩ. ხელში იარაღით, რომელიც დაბნეული იყო და მილიციის კორპუსებისაკენ გაიქცა. მაშასადამე, ლ. ს. ხედავს: ხელში იარაღით, დაბნეულ, მილიციის კორპუსებისაკენ გაქცეულ დ. ჩ-ს, ხოლო ი. ჩ. ხედავს: კორპუსებიდან სირბილით მომავალ, შეშინებულ პირს, რომელსაც ერთი ხელი უჭირავს საქამრესთან. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ჩვენებები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს და მეტიც, ლოგიკურად ავსებს სროლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს.

11.2. რაც შეეხება ი. ჩ-ის ჩვენების სანდოობის შეფასებისას იმ ფაქტზე მითითებას, რომ იგი ყოფილი პოლიციელია, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწმე მისი განმარტებით, წლების წინ დაცვის პოლიციის თანამშრომელი იყო. იმ საგამოძიებო ორგანოსთან, რომელიც რ. ს-ის გარდაცვალებას იძიებდა მისი სამსახურებრივი კავშირი დადგენილი არ არის. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ი. ჩ-ის მოქმედი პოლიციელის სტატუსის არსებობის შემთხვევაშიც კი დაუშვებელია, რომ მხოლოდ მოცემულ ფაქტს (სტატუსს) გაეხადა მოწმის ჩვენება საეჭვო. ასეთი მიდგომა არ გამომდინარეობს თავად უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდანაც (მაგალითად, იხ. №262ას-17 გადაწყვეტილება).

12. 2016 წლის 10 ოქტომბრის ფოტოსურათით ამოცნობის ოქმით დადასტურებულია, რომ ი. ჩ-მა ამოიცნო ის პირი, რომელმაც 2016 წლის 9 ოქტომბერს, შ-სთან ყოფნისას, მის მახლობლად ჩაირბინა. მის მიერ ამოცნობილი პირი კი აღმოჩნდა დ. ჩ..

12.1. საკასაციო სასამართლო დ. ჩ-ის ამოცნობის ოქმთან მიმართებით არ ეთანხმება დაცვის მხარის არგუმენტებს და აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცულია საქართველოს სსსკ-ის 131-ე მუხლის მოთხოვნები. ამასთან, სურათებზე ასახული პირები ერთმანეთისა და ამოსაცნობისგან მკვეთრად არ განსხვავდებიან.

13. მაშასადამე, საკასაციო პალატას აგრეთვე არ გააჩნია რაიმე სახის საფუძველი, საეჭვოდ მიიჩნიოს ი. ჩ-ის ჩვენების სარწმუნოობა.

14. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირები, რომლებიც შემთხვევის ადგილზე მათ შორის იმყოფებოდნენ, არიან: თ. გ., ე. ნ. და გ. ბ..

15. როგორც მოწმეების: ე. ნ-ისა და თ. გ-ის ჩვენებებით დადგინდა, ისინი ბრალდებულებს (დ. ჩ., ვ. თ., გ. გ., გ. ქ., დ. პ.) არ იცნობდნენ. ამასთან, თ. გ-მა აღნიშნა, რომ პირი, რომელიც ისროდა: „შეიძლება ლანდად დავინახე, მაგრამ ისე, რომ დამეფიქსირებინა, არა, იმიტომ, რომ გვერდიდან იდგა. უფრო მკლავი დავინახე. ანუ პიროვნება დავინახე ხელით და ნახევრად, პროფილში“. მოწმე ე. ნ-მა კი განაცხადა, რომ პირი, ვინც ისროლა, არ ახსოვს. „სროლის ხმა რომ გავიგე, ინსტინქტურად ავიხედე მაღლა და იარაღიანი ხელი დავინახე ჩემს ზურგს უკან. მგონი ორი პირი იდგა. ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ“. შემდეგ დაცვის მხარის კითხვაზე ე. ნ-მა განაცხადა, რომ ეს ადამიანი დაინახა მთლიანად. ამასთან, მოწმეს რამდენჯერმე დასმული კითხვის მიუხედავად, გაუჭირდა ცალსახად დაესახელებინა იმ ბიჭის ტანსაცმლის ფერი, რომელსაც იარაღი ეჭირა.

16. დაცვის მხარე უთითებს, რომ როგორც თ. გ., ისე ე. ნ. წლებია, იმ უბანში ცხოვრობენ, მაგრამ მათ ვერ შეიცნეს მსროლელში პიროვნება; ეს მაშინ, როდესაც სხვა მოწმეები, მათ შორის ლ. ს. აცხადებს, რომ დ. ჩ. და სხვა ბრალდებულები იმავე უბანში გაიზარდნენ და იცნობს სახეზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, თ. გ. და ე. ნ. იმ უბანში ცხოვრობდნენ და იყვნენ ლ. ს-ას მეზობლები, მაგრამ როგორც აღინიშნა, ისინი ლ. ს-ასგან განსხვავებით, ბრალდებულებს საერთოდ არ იცნობდნენ. ამდენად, დაცვის მხარის იმგვარი მითითება, რომ ე. ნ-მა და თ. გ-მა „მსროლელში ვერ შეიცნეს პიროვნება“, – არამართებულია.

17. დანაშაულის ჩამდენი პირები სახეზე აგრეთვე არ დაუნახავს მოწმე ხ. ბ-ს. როგორც მისი ჩვენებით ირკვევა, იგი არ იცნობს დ. ჩ-ს, ვ. თ-ს, დ. პ-ას, გ. გ-სა და გ. ქ-ს. 2016 წლის 9 ოქტომბერს, შემთხვევის მომენტში, ეზოში მდგარი ავტოფარეხის მახლობლად, ხუთი წლის დისშვილთან ერთად იმყოფებოდა და აკეთებდა გაფუჭებულ ავტომანქანას. გაიგო ყვირილი – „არ გაინძრე!“ „არ ესროლო!“ რომ წამოდგა მისკენ ზურგით მდგარი ორი ბიჭი დაინახა და დომინოს მაგიდასთან მყოფი, ასევე ფეხზე წამომდგარი მეზობლები. ჯერ გაიგო გასროლის ხმა (ბიჭების მხრიდან), შემდეგ მისი მანქანის წინ მდგარი იაპონური, „ნისან სქაილაინის“ ფირმის ვერცხლისფერი ავტომობილის ხმა. შემთხვევის ადგილს ბავშვები რომ

მოარიდა და დაბრუნდა, შეიტყო, რომ რ. ს. გარდაცვლილი იყო. მოწმეს არ დაუნახავს ზურგით მდგარი ბიჭების ზემოაღნიშნულ მანქანაში ჩასხდომა, მაგრამ ვარაუდობს, რომ მანქანით შემთხვევის ადგილიდან სწორედ ისინი მიიმალნენ. როცა ბავშვები გაიყვანა და დაბრუნდა, დაახლოებით 1-2 წუთი გავიდა, ნახა, რომ რ. ს-ის დედა უკვე იქ იყო.

18. რაც შეეხება გ. ბ-ის მიერ სააპელაციო სასამართლოში სკაიპის პროგრამით მიცემულ ჩვენებას (მისი გამოძიების დროს მიცემული ჩვენების, ამოცნობაში მონაწილეობის უარყოფას და ჩვენებისა და ამოცნობის ოქმებზე განცხადებას, რომ „ამდენ ფურცელზე ხელი მას არ მოუწერია“) – საკასაციო პალატა მას არასარწმუნოდ მიიჩნევს და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას.

18.1. საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ გ. ბ-ის გამოძიების სტადიაზე დაკითხვასა და ამოცნობის პროცესს ესწრებოდა თარჯიმანი (მოწმემ არ უარყო, რომ ჩვენება თარჯიმანმა წაუკითხა), რომელიც როგორც გამოძიების, ისე ამოცნობის ოქმზე ხელის მოწერით ადასტურებს, რომ გ. ბ-ს ქართულიდან მისთვის გასაგებ, რუსულ ენაზე უთარგმნა დოკუმენტების შინაარსი. ამასთან, გამომძიებელმა ზ. ნ-ემ სასამართლო სხდომაზე დაადასტურა მის მიერ შედგენილი საგამოძიებო მოქმედებები და დაკითხვის დროს მიუთითა, რომ ვინაიდან მოწმეს უჭირდა ქართულად წერა-კითხვა, მოიწვია თარჯიმანი.

18.2. გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც თ. გ-ისა და ე. ნ-ის პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებებით დგინდება, შემთხვევის ადგილზე, სროლამდე ოთხი პირი თამაშობდა დომინოს, კერძოდ, ე. ნ-ის წინ ისხდნენ ბ. და გ., მის გვერდით კი – რ. ს.. თუმცა, ხსენებულმა ორივე მოწმემ, როგორც საგამოძიებო ორგანოში, ისე სასამართლო სხდომაზე ერთგვაროვნად განმარტა, რომ მათ არ იციან, თუ ვინ იყო (იყვნენ) თავდამსხმელი პირი (პირები). შესაბამისად, გაურკვეველია, გამოძიებას მოწვეული თარჯიმნის თანხლებით, რატომ უნდა აესახა განსხვავებულად მაინცდამაინც გ. ბ-ის ჩვენების შინაარსი და მეტიც, შეედგინა დ. ჩ-ის ამოცნობის ოქმი თავად ამომცნობი პირის გარეშე. დაცვის მხარემ აღნიშნული გარემოებები დამაჯერებლად ვერ ახსნა, არამედ მიუთითა, რომ უნდა ჩატარებულიყო შესაბამისი ექსპერტიზა – ხელმოწერის ნამდვილობის გამოვლენის მიზნით, რითიც შეზღუდული საპროცესო კანონმდებლობით ზოგადად, არც ერთი მხარე არ არის.

18.3. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში და-

კითხული გ. ბ-ის ჩვენება დ. ჩ-ის გამამართლებელ მტკიცებულებად ვერ იქნება გაზიარებული.

19. საკასაციო სასამართლო დამატებით უთითებს, რომ როგორც შპს „ჯ-დან“ გამოთხოვილი ტელეფონის ნომრებზე შემავალი და გამავალი ზარების ნუსხის დათვალიერებით დგინდება, შემთხვევის დროს დ. ჩ. იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე.

20. დაცვის მხარე აგრეთვე აპელირებს, რომ დადგენილი არ არის მოტივი, რის გამოც დ. ჩ-ს შესაძლოა, მოეკლა რ. ს.. თბილისის სააპელაციო სასამართლო ამ ნაწილში დაცვის მხარის საპასუხოდ იშველიებს ბრალმდებლის მიერ წარმოდგენილ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის წერილსა და 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილებას – შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების განახლების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტებით, დასტურდება, რომ 2015 წლის 30 დეკემბრის დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ (დ. პ-ას ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე) არის გაუქმებული და ამ საქმეზე გამოძიება განახლებულია. მასალის თანახმად, არსებობს ვარაუდი, რომ დ. პ-ასათვის დაზიანება შესაძლოა მიეყენებინა რ. ს-ს.

21. საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ, სისხლის სამართლის საქმეში მოტივის უტყუარად დადგენა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როდესაც თავად სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში ან მუხლის ნაწილში მოცემული დისპოზიცია მიუთითებს მასზე, როგორც ძირითადი შემადგენლობის აუცილებელ ნიშანზე ან დამამძიმებელ გარემოებაზე. მაგალითად, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში: ანგარებით, ხულიგნური ქვენაგრძნობით, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო (საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტები).

21.1. აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც ვერ დგინდება მკვლელობის ზუსტი მოტივი (ე.წ. „უმოტივო მკვლელობა“) და ამასთანავე, გამოკვეთილი არ არის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენის ფაქტი (მაგალითად, ხულიგნური ქვენაგრძნობით), ქმედება სსკ-ის 108-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს.

22. რაც შეეხება რ. ს-ის მოკვლის განზრახვას, საკასაციო პალატა ამ ნაწილში ყურადღებას მიაქცევს, დანაშაულის საგანსა (ცეცხლსასროლ იარაღს) და რ. ს-ისათვის მიყენებულ დაზიანებათა სიმრავლეს (მათ შორის – გულმკერდის წინა ზედაპირზე) რაც მიუთითებს მსჯავრდებულის სურვილზე, მოეკლა დაზარალებული.

23. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დ. ჩ-ის მიერ რ. ს-ის განზრახ მკვლელობის ფაქტი დადასტურებულია გონივრულ

ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით და წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების დროს არ წარმოშობილა რაიმე სახის ეჭვი, რომელიც შესაძლოა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი გამხდარიყო.

24. საკასაციო პალატა დ. ჩ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ნაწილში სრულად ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რის გამოც მისი გამეორება მიზანშეუწონლად მიაჩნია და აღნიშნავს, რომ მოცემულ ეპიზოდში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (№... სამედიცინო და №... ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებით, მოწმე ექსპერტებისა და ლ. ს-ას ჩვენებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით დასტურდება მსჯავრდებულის მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვისა და ტარების ფაქტი. რაც შეეხება ბრალდების ამ ეპიზოდში გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მოთხოვნას იმ არგუმენტზე მითითებით, რომ ცეცხლსასროლი იარაღი არ ამოღებულა, საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შინაარსის მხედველობაში მიღებით (მაგალითად, რომ რ. ს-ს აღენიშნებოდა სხეულის სამი ცეცხლნასროლი დაზიანება), არ ეთანხმება ადვოკატების პოზიციას და დამატებით აღნიშნავს, რომ მსგავს სამართლებრივ საკითხზე არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (იხილეთ №2კ-254ან.-08 გადაწყვეტილება), რომელსაც შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს განაჩენი.

25. ამასთან, საკასაციო პალატა აღარ იმსჯელებს ადვოკატების საკასაციო საჩივარში გამოთქმულ სხვა არგუმენტებზე, რომლებიც არ არის მნიშვნელოვანი დ. ჩ-ის უდანაშაულობის მტკიცების თვალსაზრისით, რადგან ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებული დებულებით (იხ. საქმე „ვან დე ჰიურკი ნიდერლანდების წინააღმდეგ“ (Van de Hurk v. Netherlands), 1991 წლის 19 აპრილი, 61 პარ.), რომლის მიხედვითაც, სასამართლო არ არის ვალდებული, უპასუხოს მხარეს მის მიერ წარდგენილ ყველა კითხვას, არამედ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ დასაბუთებული პასუხი გასცეს საქმესთან დაკავშირებულ მთავარ და ძირითად საკითხებს.

26. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადვოკატ ი. ჭ-ასა და ლ. გ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს და დ. ჩ-ის მსჯავრდების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა დარ-

ჩეს უცველელად.

27. რაც შეეხება მსჯავრდებულ დ. პ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. ხ-ასა და მსჯავრდებულ ვ. თ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. ქ-ას საკასაციო საჩივრებს ისინი, აგრეთვე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

28. როგორც აღინიშნა, მოწმე ლ. ს-ამ განაცხადა, რომ 2016 წლის 9 ოქტომბერს, სახლში ასვლიდან 10-15 წუთში, როდესაც ერთი გასროლის ხმა გაიგო და გავიდა აივანზე, დაინახა დ. ჩ., რომელიც „ბესედკის“ გარეთ უცნობ პირთან ერთად იყო. ჩ-მ სროლა დაიწყო. ლ. ს-ამ აგრეთვე დაინახა, რომ ამ „ბესეტკაში“ (ე.ი სადაც ე. ., თ. გ., გ. ბ. და რ. ს. შემთხვევამდე დომინოს თამაშობდნენ) დ. პ. შევიდა. როგორც აღინიშნა, ლ. ს-მა ისიც მიუთითა, რომ როგორც პირველ სართულზე მცხოვრებმა მეზობელმა უთხრა, დ. პ-ას შემთხვევის დროს ჰქონდა დანა. ამასთან, მკვლელობამდე ორი დღით ადრე, დ. ჩ-მ, ი. ჩ-მ, დ. პ-ამ, ვ. თ-მა და სხვა პირებმა მათი აივნის წინ გაიარეს და აივანზე მეუღლესთან ერთად მდგარი რ-ი რომ შენიშნეს, გაჩერდნენ და „თავხედურად უყურებდნენ“.

29. დაზარალებულმა თ. ო-ამ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ იგი უბნიდან იცნობს დ. ჩ-ს, ვ. თ-ს, დ. პ-ას, გ. გ-სა და გ. ქ-ს. მისი მეუღლის მკვლელობის ფაქტს არ შესწრებია. მომხდარის თაობაზე ინფორმაციას დედამთილისგან – ლ. ს-ასგან ფლობს, რომელიც შემთხვევის თვითმხილველია. მისგან იცის, რომ მან დაინახა პირი, რომელმაც რ-ს ესროლა. ეს პირი ლ. ს-ას იარაღით „შეეფეთა“, როცა შემთხვევის ადგილისაკენ მირბოდა. მან ასევე დაინახა დ. პ. და ვერცხლისფერი მანქანა. თ. ო-ამ აგრეთვე განაცხადა, რომ მკვლელობამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე, მეუღლესთან ერთად, როცა აივანზე იმყოფებოდა, შენიშნა ხუთივე ბრალდებული სხვა ბიჭებთან ერთად, რომლებმაც ბევრჯერ ახედეს მათ.

30. ბიოლოგიური, სეროლოგიური, გენეტიკური ექსპერტიზის №... დასკვნით დადასტურებულია, რომ ვ. თ-ის მარცხენა ფეხსაცმელზე არსებულ მოყავისფრო, წერტილოვან დანაშრევზე არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილი ეკუთვნის მამრობითი სქესის პირს და იგი შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ხისმაგვარ ფრაგმენტზე, ცოცხსა და დოლბანდზე არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილის იდენტურია.

31. ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნასთან მიმართებით ვ. თ-ს ადვოკატის პოზიციას – მტკიცებულების ფალსიფიკაციის თაობაზე საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე სახის მასალა დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია. ამასთან, ადვოკატი აპელირებს, რომ კვალის რეალურად არსებობის შემთხვევაში, ვ. თ. მას ფეხსაცმლიდან აუცი-

ლებლად მოიშორებდა. აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ არცერთი მტკიცებულებით არ არის დადასტურებული, რომ ვ. თ-ის ფეხსაცმელზე არსებული კვალი ყველასათვის აშკარა და თვალსაჩინო იყო. ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნასა და მის კვლევით ნაწილში მითითებულია: „მარცხენა ფეხსაცმლის გარე გვერდით ზედაპირზე არსებული მონაცრისფრო პოლიმერული მასალის ჩადგმაზე აღინიშნება მოყავისფრო წერტილოვანი დანაშრევი, საიდანაც გაკეთდა ანაწმენდი (ობ. №25).“ ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე (19.07.2017) აღნიშნული დასკვნის შემდგენელი პირისათვის, კერძოდ, ექსპერტ ნ. კ-სათვის დამატებითი სახის შეკითხვები დაცვის მხარეს არ დაუსვამს.

32. მაშასადამე, ადვოკატის არგუმენტები ბიოლოგიური ექსპერტიზით დადგენილი ფაქტის (ვ. თ-ის მიმართ) არასანდოობასთან დაკავშირებით უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

33. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გარდა, სასამართლო დ. პ-ასა და ვ. თ-თან მიმართებით დამატებით ყურადღებას მიაქცევს ო. კ-ისა და ც. ფ-ას ჩვენებებს. აღნიშნულმა ორმა მოწმემ მომხდარი ფაქტიდან მოკლე დროში (მეორე და მესამე დღეს) ორივე მსჯავრდებული ერთად ნახა და მიუთითა გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებზე. ყურადსაღებია, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში რ. ს-ის განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება უკვე დაწყებული იყო და ამასთან, ჯერ არავინ იყო დაკავებული. შესაბამისად, მტკიცებულებები, რომლებიც შემთხვევის დღიდან (2016 წლის 9 ოქტომბრიდან) ვ. თ-ისა და დ. პ-ას დაკავებამდე განხორციელებულ ქმედებებს უკავშირდება, ადეკვატურად უნდა შეფასდეს.

34. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმედ დაკითხვის დროს ო. კ-მა განაცხადა, რომ იცნობს დ. პ-ასა და ვ. თ-ს (ამასთან, დ. პ-ას – ბავშვობიდან). 2016 წლის 11 ოქტომბერს, საღამოს, უცხო ნომრიდან დაუკავშირდა პირი, რომელიც დ. პ-ას მეგობრად გაეცნო და უთხრა, რომ სურდა შეხვედრა. მასთან შესახვედრად გასულმა, მანქანით მისული დ. პ. და ვ. თ. ნახა, რომლებიც სახლში აიპატიჟა, სუფრა გაუშალა, შემდეგ კი ღამის გასათევად საკუთარი ოთახი დაუთმო, ვინაიდან თავად სტუმრებმა სთხოვეს, რომ ერთი დღით მასთან დარჩებოდნენ. მიზეზი არ უკითხავს. ცოტა ხანში კი პოლიციის თანამშრომლები მოვიდნენ, რომლებმაც ბინა გაჩხრიკეს და ვ. თ. და დ. პ. სამმართველოში გადაიყვანეს.

35. მოწმე ც. ფ-ამ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ის იცნობს ვ. თ-სა და დ. პ-ას. 2016 წლის 10 თუ 11 ოქტომბერს რ-ში მათ შემთხვევით შეხვდა. ვ. თ-მა უთხრა – „შარში ვარ, დარეკვა მინდაო“. მისთვის არაფერი უკითხავს, ტელეფონი ისე ათხოვა. ვ.

თ-მა სადღაც დარეკა, პირად საკითხზე საუბრობდა და არ მოუსმენია; მან შეიძლება სხვასთანაც დარეკა, მაგრამ არ იცის.

36. როგორც ვ. თ-ის სიმბარათის ნომრის ... დეტალური წუთობრივი ნუსხის დათვალიერებით (შპს „მ-დან“ გამოთხოვილი ინფორმაცია) დასტურდება, დანაშაულის ჩადენის დროს მოცემული სიმბარათის ნომერი ვ-ის მე-... მასივის, თ-ის ქუჩის №...-ში მდებარე მომსახურე ანძაზე იმყოფებოდა. ამასთან, ვ. თ-ის სიმბარათის ნომრის დეტალური ნუსხა იწყება 08.10.2016 – დან და სრულდება 11.10.2016-ში (ე.ი შემთხვევამდე და შემთხვევის შემდეგი პერიოდი).

37. ამდენად, გაურკვეველია, თუ რატომ ერიდებოდნენ ვ. თ. და დ. პ. საკუთარი, ან თუნდაც ერთმანეთის მობილური ტელეფონით სარგებლობას, როდესაც ო. კ-ის სახლში მისვლას გეგმავდნენ ან/და როდესაც ვ. თ-მა ც. ფ-ას ტელეფონით ისარგებლა მას შემდეგ, რაც განუცხადა, რომ იყო „შარში“. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ დ. პ. თავის ბავშვობის მეგობარს არა მხოლოდ უცხო ნომრის გამოყენებით, არამედ სხვა, ო. კ-ისათვის უცხო პირის მეშვეობით უკავშირდება, საბოლოოდ კი ორივე მსჯავრდებული ო. კ-ს მის სახლში დარჩენას სთხოვს.

38. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დაცვის მხარის არგუმენტები დ. პ-ასა და ვ. თ-ის უდანაშაულოდ ცნობასთან მიმართებით, არ არის დასაბუთებული და საფუძვლიანი, რის გამოც არ უნდა დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელი.

39. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პროკურატურა როგორც დ. პ-ას, ასევე ვ. თ-ს ბრალს სდებს საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით – იმის გამო, რომ მათ იცოდნენ და სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მზადდებოდა და ჩადენილი იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (განზრახ მკვლელობა). აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 376-ე მუხლი, მისი კონსტრუქციიდან გამომდინარე, გამოკვეთილია ერთ-ერთი ფაქტის/გარემოების სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეუტყობინებლობის არსებობის შემთხვევაშიც: ე.ი ცოდნით, რომ მზადდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და ცოდნით, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ვინაიდან აღნიშნული ორი საფუძველი ერთმანეთისაგან „ან“ კავშირით არის გამოყოფილი. ზემოთ მიმოხილული მტკიცებულებებით უტყუარად დადგენილია, რომ როგორც ვ. თ., ისე დ. პ. ნამდვილად იმყოფებოდნენ შემთხვევის ადგილზე და ფლობდნენ ინფორმაციას დ. ჩ-ის მიერ რ. ს-ის განზრახ მკვლელობის თაობაზე (რაც არ შეატყობინეს სამარ-

თალდამცავ ორგანოებს), მაგრამ უტყუარობის ასეთივე ხარისხით დადასტურებული არ არის მათ მიერ მოცემული დანაშაულის მზადების ცოდნის ფაქტიც. მართალია, გარკვეულ ეჭვს შესაძლოა ბადებდეს ის გარემოება, რომ მოწმეებმა – ბ. მ-მა და დ. ჩ-მა მსჯავრდებულები ერთად ნახეს შემთხვევამდე დაახლოებით 1 საათით ადრე, მაგრამ აღნიშნული განზრახ მკვლელობის მზადების ცოდნას საკმარისი დამაჯერებლობით ვერ ადასტურებს (მითუმეტეს იმ პირობებში, რომ როგორც, ლ. ს-ამ განმარტა ვ. თ. და დ. პ. მისი მეზობლები არიან).

40. ამდენად, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, დ. პ-ასა და ვ. თ-ის ქმედების სსკ-ის 376-ე მუხლით დაკვალიფიცირებაზე, გავლენას არ ახდენს „მზადების ცოდნის“ დაუდასტურებლობა, ვინაიდან მათ მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ცოდნით, რაც უტყუარად ქმნის საფუძველს მათი ქმედების დანაშაულის შეუტყობინებლობით შეფასებისათვის (იხ. უზენაესი სასამართლოს №511ა3-18 გადაწყვეტილება).

41. დ. ჩ-ის, დ. პ-ასა და ვ. თ-ის სასჯელთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ის სრულად შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლის მოთხოვნებს, არის სამართლიანი და მისი შეცვლის საფუძველი არ არსებობს. ამასთან, დ. პ-სა და ვ. თ-თან მიმართებით, საკასაციო სასამართლო დამატებით მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ორივე მათგანი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს იყო პირობით მსჯავრდებული, რის გამოც მათ მიმართ გამოკვეთილია განაჩენთა ერთობლიობა.

41.1. ამდენად, მსჯავრდებულთა სასჯელის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

42. რაც შეეხება მსჯავრდებულ გ. გ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ს-სა და მსჯავრდებულ გ. ქ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ის საკასაციო საჩივრებს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ისინი უნდა დაკმაყოფილდეს და გ. ქ-ისა და გ. გ-ის მიმართ გამოტანილ უნდა იქნეს გამამართლებელი განაჩენი.

43. მოწმე ლ. ს-ას ჩვენების თანახმად, როდესაც მან სროლის ხმა გაიგო, დაბლა ჩავიდა და იმ მიმართულებით გაიქცა. ყველაფერი წამებში მოხდა. მისი მიმართულებით ჩ. ხელში იარაღით მორბოდა (რომელსაც პირისპირ შეხვდა). დ. ჩ. იყო დაბნეული და მილიციის კორპუსებისკენ გაიქცა. მოწმემ აგრეთვე განაცხადა, რომ დაინახა ვერცხლისფერი ავტომანქანა, რომლის საჭესთან გ. გ. დაჯდა. მანქანა შემთხვევის ადგილიდან ხუთ მეტრში იყო და ისიც მილიციის კორპუსებისკენ სწრაფად წავიდა.

44. ამდენად, ლ. ს-ას ჩვენების მიხედვით, მან დაინახა, რომ გ. გ. დაჯდა ვერცხლისფერი ავტომანქანის საჭესთან და სწრაფად, სწორედ იმ მიმართულებით წავიდა, საითაც დ. ჩ-ც გაიქცა (მილიციის კორპუსებისკენ). ი. ჩ-მა კი, რომელმაც სწორედ იმ მხრიდან მორბენალი დ. ჩ. დაინახა, აღნიშნა, რომ დ. ჩ. იმყოფებოდა მარტო და მისი თვალთახედვის არეში ყოფნის პერიოდში ის ფეხით სწრაფად მირბოდა.

45. ამასთან, დაზარალებულმა თ. ო-ამ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ როგორც მისი დედამთილისაგან – ლ. ს-ასგან იცის, მან შემთხვევის ადგილზე დაინახა დ. პ. და ვერცხლისფერი მანქანა (მიუთითა მხოლოდ მანქანასა და მის ფერზე). რაც მისი მონაყოლიდან იცის, ეს არის.

46. მოცემულ შემთხვევაში, გარდა ლ. ს-ას ჩვენებისა, სხვა მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ გ. გ. იყო ის პირი, რომელმაც შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორია ვერცხლისფერი ავტომანქანით დატოვა, არ წარმოდგენილა. საქმეში აგრეთვე წარმოდგენილი არ არის მტკიცებულებები, რომლებიც მსჯავრდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მართალია არ იქნებოდა, მაგრამ სასამართლოს დამატებით მისცემდა საშუალებას, ლოგიკურად დაესკვნა, რომ გ. გ. რ. ს-ის მკვლელობის დროს შემთხვევის ადგილზე ყოფნისა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის ამ ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო, ჩვეული რეჟიმით ცხოვრებას თავს არიდებდა (მაგალითად, როგორც დ. პ-ასა და ვ. თ-ის შემთხვევაში, რომლებიც ცდილობდნენ, მეგობრებსა და ახლობლებს სხვისი ტელეფონით ან სხვა პირის მეშვეობით დაკავშირებოდნენ და ა.შ.).

47. რაც შეეხება გ. ქ-ისა და გ. გ-ის დანაშაულის ჩადენის დროს თ-ი, შ-ში ყოფნის ფაქტს, განხორციელებულ სატელეფონო ზარებს (შპს „ჯ-დან“ გამოთხოვილი ინფორმაცია), საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, მობილური კომპანიიდან გამოთხოვილი ინფორმაცია, კონკრეტულ მომსახურე ანძაზე ყოფნის ფაქტთან დაკავშირებით, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას პირის შემთხვევის ადგილზე ყოფნის დასადასტურებლად, მაგრამ რიგ შემთხვევაში, აღნიშნული მტკიცებულების მნიშვნელობა შესაძლოა, გარკვეულწილად შესუსტდეს, კერძოდ, როგორც მოწმე ლ. ს-ამ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, გ. ქ. და გ. გ. მის უბანში ხშირად იყვნენ. მოწმე თ. ო-ამ კი აგრეთვე განაცხადა, რომ ხუთივე მსჯავრდებულს უბნიდან იცნობდა. შესაბამისად, 2016 წლის 9 ოქტომბერს გ. გ. და გ. ქ. არ იმყოფებოდნენ ისეთ ლოკაციაზე, სადაც ყოფნა მოითხოვდა დამაჯერებელ ახსნას კონკრეტულ ადგილას კონკრეტული პირის ყოფნასთან მიმართებით.

48. გ. ქ-თან მიმართებით საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ არ არსებობს სხვა რაიმე სახის მტკიცებულება (მოწმის ჩვენება, ექსპერტიზის დასკვნა), რომელიც რ. ს-ის განხრაზე მკვლელობის მომზადების ან მკვლელობის მომენტში მის უშუალოდ შემთხვევის ადგილზე ყოფნაზე მიუთითებდა.

49. ამდენად, ვინაიდან გ. გ-სა და გ. ქ-თან დაკავშირებით ბრალდების მხარის მიერ არ წარმოდგენილა მტკიცებულებათა იმგვარი ერთობლიობა, რომელიც უტყუარად (გ. გ-თან მიმართებით დამატებითი გარემოებების დაზუსტების საჭიროების გარეშე) დაადასტურებდა მათ მიმართ წარდგენილ ბრალდებას, შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. მ-ისა და ზ. ს-ს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გ. ქ. და გ. გ. ცნობილ უნდა იქნენ უდანაშაულოდ და გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ დ. ჩ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – ლ. გ-ისა და ი. ჭ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. მსჯავრდებულ დ. პ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. ხ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. მსჯავრდებულ ვ. თ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. ქ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

4. მსჯავრდებულ გ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ს-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

5. მსჯავრდებულ გ. ქ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

7. გ. გ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

8. გ. ქ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

9. გამართლებულებს გ. ქ-სა და გ. გ-ს განემარტოთ, რომ უფლება აქვთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექ-

სის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება.

10. ნივთიერი მტკიცებულებები:

ნიმუშები, ანაწმენდები, მინის ნატეხი, ნაჭრის საგანი, დოლბანდი, კვლები, ტყვიის გულა, დაქტილობარათი, დომინოს ქვები, დომინოს ქვების ჩასადები, საანგარიშო, ცოცხი, სანთებელა, სიგარეტი, რ. ს-ის სხეულიდან აღებული უცხო სხეულები – განადგურდეს.

მასრები გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

დისკები და ფოტოსურათები – დაერთოს საქმეს მისი შენახვის ვადით.

ბ. მ-ის ტანსაცმელი, ნ. გ-ას ტანსაცმელი და მობილური ტელეფონი დაუბრუნდეთ მათ კანონიერ მფლობელებს.

რ. ს-ის პირადი ნივთები და ტანსაცმელი – გადაეცეს დაზარალებულის უფლებამონაცვლეს.

გ. ქ-ის, ვ. თ-ის, გ. გ-ის, დ. პ-ას ტანსაცმელი გადაეცეთ კანონიერ მფლობელებს ან შესაბამისად, მათი ნდობით აღჭურვილ პირს.

11. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში (მათ შორის: დ. ჩ-ის, დ. პ-ასა და ვ. თ-ის მსჯავრდების) დარჩეს უცვლელად.

12. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№570ას.-20 24 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

მონაწილეობით ღია სასამართლო სხდომაზე, დისტანციურად განიხილა მსჯავრდებულ ბ. კ-სა და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ რევაზ თოფურიას საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 11 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 11 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ბ. კ-მ და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა რევაზ თოფურიამ.

2. მსჯავრდებულო ბ. კ. საკასაციო საჩივრით ითხოვს მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და უდანაშაულოდ ცნობას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან მას არჩადენილი დანაშაულისათვის დაედო მსჯავრი; განაჩენი ეფუძნება მხოლოდ ვარაუდს, თანაც – დაუსაბუთებელს, რაც არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს; ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადასტურდა მის მიერ მსჯავრად შერაცხული დანაშაულის ჩადენა; მას მამასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და არასდროს აკადრებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას; შემთხვევის დღეს დაშორდა მამას და შინ წავიდა. უკან დბრუნებულმა ნახა წელსზემოთ შიშველი და სისხლიანი ა. კ., შეეცადა მის დახმარებას, რაც ვერ შეძლო და დაუძახა მეზობელს, ლ. დ-ს, რომლის სახლში გადაყვა-

ნისასაც გარდაიცვალა ა. კ.; არ დადასტურდა ბრალდების მხარის მტკიცება, რომ იგი მოქმედებდა შურისძიების მოტივით, გადამალა გარდაცვლილის სისხლიანი ტანსაცმელი და რომ ა. კ. ადგილზე გარდაიცვალა.

3. ბრალდების მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის შეცვლასა და ბ. კ-ს დამნაშავედ ცნობას წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაციით, ვინაიდან მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის ქმედებაში ცალსახად გამოკვეთილია მამის მკვლელობის განზრახვა; სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებები შეაფასა ზედაპირულად, სათანადო გულისხმიერების გარეშე და მათ არასწორი კვალიფიკაცია მიანიჭა; კასატორის მტკიცებით, მამა-შვილს შორის მომხდარი სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება, ბ. კ-ს მიერ მამის ხელებითა და ფეხებით ცემა, მძიმე ხარისხის მრავლობითი დაზიანების მიყენება და ზამთარში, ღამით, ტყეში მისი მიტოვება ცალსახად მიუთითებს ბ. კ-ს განზრახვაზე, მოეკლა ა. კ., რაც უტყუარად დადასტურებულია ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით.

4. საკასაციო სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულმა ბ. კ-მ მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება, ვინაიდან მიიჩნევს, რომ არის უდანაშაულო, ხოლო ა. კ-ს, მისი აზრით, დაზიანებები სხვა პირმა მიაყენა.

5. საკასაციო სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ირაკლი კოძახიძემ მხარი დაუჭირა პროკურორის საკასაციო საჩივარს, მოითხოვა მისი დაკმაყოფილება და ბ. კ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით დამნაშავედ ცნობა, ხოლო მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარზე უარის თქმა.

6. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით ბ. კ., ... დაბადებული 1987 წლის 28 აპრილს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

7. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. კ-მ ჩაიდინა ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

– 2019 წლის 23 იანვარს, დაახლოებით 19:00 საათზე, ვ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ს-ში მცხოვრები მამა-შვილი ა. და ბ. კ-ები სახლისაკენ მიმავალ გზაზე შეკამათდნენ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე. ურთიერთშელაპარაკებით შეურაცხყოფილმა და განაწყენებულმა ბ. კ-მ შურისძიების მოტივით, განიზრახა მამის, ა. კ-ს

მკვლელობა: თავისა და სხეულის სხვადასხვა არეში სცემა მას და მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანებები, რის შედეგადაც ა. კ. შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

8. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ბ. კ-ს ადვოკატმა მ. წ-მ, რომელიც ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 11 მარტის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალა: ბ. კ-სათვის წარდგენილი ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 11[1],117-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის ჩადენაშიც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. კ-მ ჩაიდინა არა ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა, არამედ – ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 11 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია და არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ ის ფაქტი, რომ ა. კ-ს სიკვდილის მიზეზია ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის შედეგად განვითარებული თავის ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპება ღეროს დისლოკაციითა და ჩაჭედვით. გარდაცვლილს მთელს სხეულზე აღინიშნებოდა სხვადასხვა ხარისხის სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები: ჭრილობების, ნაჭდევების, სისხლჩაქცევების, მოტეხილობებისა და სისხლნაჟღენთების სახით, რომლებიც განვითარებულია სიკვდილამდე, წინა უახლოეს პერიოდში, რაიმე მკვრივ-ბლაგვი საგნის (საგ-

ნების) ზემოქმედებით და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დანაშაულის ჩადენის თარიღს – 2019 წლის 23 იანვარს.

3. საკასაციო სასამართლო პირველ რიგში მიმოიხილავს მსჯავრდებულ ბ. კ–ს საკასაციო საჩივრის საკვანძო არგუმენტებს და აღნიშნავს, რომ ისინი, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, ხოლო, მეორე მხრივ, მეტად არადამაჯერებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

4. ბ. კ-ს მტკიცება, რომ მამასთან ჰქონდა კარგი ურთიერთობა და არასოდეს აკადრებდა მას ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, ეწინააღმდეგება გარდაცვლილის დის – მ. კ-ს ჩვენებას, რომელიც აცხადებს, რომ მსჯავრდებულს არ უყვარდა მამა და ემუქრებოდა მას, რომ წამებაში ამოხდიდა სულს. შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე ეჩხუბა ა. კ-ს და დაემუქრა, რომ ყველა ნეკნსა და ძვალს დაუმტვრევდა. ბ. კ-ს განმარტება, რომ სახლისკენ მიმავალ გზაზე იგი დაწინაურდა, ვინაიდან მამამ სთხოვა სახლში მალე მისულიყო, ცეცხლი დაენთო და ხორცი დაედგა მოსახარშად, იმის გათვალისწინებით, რომ მამა-შვილი მ. დ-ს ოჯახში გაშლილი სუფრიდან ბრუნდებოდა, არადამაჯერებელია. ბ. კ-ს ვერსია, რომ სახლიდან უკან დაბრუნებულმა ნახა წელს ზემოთ შიშველი, სისხლიანი მამა, რომელზეც იფიქრა, კლდიდან ხომ არ გადავარდაო, ეწინააღმდეგება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, რომელზე თანდართული ფოტოილუსტრაციით ნათლად ჩანს, რომ შემთხვევის ადგილზე არ არსებობს ისეთი ციცაბო ფერდობი, სადაც გადავარდნით ა. კ-ს შესაძლოა, მიეღო სხეულის იმგვარი დაზიანებები, რაც გარდაცვლილს აღენიშნებოდა. უტყუარად დადგენილია, რომ ა. კ-ს დაზიანებები მიყენებული აქვს მკვრივ-ბლაგვი საგნით (საგნებით) და არა – სიმაღლიდან ვარდნით. ბ. კ-ს მიერ ჩვენებაში შემოთავაზებული ვერსია, რომ დახმარებისთვის მიმართა ლ. დ-ს, რომელმაც უთხრა, რომ ა. კ-ს სციოდა და ცეცხლი დაენთო, ეწინააღმდეგება თავად მოწმე ლ. დ-ის ჩვენებას, რომელმაც აღნიშნა, რომ შემთხვევის ადგილზე მისულმა ნახა, რომ ა. კ. უკვე გარდაცვლილი იყო. საკასაციო სხდომაზე მსჯავრდებულ ბ. კ-ს მტკიცება, რომ ა. კ-ს დაზიანებები ვიღაც სხვა პირმა მიაყენა, ეწინააღმდეგება მის მიერ წარსულში განვითარებულ უბედური შემთხვევის ვერსიას. მოწმეების – ლ. დ-ს, მ. დ-ს, მ. კ-სა და თ. კ-ს ჩვენებებით დასტურდება, რომ ბ. კ. თავდაპირველად ცდილობდა, ყველა დაერწმუნებინა, რომ ა. კ სახლისკენ მიმავალ გზაზე დაიმტვრა და გარდაიცვალა. საქმეში არსებული 2019 წლის 24 იანვრის პატაკით დასტურდება, რომ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ა. კ-ს სისხლიან ტანსაცმელს მისი შვილი, ბ. კ. უნდა ინახავდეს თავის საცხოვრებელ სახლში. სწორედ ზემოაღნიშნული ინ-

ფორმაციის საფუძველზე ჩატარდა ა. კ-ს სახლის ჩხრეკა და ამოღებულ იქნა გარდაცვლილის ტანსაცმელი, რომელიც ბ.კ-მ გადამალა და არა – მსჯავრდებულის მითითებით, როგორც ამას თავად ამტკიცებდა საკასაციო საჩივარში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ. კ. არ არის გულწრფელი და არ არსებობს მისი უდანაშაულოდ ცნობისა და წარდგენილ ბრალდებაში გამართლების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

5. საკასაციო სასამართლომ პროკურორის საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის ქმედების სამართლებრივი შეფასებისა და, შესაბამისად, სასჯელის ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

6. საკასაციო სასამართლო იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომლის თანახმად, სასამართლოში წარმოდგენილია შეთანხმებული, საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები (მოწმეების – მ. დ-ს, ლ. დ-ს, მ. ჩ-ს, მ. კ-ს, თ. კ-ს, მ. შ-ს, დ. ხ-ს, გ. ჩ-ს, დ. ა-ს, დ. ა-ს, ბ. ზ-სა და ი. ფ-ს ჩვენებები, შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერების ოქმები, საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისა და ბრალდებულის დაკავების ოქმები, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები), რომელთა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ 2019 წლის 23 იანვარს სახლისკენ მიმავალ ა. და ბ. კ-ებს მოუვიდათ შელაპარაკება, რა დროსაც ა. კ-ს სწორედ შვილმა – ბ. კ-მ მიაყენა სხეულის დაზიანებები, რომლის კვალიფიკაციაზე საკასაციო სასამართლო ქმედების სამართლებრივი შეფასებისას იმსჯელებს.

7. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ბ. კ-ს ქმედებაში არ არის გამოხატული განზრახ მკვლელობის შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური ნიშნები, შემდეგ არგუმენტებზე მითითებით: ბ. კ-ს დამოკიდებულება გარდაცვლილთან – ისინი მამა-შვილი იყვნენ; მათ შორის წამოჭრილი კონფლიქტის უმნიშვნელო ხასიათი – წაკამათდნენ სიგარეტის თაობაზე, რაც მალევე განიმუხტა; დანაშაულის ჩადენის იარაღი – ბ. კ-ს იარაღად არ გამოუყენებია რაიმე სხვა საგანი, არამედ მამას სცემა ხელებითა და ფეხებით; დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტის მიზეზი – ა. კ. წაიქცა და ბ. კ-მ თავი დაანება მას; დამნაშავის ქცევა ქმედების შემდეგ – ბ. კ, რომელსაც ეგონა, რომ ა. კ. სიცივის გამო იყო ცუდად, ცდილობდა, გონს მოეყვანა იგი და მეზობელს მიმართა დახმარებისათვის, რაც მიუთითებს, რომ ბ. კ. არ მოქმედებდა ა. კ-ს მოკ-

ვლის განზრახვით, არამედ მისი განზრახვა იყო მამისათვის მიეყენებინა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რასაც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. ის, რომ ბ. და ა. კ-ები იყვნენ მამა-შვილი, არც არასდროს გამხდარა სადავოდ და, ცალკე აღებული, ვერაფრით გახდება იმის მტკიცების წინაპირობა, რომ ბ. კ. ა. კ-ს არ მოკლავდა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ გარდაცვლილსა და მსჯავრდებულს ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდათ, ვერაფრით გადაფარავს იმ გარემოებას, რომ ბ. კ-ს არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა მამასთან, მეტიც, დადასტურებულია, რომ ემუქრებოდა და წამებით სიკვდილს უქადდა. გარდაცვლილის დამ – მ. კ-მ განმარტა, რომ 2019 წლის 11 იანვარს, შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, მასთან სტუმრად მყოფი ბ. კ. ეჩხუბა ა. კ-ს, რომელსაც ადანაშაულებდა ოჯახის დანგრევაში და დაემუქრა, „როგორც კი მოხვალ, ყველა ნეკნსა და ძვალს დაგიმტვრევო“. მ. კ-მა იცოდა, რომ ბ. კ. მამას მოკლავდა, ამიტომაც სთხოვა თავის ძმას დარჩენა, თუმცა ა. კ-მ არ დაუჯერა და თავის სახლში დაბრუნდა. ბ-ს მამა არ უყვარდა და ხშირად ემუქრებოდა, „წამებაში ამოგხდი სულსო“. საყურადღებოა, რომ ა. კ-ს გარდაცვალების შემდეგ ოჯახის წევრებმა სწორედ ბ. კ-ზე მიიტანეს ეჭვი. გარდაცვლილის ქალიშვილმა თ. კ-მ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ძმისგან შეიტყო, რომ მამა დაიმტვრა და გარდაიცვალა, შეეკითხა „ამდენ ხანს არ წაქცეულა და ახლა რა დაემართაო?“ საგამოძიებო ორგანოს ა. კ-ს საეჭვო გარდაცვალების თაობაზე მიმართა გარდაცვლილის დამ მ. კ-მ, რომელმაც ჩვენების მიცემისას ასევე დაადასტურა, რომ ძმის გარდაცვალების ამბის გაგებისთანავე იფიქრა და დარწმუნებულიცაა, რომ მას ბ. კ. მოკლავდა.

9. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მამა-შვილს შორის წამოჭრილი კონფლიქტის უმნიშვნელო ხასიათთან მიმართებით, დანაშაულის მოტივის გამორიცხვაზე მინიშნებით, ვინაიდან, ერთი მხრივ, დადგენილია, რომ ბ. კ. შემთხვევის დღეს გაანაწყენა არა მარტო იმ ფაქტმა, რომ მამამ სუფრაზე სიგარეტი არ მიუტანა, არამედ იმანაც, რომ ა. კ-მა დაუმალა იარაღი, ხოლო, მეორე მხრივ, დადასტურებულია, რომ ბ. კ-ს ჰქონდა ცუდი სიმთვრალე, რა დროსაც მამის მიმართ ხდებოდა აგრესიული. მოწმე მ. დ-მ დაადასტურა, რომ ბ. კ. შემთხვევის დღეს მამაზე იყო განაწყენებული, ვინაიდან სუფრაზე ყოფნისას ა. დ–მ არც სიგარეტი მიუტანა და არც იარაღი, რაზეც მამა-შვილი შელაპარაკდა. იმ ფაქტს, რომ ა. კ-მ სუფრაზე მყოფს არ მიუტანა სიგარეტი და იარაღი, რის გამოც უსაყვედურა მას, არც თავად მსჯავრდებული უარყოფს. ბ. კ-ს დის – თ. კ-სა და მამიდის – მ. კ-ს ჩვენებებით დასტურდება, რომ ბ. კ-ს ჰქონდა ცუდი სიმთვრალე, ამ დროს

ხდებოდა აგრესიული და შეურაცხყოფას აყენებდა ნათესავებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სიმთვრალეში განსაკუთრებით აგრესიული ბ. კ. შემთხვევის დღეს იყო მთვრალი და მამა-შვილის წინარე ურთიერთობის მხედველობაში მიღებით დადგენილად მიიჩნევს, რომ ბ. და ა. კ-ებს შორის შემთხვევის დღეს მომხდარი კონფლიქტი არ ყოფილა იმდენად უმნიშვნელო, რომ ვერ გამხდარიყო ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენის მოტივი.

10. საკასაციო სასამართლო ბ. კ-ს ქმედებაში მკვლელობის განზრახვის გამომრიცხველ გარემოებად ვერაფრით მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ დანაშაულის ჩადენისას ბ. კ-ს იარაღად რაიმე სხვა საგანი არ გამოუყენებია, არამედ სცემა მამას ხელებითა და ფეხებით, რაც პირიქით, ცხადყოფს მის მყარ სურვილსა და მისწრაფებას, მოესპო სიცოცხლე ა. კ-სათვის, როდესაც ხელებითა და ფეხებით, განსაკუთრებული ძალისხმევით, რომელიც არ დასჭირდებოდა იარაღად სხვა საგნის გამოყენებისას, მიეყენებინა მამისათვის სიცოცხლესთან შეუთავსებელი ხარისხის დაზიანებები. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ა. კ-ს გარდაცვალებამდე მკვრივ-ბლაგვი საგნით, როგორიც შეიძლება იყოს ადამიანის ხელი და ფეხი, მიყენებული აქვს სხვადასხვა ხარისხის მრავლობითი დაზიანება: უსწოროკიდეებიანი ჭრილობები ნიკაპქვედა მიდამოში, მარცხნივ; მარცხენა წარბის რკალზე, შუბლის მიდამოში, მარჯვნივ; მარჯვენა თვალბუდის ზედა ქუთუთოზე, კეფის მიდამოში, მარჯვნივ და თხემის მიდამოში მარცხნივ. მრავლობითი ნაჭდევები შუბლ-თხემისა და სახის მიდამოში თითქმის მის მთლიან ფართზე, სისხლჩაქცევებით თავის ქალას რბილი საფარის ქსოვილში, თავის ტვინის რბილ გარსებსა და თავის ტვინის ნივთიერებაში, ნათხემსა და მოგრძო ტვინში. თავის ტვინის ნივთიერების მკვეთრად გამოხატული შეშუპებით, ღეროს დისლოკაციითა და ჩაჭედვით – მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხს და მიზეზობრივად დაკავშირებულია დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან; სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები: მარჯვნივ, ლავიწშუა ხაზზე III-IV-V-VI ნეკნების და მარცხნივ, ლავიწშუა ხაზზე III-IV-V-VI-VIIVIII ნეკნების მოტეხილობები, პარიესული პლევრის მთლიანობის დარღვევის გარეშე, ირგვლივ მუქი მოწითალო ფერის სისხლჩაქცევებით, მიმდებარე რბილ ქსოვილებში და პარიესული პლევრის ქვეშ – ცალ-ცალკე და ერთად აღებული მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა ნაკლებად მძიმე ხარისხს და მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან; სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები: მრავლობი-

თი სისხლნაჟღენთები სხეულის სხვადასხვა მიდამოებში. ნაჭდევები მარცხენა ტერფის უკანა ზედაპირზე, ბორცვის, პირველი და მეორე თითების უკანა ზედაპირების თითქმის მათ მთლიან ზედაპირზე – ცალ-ცალკე და ერთად აღებული – მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს და მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან. მიღებული დაზიანებების შედეგად ა-ს კ-ს შეეძლო მიზანმიმართული მოქმედებები (ეყვირა, ემოძრავა) მანამ, სანამ არ დაკარგავდა გონებას.

11. ბუნდოვანია სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია, რომელმაც გაუგებარია, რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ბ. კ-მა შეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება და თავი დაანება ა. კ-ს ცემას, როდესაც იგი წაიქცა, ვინაიდან საწინააღმდეგო მტკიცება გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობიდან, რითაც ცალსახად დგინდება, რომ ბ. კ-მ მამაზე იძალადა არა ერთხელ და არაერთ ადგილას, რაზეც პირდაპირ მიუთითებს შემთხვევის მთელს პერიმეტრზე აღმოჩენილი გარდაცვლილის სისხლიანი კვალი და მიმობნეული ტანისამოსი, ასევე – სხეულზე მიყენებული მრავლობითი დაზიანებები. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ექსპერტ დ. ა-ს ჩვენებით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილზე, ერთმანეთისგან დაშორებით, დაახლოებით 50-60 მეტრის რადიუსში, ნახეს გარდაცვლილის სისხლიანი ჩექმა, სისხლიანი ფოთლები და ქვები, ასევე რეზინის ჩექმის ყელი, სისხლიანი ტყავის ქურთუკი, დაზიანებული და სისხლიანი ჟილეტი. ა. კ-ს გვამის დათვალიერების ოქმი, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და მათზე თანდართული ფოტოილუსტრაცია უპირობოდ გამორიცხავს იმ დაშვებას, რომ ბ. კ-ს არ სურდა მამის მოკვლა, რის გამოც შეწყვიტა მასზე ძალადობა და თავი გაანება.

12. წინააღმდეგობრივია სააპელაციო სასამართლოს მიერ ბ. კ-ს განზრახვის დადგენისას მისი დანაშაულებრივი ქმედების შემდგომი ქცევის შეფასება, ვინაიდან სასამართლომ, ერთი მხრივ, უტყუარად დაადგინა ის ფაქტი, რომ ა. კ-ს სხეულის დაზიანებები სწორედ ბ. კ-მა მიაყენა, ხოლო, მეორე მხრივ, გაიზიარა ის ვერსია, რომ ბ.კ-ს ეგონა, მამა სიცივის გამო გახდა ცუდად, ცდილობდა გონს მოეყვანა იგი და დახმარების თხოვნით მიმართა მეზობელს, ლ. დ-ს. სასამართლოს ამ ურთიერთგამომრიცხველ მსჯელობას არ გააჩნია არც ფაქტობრივი საფუძველი, ვინაიდან არ არსებობდა ბ. კ-ს ჩვენების ამ ნაწილში გაზიარების შესაძლებლობა, რადგან მსჯავრდებულის განმარტება, რომ ლ. დ-მ უთხრა, რომ ა. კ-ს სციოდა და ცეცხლი დაენთო, რაც ვერ შეძლო და იგი ლ. დ-ს სახლში გადაიყვანეს, სადაც ნახა, რომ იყო გარდაცვლილი, გამორიცხა თავად ლ. დ-

მ, რომელმაც დაადასტურა, რომ შემთხვევის ადგილზე მისვლისთანავე სცადა გარდაცვლილისათვის პულსი გაესინჯა, თუმცა მას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

13. სააპელაციო სასამართლოს მოტივაციით, გარდაცვლილისათვის დაზიანებების მიყენებისას ბ. კ. არ მოქმედებდა მკვლელობის განზრახვით და მსჯავრდებულის ქმედება შეაფასა, როგორც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, რასაც საკასაციო სასამართლო კატეგორიულად არ ეთანხმება.

14. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის დასადასტურებლად აუცილებელია, ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, მსჯავრდებული (ბრალდებული) არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა. ანუ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის განაჩენი, №527ას-17 საქმეზე).

15. განსახილველ შემთხვევაში ბ. კ-ს განზრახვას ადასტურებს ბ. და ა. კ-ების წინარე კონფლიქტური ურთიერთობა და მსჯავრდებულის არაერთი მუქარა, რომ წამებაში ამოხდიდა მამას სულს, ასევე ყველა ნეკნსა და ძვალს დაუმტვრევდა, რომელიც შემთხვევის დღეს ზედმიწევნით შესრულდა; ბ. კ-ს ცუდი სიმთვრალე და განსაკუთრებული აგრესია მამის მიმართ, რომელსაც ოჯახის დანგრევაში ადანაშაულებდა; შემთხვევის დღეს მთვრალი ბ. კ-ს განაწყენება მამაზე, ერთი მხრივ, სიგარეტის, ხოლო, მეორე მხრივ, იარაღის გამო; დანაშაულის ჩადენის შემდეგ მსჯავრდებულის ქცევა, რომელმაც იანვარში გარეთ მიატოვა უმოწყალოდ ნაცემი მამა, წავიდა შინ და დაიძინა, ა. კ-ს სისხლიანი ტანსაცმელი კი, გადამალა და, ბოლოს, ა. კ-ზე ძალადობისას მისთვის მიყენებულ დაზიანებათა ხარისხი, სიმრავლე და მდებარეობა, კერძოდ, დაზიანებები მთელს სახესა და თავის არეში, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა, ნაჭდევები, სისხლჩაქცევები, მოტეხილობები და სისხლნაჟღენთები სხეულის სხვადასხვა არეში. ამასთან, ა. კ-ს სიკვდილის უშუალო მიზეზია ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის შედეგად განვითარებული თავის ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპება ღეროს დისლოკაციითა და ჩაჭედვით, რაც ერთობლივად აღებული, ცალსახად გამორიცხავს ბ. კ-ს ქმედებაში ჯანმრთელობის განზრახ

მძიმე დაზიანების სურვილს და მიუთითებს მის განზრახვაზე მოეკლა მამა, როდესაც გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, რამეთუ შეუძლებელია ადამიანისათვის ბრალის გარეშე ფიზიკური ზიანის მიყენება იყოს მართლზომიერი; ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის – მისი გარდაცვალების შესაძლებლობას და შესაძლოა, არც სურდა ეს შედეგი, მაგრამ ა. კ-ს უმოწყალოდ ცემით შეგნებულად უშვებდა და ზამთარში, ღამით, ნაცემი მამის ქუჩაში დატოვებით დაუშვა მისი დადგომის შესაძლებლობა.

16. ამრიგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოთ წარმოდგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოების ერთობლივად, ურთიერთშეჯერების გზით განხილვასა და მათ ობიექტურ ანალიზს მივყავართ შემდეგ დასკვნამდე: არ არსებობს კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი საიმისოდ, რომ ბ. კ-ს მიერ ა. კ-ს მიმართ ჩადენილი ქმედება სამართლებრივად შეფასდეს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებად, ესე იგი სხეულის დაზიანებად, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია. საკასაციო სასამართლოს აზრით, გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ მსჯავრდებულმა ბ. კ-მ ჩაიდინა ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ მოიპოვება რელევანტური საფუძველი ამ ფაქტის მიმართ გონივრული ეჭვის არსებობისთვის.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლწინააღმდეგობის ან/და ბრალის გამომრიცხველი რაიმე გარემოება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგენილა.

18. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

19. საკასაციო სასამართლო სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს, მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს, კერძოდ: ჩადენილია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის, ძალადობრივი ხასიათის დანაშაული; მიყენებული დაზიანებების რა-

ოდენობას; მსჯავრდებულის პიროვნებას, რომელიც ალკოჰოლური თრობისას არის აგრესიული და მის ქცევას დანაშაულის ჩადენის შემდეგ, როდესაც უმოწყალოდ ნაცემი მამა ზამთარში, ღამით, მიატოვა ქუჩაში, თავად კი სახლში წავიდა და დაიძინა და მიაჩნია, რომ ბ. კ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ბ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ რევაზ თოფურიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 11 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

4. ბ. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^{1},109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალიწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ვადის ათვლა დაეწყოს 2019 წლის 25 იანვრიდან.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 11 მარტის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით

განაჩენი
საქართველოს სახელით

№468ა3-20 12 ნოემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზაზა ცქვიტარიასა და მსჯავრდებულების – ვ. ნ-ს, ა. კ-ს, ს. ო-ს, ჯ. ს-სა და ჯ. ნ-ს ადვოკატების – გ. ნ-სა და გ. ქ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 6 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 6 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზაზა ცქვიტარიამ და მსჯავრდებულების – ჯ. ნ-ს, ა.კ-ს, ს- ო-ს, ჯ. ს-სა და ვ ნ-ს ადვოკატებმა – გ. ნ-მ და გ. ქ-მ.

2. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორი ზაზა ცქვიტარია ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას და მსჯავრდებულების – ვ. ნ-ს, ა. კ-ს, ს. ო-ს, ჯ. ს-სა და ჯ. ნ-ს დამნაშავეებად ცნობას მათთვის ბრალად წარდგენილი ყველა ქმედების ჩადენაში, ვინაიდან მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით: დაზარალებულ ი. ფ-ს, მოწმეების – ი. დ-ს, გ-ს, თ. ს-ს, ლ. შ-ს, ჟ. ა-ს, ი-სა და ს. ქ-ს ჩვენებებითა და ვიდეოჩანაწერებით დასტურდება, რომ მსჯავრდებულების შენობაში შეჭრის შემდეგ მომხმარებლები იძულებულნი გახდნენ, გარკვეული დროით შეეწყვიტათ თამაში, დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი და

დაწესებულებამ 5-20 წუთით შეწყვიტა ნორმალური ფუნქციონირება; დაზარალებულების – ა. გ-სა და ა. ს-ს ჩვენებებითა და ვიდეოჩანაწერებით კი უტყუარად დგინდება, რომ დაცვის პოლიციელებზე თავდასხმა განაპირობა ვ. ნ-ს უკმაყოფილებამ შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავთა გამოჩენის გამო და არა მათთვის საქმიანობაში ხელის შეშლის სურვილმა. პოლიციელებზე თავდასხმა მოხდა მანამ, სანამ ისინი მოასწრებდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას და დაიწყებდნენ წესრიგის დაცვას.

3. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მსჯავრდებულების – ვ. ნ-ს, ა. კ-ს, ს. ო-ს, ჯ. ს-სა და ჯ. ნ-ს ადვოკატები – გ. ნ. და გ. ქ. ითხოვენ გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ გადაწყვეტილება უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლოა, მსჯავრდებულების მიმართ სამართალწარმოების პროცესში დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული უფლებები; დაცვის მხარე სადავოდ არ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ა. ს-ს მიღებული ჰქონდა დაზიანებები, თუმცა გაუგებარია, რატომ დააკავეს სწორედ მსჯავრდებულები, როდესაც ჩხუბში 15-20 პირი მონაწილეობდა; საეჭვოა მსჯავრდებულთა მიერ ა. გ-ს ფიზიკური შეურაცხყოფაც, ვინაიდან დაზარალებულს სხეულის დაზიანების ნიშნები არ აღენიშნებოდა; ჯ. ნ. არ მონაწილეობდა ინციდენტში, იგი იდგა დაცვის პოლიციის ავტომანქანასთან; ორივე ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ეფუძნება პოლიციელთა ცრუ და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს, რომლებსაც ნაკლები მტკიცებულებითი ძალა აქვს, ვინაიდან ა. ს. და ა. გ. თავად მოქმედებდნენ აშკარად უკანონოდ; სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს დაცვის მხარის დასაბუთებული არგუმენტები პოლიციელთა შესაძლო მიკერძოების თაობაზე და ექსპერტიზის დასკვნა, რომ დანაშაულის ამსახველი ვიდეოჩანაწერი პირთა იდენტიფიცირებისათვის უვარგისია.

4. ვ. ნ-ს, ა. კ-ს, ს. ო-ს, ჯ. ს-სა და ჯ. ნ-ს ბრალად დაედოთ: პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა, პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით და ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

– 2018 წლის 9 თებერვალს, დაახლოებით 03:00 საათზე, ვ. ნ., ა. კ-სთან, ს. ო-სთან, ჯ. ნ-სთან, ჯ. ს-სა და სხვა პირებთან ერთად

შევიდა ... არსებულ სლოტ-კლუბ ..., სადაც შელაპარაკება მოუვიდა სლოტ-კლუბის პერსონალთან, რაც გადაიზარდა ხმამაღალ საუბარში. ინციდენტის თავიდან არიდების მიზნით, სპეციალური პულტის მეშვეობით, ადგილზე გამოიძახეს დაცვის პოლიციის თანამშრომლები. სლოტ-კლუბში გამოძახებაზე გავიდნენ შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის დაცვის პოლიციის განყოფილების ოპერატიული რეაგირების ჯგუფის უმცროსი ინსპექტორი ა. ს. და ამავე განყოფილების ინსპექტორი ა. გ.. პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ სლოტ-კლუბიდან გამოსულ ვ. ნ-სა და მის თანმხლებ პირებთან, რა დროსაც ვ. ნ-მ, ა. კ-მ, ს. ო-მ, ჯ. ნ-მ და ჯ. ს-მ გამოთქვეს უკმაყოფილება პოლიციის თანამშრომლების ადგილზე მისვლაზე და თავს დაესხნენ ა. ს-სა და ა. გ-ს, რომელთაც ვ. ნ-მ და მასთან ერთად მყოფმა პირებმა ხელებითა და ფეხებით მიაყენეს ჯანმრთელობის დაზიანება.

– ვ. ნ. და მასთან ერთად მყოფი ა. კ., ს. ო., ჯ. ნ. და ჯ. ს., განაწყენებულნი იმ ფაქტით, რომ დაცვის პოლიციის თანამშრომლები გამოიძახეს, კვლავ მიბრუნდნენ სლოტ-კლუბში, სადაც ვ. ნ-მ და ჯ. ს-მ სლოტ-კლუბის დაცვის თანამშრომელ ი. ფ-ს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ასევე სლოტ-კლუბის თანამშრომლებს, ძალადობის მუქარით უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და ხელი შეუშალეს სლოტ-კლუბის ნორმალურ ფუნქციონირებას.

5. ვ. ნ-ს, ა. კ-ს, ს. ო-ს, ჯ. ს-სა და ჯ. ნ-ს წარედგინათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

6. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის განაჩენით:

– ვ. ნ-ს, – ..., – მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველ ნაწილზე; ვ. ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– ა. კ., – დაბადებული ..., – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; ა. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

– ს. ო., – დაბადებული ..., – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; ს. ო. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

– ჯ. ს., – დაბადებული ..., – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; ჯ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განესაზღვრა – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

– ჯ. ნ., – დაბადებული ., – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; ჯ. ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განესაზღვრა – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

7. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს: მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზაზა ცქვიტარიამ; მსჯავრდებულ ს. ო. ადვოკატმა გ.მ; მსჯავრდებულ ჯ.ს-ს ადვოკატებმა – გ. ხ-მ და ო. მ-მ; მსჯავრდებულების – ვ. ნ-ს, ა. კ-ს, ს. ო-ს, ჯ. ს-სა და ჯ. ნ-ს ადვოკატმა – გ. ქ-მ.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 6 მარტის განაჩენით ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

– ვ. ნ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდება – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილზე; ვ. ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხ-

ლის პირველი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

– ა. კ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; ა. კ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– ს. ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; ს. ო-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– ჯ. ს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; ჯ.ს-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– ჯ. ნ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; ჯ. ნ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორთა საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – ვ. ნ-ს, ა. კ-ს, ს. ო-ს, ჯ. ს-სა და ჯ. ნ-ს ადვოკატების – გ. ნ-სა და გ. ქ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზაზა ცქვიტარიას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დადასტურდა ვ. ნ-ს, ა. კ-ს, ს. ო-ს, ჯ. ს-ისა და ჯ. ნ-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია ხულიგნობისთვის, რაც შინაარსობრივად გულისხმობს ქმედებას, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ობიექტური მხრივ ხულიგნობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: ა) პირმა უხეშად უნდა დაარღვიოს საზოგადოებრივი წესრიგი; ბ) ქმედება უნდა გამოხატავდეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას; გ) ქმედება ჩადენილი უნდა იყოს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. აღნიშნული ნიშნებიდან ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს ხულიგნობის შემადგენლობას. ბრალდების მხარის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული მტკიცებულებებიდან: მოწმეების – ი. დ-ს, გ-ს, თ. ს-ს, ჟ. ა-ს, ი-სა, ს. კ-სა და ლ. შ-ს ჩვენებებით ცალსახად არ დგინდება მსჯავრდებულების მიერ ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა ვ. ნ-ს, ა. კ-ს, ს. ო-ს, ჯ. ს-სა და ჯ. ნ-ს ქმედებებში ხულიგნობის შემადგენლობისათვის სავალდებულო ყველა ელემენტების არსებობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი ბრალდებების ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო პალატა ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნას, რომლის თანახმადაც, ვ. ნ-მ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რაც ცალსახად დადასტურებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ ი. ფ-ს, მოწმეების – ს. კ-სა და ლ. შ-ს ჩვენებებით, რომლებზეც სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ამომწურავად იმსჯელა და რომლებიც ქმნიან უტყუარ და საკმარის ერთობლიობას გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირადი მოტივით ჩხუბი ვერაფრით მიიჩნევა ხულიგნობად. დაზარალებულ ი. ფ-ს, მოწმეების – ს. კ-ს, ი-ს, ი. დ-ს, თ. ს-ს და ლ. შ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ ი. ფ-

ზე ძალადობის კონკრეტული მოტივი იყო ვ. ნ-ს მხრიდან შურისძიება, რომელიც გაანაწყენა შემთხვევის ადგილზე პოლიციელების გამოძახებამ. ამასთან, არასწორია ქვემდგომი ინსტანციების სასამართლობის მითითება ვ. ნ-ს მიერ სისტემატური ცემის ან სხვაგვარი ძალადობის ჩადენაზე, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, ვინაიდან ქმედების სამართლებრივი შეფასებისას სასამართლოებმა ვ. -ს მიერ ი. ფ-ზე ძალადობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით დააკვალიფიცირეს, რაც ითვალისწინებს ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. გარდა ამისა, ბრალდების შესახებ დადგენილებასა და სისხლის სამართლის საქმის მასალებში, მინიშნებაც კი არ ყოფილა ვ. ნ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის სისტემატურობაზე. საკასაციო პალატას უტყუარად დადასტურებულად მიაჩნია, რომ ვ. ნ-მ, რომელიც იყო გაბრაზებული შემთხვევის ადგილზე პოლიციელების გამოძახების გამო, შურისძიების მოტივით სცემა ი. ფ-ს, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი და, ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტების ნაცვლად მისი მსჯავრდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, არის კანონიერი, ხოლო შეფარდებული სასჯელი – სამართლიანი.

4. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციას, რომლის საფუძველზეც მსჯავრდებულთა მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდებები გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება ვ. ნ-ს, ა. კ-ს, ს. ო-ს, ჯ. ს-სა და ჯ. ნ-ს მიერ მათთვის ბრალად წარდგენილი ზემოაღნიშნული ქმედების ჩადენა, შემდეგ გარემოებათა გამო:

5. სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგენილად მიიჩნია, რომ , ვ. ნ-მ, ა. კ-მ, ს. ო-მ, ჯ. ნ-მ და ჯ. ს-მ უკმაყოფილება გამოთქვეს პოლიციის თანამშრომლების ადგილზე მისვლით და პოლიციის მუშაკებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისაგან ხელის შეშლის, მათი საქმიანობის შეწყვეტის და შეცლის მიზნით, რათა მათ არ გაეგრძელებინათ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება და არ მიეღოთ შესაბამისი ზომები, ძალადობით, ჯგუ-

ფურად შეუშალეს ხელი ამ საქმიანობაში“. ამასთან, ფაქტების სამართლებრივი შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვ. ნ-მ, ა. კ-მ, ს. ო-მ, ჯ. ს-მ და ჯ. ნ-მ ჩაიდინეს პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ჯგუფის მიერ ე.ი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნორმის დისპოზიციაში მითითებული რამდენიმე ალტერნატიული ქმედება, დანაშაულის ჩადენის ყველა ალტერნატიული ხერხით.

6. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ „მსჯავრდებულების მხრიდან ადგილი არ ჰქონია პოლიციელზე თავდასხმას მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, აღნიშნული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, თავდასხმაში, რაც გულისხმობს აგრესიულ აქტს, რასაც თან ახლავს ძალადობა ან ძალადობის მუქარა. ამავე დროს ადგილი აქვს პოლიციელზე მის სამსახურებრივ, საცხოვრებელ ან და სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმას, ასევე მათი ოჯახის წევრზე თავდასხმას პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. თავდასხმის ადრესატი შეიძლება იყოს პოლიციელი ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელი, მათი სამსახურებრივი ან საცხოვრებელი შენობა, მათი სატრანსპორტო საშუალება ანდა მათი ოჯახის წევრი“, რაზეც საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მსჯავრდებულებს ბრალი წარდგენილი ჰქონდათ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით, – პოლიციელზე ანდა მის სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე, ან მის სატრანსპორტო საშუალებაზე, ანდა მისი ოჯახის წევრზე თავდასხმა პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით, – პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ისე დაადგინა მსჯავრდებულების ქმედებებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის არარსებობა, რომ საერთოდ არ უმსჯელია ბრალად წარდგენილ ქმედებაზე, რომლის ნაცვლად მიმოიხილა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სულ სხვა დანაშაული, რომლის ჩადენასაც მსჯავრდებულებს ბრალდების მხარე არ ედავებოდა.

7. საკასაციო პალატა მიიჩნევს: იმისათვის, რათა სამართლებ-

რივად სწორად შეფასდეს დავის საგნად ქცეული ქმედების კვალიფიკაცია, უნდა გაივლოს ზღვარი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობასა და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფას შორის; უნდა გაიმიჯნოს ამ დანაშაულთა შემადგენლობებისთვის სავალდებულო ნიშნები და დადგინდეს, მოცემულ შემთხვევაში პოლიციელთა ჯანმრთელობის ხელყოფა იყო დანაშაულებრივი მიზნის მიღწევის საშუალება, თუ წარმოადგენდა ხელყოფის უშუალო ობიექტს; მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს მსჯავრდებულთა ქმედებები მიზნად ისახავდა პოლიციის მუშაკებისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლას, მათი საქმიანობის შეწყვეტას ან შეცვლას, რასაც თან სდევდა დაზარალებულების მიმართ ფიზიკური ძალადობა, თუ მათი ქმედებები პირდაპირ იყო მიმართული, პოლიციელების საქმიანობიდან გამომდინარე, მათი ჯანმრთელობის ხელყოფისაკენ.

8. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებულთა მიზანი იყო პოლიციელთა საქმიანობისათვის, კერძოდ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ძალადობით ხელის შეშლა და შეწყვეტა, არ არის მართებული და არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასებიდან, კერძოდ:

9. დაზარალებულ ა. ს-ს ჩვენებით ცალსახად დგინდება, რომ სლოტ-კლუბთან მისვლისთანავე, სანამ ვითარებაში გარკვევას მოასწრებდნენ, კლუბის შესასვლელშივე მას და ა. გ-ს შეხვდნენ უცხო პირები, რომელთა შორის მყოფმა ვ. ნ-მ მიმართა ა. გ-ს: „ძაღლებო, თქვენ ვინ გამოგიძახათო?“, რასაც მოჰყვა სწორედ პოლიციელების მიმართ აგრესიულად განწყობილი მსჯავრდებულების მხრიდან ფიზიკური ძალადობა, რის შედეგადაც ცხვირი ჰქონდა გატეხილი და სახეზე აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთები; დაზარალებულ ა. გ-ს ჩვენებით დასტურდება, რომ შემთხვევის ადგილზე მიახლოებისას სლოტ-კლუბის კართან მას და ა. ს-ს შეხვდნენ ახალგაზრდები, რომელთა შორის მყოფმა ვ. ნ-მ დაიყვირა: „როდესაც ჩვენ აქ ვართ, ძაღლებს ვინ დაუძახაო?“, თან პოლიციელებს აგინებდა, რის შემდეგაც, მსჯავრდებულებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და სცემეს მას. როდესაც გაქცევით ცდილობდა თავისთვის ეშველა, ზურგსუკან შემოესმა: „ჯ. დაიჭირე, ამისი ძაღლი დედა ვატირეო“. ძალადობის შედეგად მას ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნებოდა, თუმცა უჩიოდა ტკივილებს.

10. სამედიცინო ექსპერტიზის №... და №... დასკვნების თანახ-

მად: ა. ს-ს მიღებულ ტრავმასთან დაკავშირებით აღენიშნებოდა ცხვირის ძვლის მოტეხილობა ორ ადგილას, სისხლჩაქცევები ორივე თვალბუდის ქუთუთოებზე და მარჯვენა ყვრიმალის არეში. დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით, მიეკუთვნებოდა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოშლით, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის გამო, ხოლო ა. გ-ს ფიზიკური დაზიანების ობიექტური ნიშნები არ აღენიშნებოდა, თუმცა საექსპერტო კვლევისას უჩიოდა მცირე ტკივილს კეფის არეში, რაზეც საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ჯანმრთელობის ხელყოფა გულისხმობს როგორც სხეულის დაზიანების მცდელობას, ისე ფაქტობრივ დაზიანებას და, ამდენად, დანაშაული დასრულებულია ჯანმრთელობის ხელყოფის ანუ ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობის მომენტიდან.

11. საკასაციო პალატამ კრიტიკულად შეაფასა მოწმე პოლიციელების ჩვენებები, რომლებიც ამხელენ მსჯავრდებულებს დანაშაულის ჩადენაში და აღნიშნავს, რომ საგამოძიებო მოქმედებიდან დაზარალებულების სასამართლოში დაკითხვამდე გასულია დრო და არ არის გამორიცხული, რომ მათ არ ახსოვდეთ საქმისთვის უმნიშვნელო დეტალები, რაც არ შეიძლება გახდეს იმის უპირობოდ მტკიცების საფუძველი, რომ ისინი ცრუობენ. მითუმეტეს, როდესაც სხვა, საქმისთვის მნიშვნელოვან დეტალებთან დაკავშირებით (რის საფუძველზე მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, რა ვითარება დახვდათ სლოტ-კლუბთან, რამ გამოიწვია მსჯავრდებულების აგრესია და რა გახდა მათზე ძალადობის მიზეზი, კონკრეტულად ვინ მიაყენათ ფიზიკური შეურაცხყოფა, რომელმა პოლიციელმა გაისროლა გამაფრთხილებლად, ვინ ცდილობდა იარაღის წართმევას, როგორ და რა ფორმით იცავდნენ თავს და ა.შ.) ისინი იძლევიან თანმიმდევრულ და ამომწურავ ჩვენებებს, რომლებიც ზედმიწევნით თანხვდენილია და დასტურდება შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ვიდეოჩანაწერებით, რომლებსაც ამ მტკიცებულების თვალსაჩინო ბუნებიდან გამომდინარე, სამხილების შეფასებისას უპირობოდ ძალიან მაღალი წონა აქვს.

12. დაცვის მხარის მოსაზრებაზე, რომ შეუძლებელია შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ვიდეოჩანაწერებით ფაქტების უტყუარად დადგენა, ვინაიდან ისინი პირთა იდენტიფიკაციისათვის უვარგისია, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დაცვის მხარის ინიციატივით ექსპერტიზა ჩაუტარდა მხოლოდ სლოტ-კლუბის შიდა პერიმეტრზე განთავსებული კამერებისა და გარე პერიმეტრზე არსებული სავალუტო ჯიხურის ჩანაწერებს. პირველ შემთხვევაში პირთა იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა კამერისგან მოქმედების სიშორის, ხოლო მეორე შემთხვევაში – შენობაში სიბნელის გამო.

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა გაითვალისწინეს, რომ სლოტ-კლუბის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული კამერების ჩანაწერები იყო ბუნდოვანი და იგი ვერ დაედებოდა საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს. რაც შეეხება სლოტ-კლუბის გარე პერიმეტრზე არსებული კამერების ჩანაწერებს, საყურადღებოა, რომ გარდა სავალუტო ჯიხურისა, საქმეში წარმოდგენილია სლოტ-კლუბ ... და ტოტალიზატორ ... გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერები, რომლებიც ასახავს დანაშაულს, არის მკაფიო და სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, უშუალოდ შეამოწმოს დაზარალებულების მონათხრობის სისწორე და თანმიმდევრულობა. ასევე აღსანიშნავია, რომ დაზარალებულებმა ა. ს-მ და ა. გ-მ სწორედ ამ ჩანაწერების დათვალიერებისას უყოყმანოდ ამოიცნეს დამნაშავეები. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ რაიმე ობიექტური გარემოება, რაც დაზარალებულების – ა. ს-სა და ა. გ-ს მიუკერძოებლობის საეჭვოდ მიჩნევის საფუძველი გახდებოდა, წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგენილა. დაცვის მხარის მითითება პოლიციელთა მხრიდან უკანონო ქმედებების ჩადენაზე, რამაც, თითქოსდა განაპირობა მათ მიერ ცრუ ჩვენებების მიცემა, უსაფუძვლოა და არ დასტურდება საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულებით. უმნიშვნელო განსხვავებები, რაც შესაძლოა, შეინიშნებოდეს დაზარალებულთა მონათხრობში, მთლიანად აღებული ვერ დაუკარგავს მათ ჩვენებებს სანდოობას და სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად გამორიცხავს დაცვის მხარის მტკიცებას მსჯავრდებულების უდანაშაულობის თაობაზე. დაცვის მხარის ვერსია, რომ ჯ. ნ. საერთოდ არ მონაწილეობდა ინციდენტში, ეწინააღმდეგება არა მარტო დაზარალებულების ჩვენებებით, ამოცნობის ოქმითა და ვიდეოჩანაწერებით დადგენილ გარემოებებს, არამედ თავად ჯ. ნ-ს ჩვენებასაც, რომლის თანახმად, ა. გ-მ ჩხუბის დროს აქეთ დაარტყა მას მუშტი სახეში. სამართალწარმოების პროცესში საქართველოს კონსტიტუციის, საპროცესო სამართლის ნორმებისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული უფლებების უხეში დარღვევა, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, საქმის მასალებით არ დადგენილა.

13. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულების – ა. ს-სა და ა. გ-ს, მოწმეების – ი-ს, ი. დ-ს, გ-სა და თ. ს-ს ჩვენებებში ცალსახად არის მითითება იმ გარემოებაზე, რომ პოლიციელები ძალადობის ობიექტები გახდნენ მანამ, სანამ ისინი სლოტ-კლუბში შესვლასა და ვითარების გარკვევას მოასწრებდნენ, სანამ გაიგებდნენ, რა გახდა მათი შემთხვევის ადგილზე გამოძახების მიზეზი და შეუდგებოდნენ წესრიგის დაცვას. ერთმნიშვნელოვნად დადას-

ტურებულია, რომ ვ. ნ-მ ა- ს-სა და ა. გ-ს მიმართ აგრესია გამოხატა მათი დანახვისთანავე, არა იმიტომ, რომ ისინი იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს და სურდა მათთვის საქმიანობაში ხელის შეშლა ან/და მათი საქმიანობის შეწყვეტა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ პოლიციელები. ა. ს და ა. გ. მსჯავრდებულთა მხრიდან თავდასხმის ობიექტები გახდნენ არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში წინააღმდეგობის გაწევისას, არამედ გამოკვეთილად მათი სტატუსიდან გამომდინარე, რაც იმთავითვე და უპირობიდ გამორიცხავს მსჯავრდებულთა ქმედებებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არსებობას.

14. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვ. ნ-ს, ა. კ-ს, ს. ო-ს, ჯ. ს-სა და ჯ. ნ-ს ქმედებებში, რომლებმაც პოლიციელების – ა. ს-სა და ა. გ-ს სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ხელყვეს მათი ჯანმრთელობა, გამოხატულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისათვის სავალდებულო ელემენტები, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება საქმეში არსებული აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით: დაზარალებულების ა. ს-სა და ა. გ-ს ჩვენებებითა და მათივე მონაწილეობით ჩატარებული ამოცნობის ოქმებით, დაზარალებულის ტანსაცმლის ამოღების ოქმით, შემთხვევის ადგილიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, რისი გათვალისწინებითაც, უნდა შეიცვალოს მსჯავრად შერაცხული ქმედებების კვალიფიკაცია და შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს გასაჩივრებულ განაჩენში, როგორც ამ ქმედების სამართლებრივი შეფასების, ასევე – სასჯელის ნაწილშიც.

15. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.

16. საკასაციო პალატა სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს, მსჯავრდებულების პიროვნულ მახასიათებლებს, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს, კერძოდ: ჩადენილია მძიმე კატეგორიის, ძალადობრივი ხასიათის დანაშაული; ვ. ნ, ა. კ. და ს. ო. არიან ნასამართლევები; დაზარალებულ ა. ს–ს მიაყენეს ფიზიკური ზიანი (ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მისი ხანმოკლე მოშლით) და მიაჩნია, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით, ვ. ნ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით უნდა განესაზღვროს – 9 წლით

თავისუფლების აღკვეთა; ა კ-სა და ს. ო-ს – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ჯ. ს-სა და ჯ. ნ-ს – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავეთა რესოციალიზაციას. გასათვალისწინებელია, რომ ვ. ნ-ს, ს. ო-სა და ა. კ-ს დანაშაული ჩადენილი აქვთ პირობით მსჯავრდებისას, ამასთან, ვ. ნ-ს შემთხვევაში გამოკვეთილია დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობა, ხოლო ა. კ-სა და ს. ო-ს შემთხვევაში – განაჩენთა ერთობლიობა, რომელთაც საბოლოო სასჯელები უნდა განესაზღვროთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-3, მე-5 ნაწილების საფუძველზე, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულების – ვ. ნ-ს, ა. კ-ს, ს. ო-ს, ჯ. ს-სა და ჯ. ნ-ს ადვოკატების გ. ნ-სა და გ. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზაზა ცქვიტარიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 6 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

4. ვ ნ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველ ნაწილზე და იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის

მე-3 ნაწილის თანახმად უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და განესაზღვროს – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის განაჩენითა და ამავე სასამართლოს 2013 წლის 15 თებერვლის განჩინებით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა, შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და ვ. ნ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც აეთვალოს 2018 წლის 16 თებერვლიდან.

5. ა. კ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

– ა. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელად განესაზღვროს – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 ივნისის განაჩენითა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს მე-3 ადგილობრივი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის ... გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და ა. კ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც აეთვალოს 2018 წლის 16 თებერვლიდან.

6. ს. ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

– ს. ო. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელად განესაზღვროს – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 4 მაისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე

მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და ს. ო-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც აეთვალოს 2018 წლის 23 თებერვლიდან.

7. ჯ. ს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

– ჯ. ს. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელად განესაზღვროს – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც აეთვალოს 2018 წლის 16 თებერვლიდან.

8. ჯ. ნ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

– ჯ. ნ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელად განესაზღვროს – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც აეთვალოს 2018 წლის 16 თებერვლიდან.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 6 მარტის განაჩენი სხვა ნაწილში, დარჩეს უცვლელად;

10. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი

კერძო ნაწილი

1. საკასაციო განაჩენი

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და პირის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილით

№443ას-20 29 ოქტომბერი 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი სახიაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 15 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 15 ნოემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი სახიაშვილმა, რომელიც ითხოვს გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას, ხ. ჯ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას და მისთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა ს. ი-მ არ მისცა ჩვენება სასამართლოს, ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არის დადასტურებული ხ. ჯ-ს მიერ ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა.

2. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ხ. ჯ-ს ბრალი დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობაში, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე, 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, რაც გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 22 იანვარს, დაახლოებით 20:00 საათზე, ... მდებარე ხ. ჯ-სა და ს. ი-ს ოჯახის მფლობელობაში არსებულ სახლში, ხ. ჯ-მ

მუშტების ცხვირისა და თავის არეში დარტყმების, ე.წ. „მაშის“ ხელის არეში დარტყმისა და ფეხების სხეულზე დარტყმის გზით ფიზიკურად იძალადა თავის მეუღლეზე – ს. ი-ზე, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

3. ხ. ჯ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით.

4. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 10 ივლისის განაჩენით ხ. ჯ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

5. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 10 ივლისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი სახიაშვილმა, რომელიც ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას, მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას და ხ. ჯ-სათვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 15 ნოემბრის განაჩენით ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 10 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა პროკურორ გიორგი სახიაშვილის საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ ქვემდომი ინსტანციის სასამართლოებმა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით: დანაშაულის ჩადენის თაობაზე დაზარალებულის შეტყობინებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით, 2019 წლის 24 იანვრის დაზარალებულის ვიზუალური დათვალიერების ოქმითა და მოწმეების – გ. ო-სა და ბ. ჯ-ს ჩვენებებით უტყუარად დადგენილად მიიჩნიეს შემთხვევის დღეს ხ.ჯ-ს მხრიდან თავისი ოჯახის წევრის – ს. ი-ს მიმართ ფიზიკური ძალადობა, რასაც საკასაციო პალატაც იზიარებს და ეთანხმება.

3. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომლის მიხედვით, სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება, გამოიწვია თუ არა მეუღლის მიერ მიყენებულმა დაზიანებებმა დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოწ-

მე, რომელსაც შეეძლო ნათელი მოეფინა ამ საკითხისთვის, არის თავად დაზარალებული ს. ი., რომელმაც არ მისცა ჩვენება სასამართლოს, ხოლო სხვა მტკიცებულებები ამ სადავო გარემოების დასადგენად არ გამოდგება.

4. საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებულმა ს. ი-მ სასამართლოს არ მისცა თავისი ახლო ნათესავის – ხ. ჯ-ს მამხილებელი ჩვენება და გამოკვეთილი არ არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევა. ამდენად, შეუძლებელია, დაზარალებულის მიერ გამოძიების დროს, გამოკითხვისას, მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სასამართლომ დაადგინოს ფაქტები და მით უფრო – საფუძვლად დაუდოს გამამტყუნებელ განაჩენს.

5. საკასაციო პალატა, როგორც სხვა, მსგავსი კატეგორიის საქმეებში, ყურადღებას ამახვილებს დაზარალებულის ქცევაზე დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რომელიც იყო მოტივირებული, რათა ხელი შეეწყო ობიექტური გამოძიებისთვის – ნებაყოფლობით გამოიკითხა, მონაწილეობდა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებში, მათ შორის – სხეულზე არსებული დაზიანებების დათვალიერებასა და საგამოძიებო ექსპერიმენტში, ჩაიტარა სამედიცინო ექსპერტიზა, გაეცნო დაზარალებულად ცნობის დადგენილებასა და დაზარალებულის უფლებების განმარტებას, რაც სრულიად განსხვავდება მისი შემდგომი ქცევისაგან, როდესაც განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომ შეურიგდა მეუღლეს, მის მიმართ პრეტენზია აღარ აქვს და ბოლოს, არ მისცა ხ. ჯ-ს მამხილებელი ჩვენება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ს. ი-ს ქმედებები ნამდვილად ჰგავს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა კლასიკურ ქცევას, რომლებიც ძალადობის შემდგომ მუდმივ შიშსა და დაძაბულობაში განაგრძობენ ცხოვრებას და ფაქტად იღებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებული, რომელიც არის ძალადობის მსხვერპლი, შეშინებულია და მოძალადისგან მომავალი საფრთხის განეიტრალებას (თვითგადარჩენას) მის მიმართ ლმობიერი პოზიციის დაკავებაში ხედავს, რამაც განაპირობა სწორედ მისი პირვანდელი მტკიცე ნების – ხელი შეეწყო მართლმსაჯულების განხორციელებისთვის – რადიკალურად შეცვლა და სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის თქმა.

6. საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 5 აპრილის დადგენილებით რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია“). კონვენციის მიზნებისთვის, „ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომ-

ლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა. კონვენციის თანახმად, მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი დანაშაულის გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე, თუ დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ მხარის ტერიტორიაზე იყო ჩადენილი და რომ სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი გამოიტანს განცხადებას ან საჩივარს.

7. ამდენად, საკასაციო პალატა ითვალისწინებს მოცემულობას, როდესაც, ერთი მხრივ, დაზარალებულმა ს. ი-მ ისარგებლა კანონით მინიჭებული უფლებით და არ მისცა ხ. ჯ-ს მამხილებელი ჩვენება სასამართლოს, ხოლო, მეორე მხრივ, აცნობიერებს, რომ სწორედ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აღკვეთოს დანაშაული, დაიცვას მსხვერპლი და პასუხისმგებლობა დააკისროს მოძალადეს, მიუხედავად იმისა, გაიხმო თუ არა საჩივარი უკან დაზარალებულმა ან შეურიგდა თუ არა მოძალადეს.

8. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომელმაც ხ. ჯ.ს მხრიდან მეუღლეზე ფიზიკური ძალადობა და ამ ძალადობის შედეგად დაზარალებულის სხეულზე დაზიანებების არსებობა არ მიიჩნია საკმარისად ს. ი-ს მიერ განცდილი ფიზიკური ტკივილის დასადგენად, ურომლისოდაც გამოკვეთილი არ არის ხ. ჯ-სათვის ბრალად წარდგენილი ქმედების შემადგენლობისათვის სავალდებულო ყველა სამართლებრივი ნიშანი.

9. საკასაციო პალატა განმარტავს: ოჯახური ძალადობის შემადგენლობისათვის სავალდებულო ერთ-ერთი ელემენტის – ფიზიკური ტკივილის განცდის დადგენა შესაძლებელია როგორც თავად დაზარალებულის ჩვენებით, ასევე – საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით (მსხვერპლის სქესის, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ძალადობის ხანგრძლივობის, მიყენებული დაზიანებების რაოდენობის, სახის, განლაგების, დანაშაულის ჩადენის ხერხის, საშუალებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით), რომლებიც მსხვერპლის მიერ ტკივილის განცდის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალადობის ისეთი ფაქტები, სადაც დაზარალებულის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით შეუძლებელია მსხვერპლის მიერ განცდილი ტკივილის ვერბალურად გადმოცემა, დაუსჯელი დარჩებოდა.

10. განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის მიერ განცდილი ტკივილის დადგენა შეუძლებელია თა-

ვად დაზარალებულის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილია საკმარისი მტკიცებულებები დანაშაულის ამ სავალდებულო ნიშნის ფაქტობრივად (ობიექტურად) დასადასტურებლად, კერძოდ:

11. სამედიცინო ექსპერტიზის №. დასკვნით დადასტურებულია, რომ 2019 წლის 23 იანვარს, პირადი გასინჯვისას, ს. ი. უჩიოდა თავის, სახისა და ხელების არეში ტკივილს; ცხვირზე აღენიშნებოდა მოწითალო, უსწორო ფორმის სისხლჩაქცევა, ზომით – 1,5x1,2 სმ, ზედაპირზე მოწითალო, ზედაპირული, უსწორო ფორმის, უფუფხო ნაჭდევით, ზომით – 0,5x0,3 სმ, ხოლო შუბლზე, მარცხნივ, თავის თმიან ნაწილთან აღენიშნებოდა მოწითალო, უსწორო ფორმის, შესიებული სისხლჩაქცევა, ზომით – 1,8x1,8 სმ. დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივ-ბლაგვი საგნის მოქმედებით, მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. საექსპერტო კვლევისას, დაზარალებულის გადმოცემით, დაზიანებები 2019 წლის 22 იანვარს მიაყენა მეუღლემ, რომელმაც მუშტი ჩაარტყა სახეში, წააქცია და სხეულის სხვადასხვა არეში სცემა მუშტებით, ფეხებითა და ნაცრის საჩხრეკი ე.წ. „მაშით“. ამდენად, ცალსახად დადგენილია, რომ ძალადობიდან მეორე დღესაც კი დაზარალებული უჩიოდა ტკივილს სხეულის დაზიანებულ მიდამოებში, რაც, ძალადობის ხარისხის, დანაშაულის ხერხისა და საშუალების გათვალისწინებით, უპირობოდ გამორიცხავს იმ დაშვებას, რომ ს. ი-ს შესაძლოა, ტკივილი არ განეცადა ფიზიკური ძალადობის დროს.

12. 2019 წლის 24 იანვრის დაზარალებულის ვიზუალური დათვალიერების ოქმზე თანდართულ ფოტოში ნათლად ჩანს დაზიანება, რომელიც ს. ი-ს აღენიშნებოდა ხ. ჯ-ს ძალადობის შედეგად.

13. სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული სამედიცინო ექსპერტის – გ. ო-ს ჩვენებით, ვინც პირადად გასინჯა ექსპერტიზის პროცესში დაზარალებული ს. ი. და გამომძიებელ – ბ. ჯ-ს ჩვენებით, რომელმაც ვიზუალურად დაათვალიერა დაზარალებული, რომელთა ჩვენებები არის პირდაპირი მტკიცებულებები დაზარალებულის სხეულზე არსებულ დაზიანებებთან მიმართებით, დასტურდება, რომ ს. ი. მეუღლის მხრიდან ძალადობის შედეგად განიცდიდა ტკივილს.

14. საკასაციო პალატას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის, დაზარალებულის სხეულზე არსებული დაზიანებების დათვალიერების ოქმისა და მოწმეების – გ. ო-სა და ბ. ჯ-ს ჩვენებების საფუძველზე უტყუარად დადგენილად მიაჩნია, რომ ხ. ჯ-ს ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებები ნორმალური ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ადამიანში უდავოდ გამოიწვევდა ტკივილს და, ამდენად, ბრალდების მხარის მიერ წარმოდ-

გენილი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილად მიიჩნევს, რომ ხ. ჯ-ს ფიზიკური ძალადობის შედეგად ს. ი-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი, რომლის კვალიფიკაციაზე საკასაციო პალატა გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასებისას იმსჯელებს.

15. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლით დასჯადია ოჯახში ძალადობა, ე.ი ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის მსუბუქი, ნაკლებად მძიმე ან მძიმე ხარისხის დაზიანება.

16. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით წარმოდგენილ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ხ. ჯ-ს მიერ ოჯახის წევრის (მეუღლის) მიმართ ჩადენილი ძალადობა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი და იგი დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

17. საკასაციო პალატა დასძენს, რომ მართლწინააღმდეგობის ან/და ბრალის გამომრიცხველი რაიმე გარემოება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგენილა.

18. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილი ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

19. საკასაციო პალატა კვლავაც იმეორებს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მე-11[1] მუხლი (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის) და 126[1]-ე მუხლი (ოჯახში ძალადობა). კანონის პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტის მიზანი ეხმიანება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მიზანს – დაამკვიდროს ნულოვანი ტოლერანტობა ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. აღნიშნული სულისკვეთებიდან გამომდინარე, ოჯახური დანაშაულის ცალკე ნორმებად არსებობის მიზანიც ოჯახში ძალადობის

ფაქტებზე შესაბამისი რეაგირება, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად კვალიფიკაცია და ადეკვატური სანქციის დანიშვნაა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება №355ას-18, სამოტივაციო ნაწილის პუნქტი 4).

20. საკასაციო პალატა სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში იღებს ხ. ჯ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს – ჩადენილია ნაკლებად მძიმე კატეგორიის, განზრახი, ძალადობრივი ხასიათის დანაშაული, რომელიც მისი გავრცელების მასშტაბის შესაბამისად საფრთხის მატარებელია; ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს – ხ. ჯ. ხელებით, ფეხებითა და ე.წ. „მაშით“ მიაყენა მეუღლეს დაზიანებები და დაზარალებულის პოზიციას, რომელსაც პრეტენზია არ გააჩნია და მიაჩნია, რომ ხ. ჯ. სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 150 საათით, რაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის ინტერესს.

21. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დროის (2019 წლის 23 იანვრიდან 2019 წლის 10 ივლისის ჩათვლით) გათვალისწინებით, ხ. ჯ. შეფარდებული სასჯელი უნდა ჩაეთვალოს მოხდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი სახიაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 15 ნოემბრის განაჩენი ხ. ჯ.-ს მიმართ;

3. ხ. ჯ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 150 საათით;

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დროის გათვალისწინებით, ხ. ჯ. შეფარდებული სასჯელი ჩაეთვალოს მოხდილად;

5. ნივთმტკიცება – საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ამოღებული ე.წ. „მაშა“ დაუბრუნდეს დაზარალებულს;

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენში ცვლილების შეტანა და პირის უდანაშაულოდ ცნობა ძურდობისა და ძარცვის ბრალდების ნაწილებში

განაჩენი საქართველოს სახელით

№109ას-20 29 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ა-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ს-ის, მსჯავრდებულ ა. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. გ-ის, ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ კახაბერ ლეკიშვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენით:

1.1. ა. მ., – - ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ს-ის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 2 თვით;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ს. ჩ-ის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 2 თვით;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-

ქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ი. თ-ის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 2 თვით;

საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით (რ. მ-ის ძარცვის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და 2 თვით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ ა. მ-ს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და 2 თვით; გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 9 თებერვლის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და ა. მ-ს განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა – 5 წლითა და 2 თვით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო 2018 წლის 12 სექტემბრიდან.

1.2. ს. ა. ცნობილ იქნა დამანაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ს-ის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 2 თვით;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ს. ჩ-ის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 2 თვით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, თანაბარი სასჯელებიდან ერთმა შთანთქა მეორე და საბოლოოდ ს. ა-ს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 2 თვით. გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 6 ივნისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და ს. ა-ს განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა – 4 წლითა და 2 თვით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო 2018 წლის 12 სექტემბრიდან.

2. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს: მსჯავრდებულმა ა. მ-მა, მსჯავრდებულმა ს. ა-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ს-მა და ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კახაბერ ლეკიშვილმა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განაჩენით ახალციხის

რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ:

4.1. 2018 წლის 9 სექტემბერს ქურდობის ჩადენისათვის ნასამართლევი ს. ა. და ასევე ქურდობის ჩადენისათვის ნასამართლევი ა. მ. წინასწარ შეთანხმებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლნენ ა-ი, ტ-ის ქუჩაზე მდებარე ს-ის ტერიტორიიდან „ს-ის“ კუთვნილ, 100 ლარად ღირებულ ლითონის ნივთებს (სკამის ფეხებს), რომლებიც ჩააბარეს ჯართის მიმღებ პუნქტში და აღებული თანხა გამოიყენეს პირადი დანიშნულებისამებრ. ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად საქციო საზოგადოება „ს-ას“ მიადგა 100 ლარის ზიანი.

4.2. 2018 წლის 9 სექტემბერს ქურდობის ჩადენისათვის ნასამართლევი ს. ა. და ასევე ქურდობის ჩადენისათვის ნასამართლევი ა. მ. წინასწარ შეთანხმებით, მართსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლნენ ა-ი, ი-ის ეზოდან ს. ჩ-ის კუთვნილ, 450 ლარად ღირებულ, ლითონის კონსტრუქციის ორ კარს, რომლებიც ჩააბარეს ჯართის მიმღებ პუნქტში და აღებული თანხა გამოიყენეს პირადი დანიშნულებისამებრ. ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ს. ჩ-ს მიადგა 450 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

4.3. 2018 წლის 31 აგვისტოდან 7 სექტემბრის პერიოდში ქურდობის ჩადენისათვის ნასამართლევმა ა. მ-მა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, შეაღწია ა-ი, თ-ში მცხოვრებ ი. თ-ის საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც ფარულად დაეუფლა ორ „სამსუნგისა“ და „ვერტექსის“ ფირმის მობილურ ტელეფონს, საწოლის თეთრეულს, ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელს, ბეჭდებს, საყურეებს, სხვადასხვა სახის ბიჟუტერიას, სპირტიან სასმელებს, თმის საკრეჭ ელექტრომანქანას, შაქრის საზომ აპარატს, ბავშვის სათამაშოებს, ხელჩანთებსა და სხვადასხვა ნივთს, რითაც დაზარალებულ ი. თ-ეს მიადგა 3600 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

4.4. 2018 წლის 2 სექტემბერს, ღამით, ქურდობის ჩადენისათვის ნასამართლევმა ა. მ-მა დაუდგენელ პირთან ერთად უკანონოდ შეაღწია ა-ის სოფელ პ-ში მცხოვრებ რ. მ-ის საცხოვრებელ სახლში, ხელის დარტყმით სახისა და თავის არეში მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება და აშკარად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, გასტაცა 60 ლარი, საპენსიო ბარათი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ოქროსფერი ჯაჭვი, ჯვარი და სხვადასხვა აქსესუარი.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განაჩენი საკასაციო წე-

სით გაასაჩივრეს: მსჯავრდებულმა ს. ა-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ს-მა, მსჯავრდებულ ა. მ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა შ. გ-ემ, ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კახაბერ ლეკიშვილმა.

6. მსჯავრდებული ს. ა. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ითხოვენ ს. ა-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

6.1. დაცვის მხარე საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ ს. ა-ს დაუკავშირდა მისი მეგობარი ა. მ., რომელიც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა, არ აქვს პასპორტი და სთხოვა, რომ ჯართის მიმღებ პუნქტში გაყოლოდა და თან წაეღო პირადობის მოწმობა (რადგან ჯართს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე არ იბარებენ). ა. მ-მა იმავდროულად დაურეკა ტაქსის მძღოლ მ. კ-ს, რომელსაც უთხრა იგივე, კერძოდ, რომ ჯართი ჰქონდა ჩასაბარებელი და ავტომანქანით მომსახურება ესაჭიროებოდა. სამივენი ერთად მივიდნენ ა-ი, ტ-ის ქუჩაზე. წარსული ნასამართლობისა და სხვადასხვა მიზეზის გამო, სამართალდამცავებს ს. ა-ისა და მისი ძმის მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნიათ.

7. მსჯავრდებულ ა. მ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. გ. ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას, რ. მ-ისა ძარცვისა და თ-ეების ბინის ქურდობის ეპიზოდებში ა. მ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

7.1. დაცვის მხარე საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ მოცემულ საქმეზე ერთობ საეჭვოდ ჯერ შემთხვევის ადგილიდან აღებული სუნის ნიმუში დაზიანდა, შემდეგ – ბრალდებულ ა. მ-ისგან აღებული სუნის ნიმუში. დაცვის მხარისათვის უცნობია, 2018 წლის 10 სექტემბერს ჩატარებული ჩხრეკა გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარდა, თუ სასამართლოს წინასწარი ნებართვის საფუძველზე, ან საერთოდ არსებობს თუ არა ამ ჩხრეკასთან დაკავშირებით სასამართლოს განჩინება, ან თუ არსებობს, რა მასალებზე დაყრდნობით მიიღო მოსამართლემ კანონიერად ცნობის შესახებ განჩინება. სასამართლოზე დაცვის მხარეს არ მიეცა საშუალება, გამოეკითხა მოწმე რ. მ. იმ მიზეზით, რომ იგი ბრალდების მხარეს უკვე მოწვეული ჰყავდა და მის დაკითხვაში დაცვამაც მიიღო მონაწილეობა. რაც შეეხება ს-ის კუთვნილი სკამის ლითონის 4 ფეხის ქურდობასა და ჟანგიანი ლითონის კარის, წინასწარ შეთანხმებით გჯუფის მიერ ქურდობის ფაქტს, ბრალდებამ სასამართლოს ვერ წარმოუდგინა იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტისათვის არის აუცილებელი. არ იკვეთება, რომ ქურდობა ჩადენილი იყო წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის მიერ.

8. ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორი კახაბერ ლეკიშვილი ითხოვს ა. მ-ისა და ს. ა-ის მიმართ კანონიერი და უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

8.1. ბრალდების მხარე საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი იმდენად მსუბუქია, რომ ის ბრალდებულებს „სტიმულსაც“ კი უქმნის ახალი დანაშაულის ჩასადენად. სასამართლო პროცესზე ასევე დაიკითხნენ ექსპერტები, რომლებმაც ჩაატარეს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, რითაც დადგინდა, რომ თ-ეების ბინაში გამოვლენილი თითის კვლების ნიმუშთაგან ორი ნამდვილად ა. მ-ს ეკუთვნის. სიგარეტის ნამწვზე (რომელიც რ. მ-ის საცხოვრებელი სახლისა და შესასვლელი კარის დათვალიერების დროს ნახეს) არსებული გენეტიკური პროფილი ნამდვილად ეკუთვნის ა. მ-ს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატა ს. ა-ისა და ა. მ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა (ს-ის ეპიზოდი) და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ს. ჩ-ის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ნაწილში სრულად ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მოწმეების – ა. მ-ის, რ. ი-ისა და მ. კ-ის ჩვენებებით, ამოღებისა და ამოცნობის ოქმებით, საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზის დასკვნით), გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულთა მიერ ქურდობის ორი ეპიზოდის ჩადენის ფაქტი. ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით უთითებს, რომ მსგავს სამართლებრივ საკითხზე არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (მაგ. იხილეთ №471ას-14 გადაწყვეტილება), რომელსაც შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს განაჩენი.

2. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა (ი. თ-ის ეპიზოდი) და სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით (რ. მ-ის ძარცვის ეპიზოდი) ა. მ-ის მსჯავრდებას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მის მიერ აღნიშნული დანაშაულების ჩადენის ფაქტი სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დასტურდება, შემდეგ გარემოებათა გამო:

3. სააპელაციო სასამართლოს მოტივაციის თანახმად, ა. მ-ის მიერ რ. მ-ის ბინაში ძარცვის ჩადენა დგინდება შემდეგი მტკიცებულებებით: დაზარალებული მოწმის – რ. მ-ის ჩვენებით, 2018 წლის 2 სექტემბრის ამოღების ოქმით, სამედიცინო, ოდოროლოგიური, ბი-

ოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებითა და ამოცნობის ოქმებით. საკასაციო პალატა სრულად მიმოიხილავს ამ მტკიცებულებათა შინაარსსა და მათ კავშირს ა. მ-ის მსჯავრდებასთან, კერძოდ:

4. მოწმე რ. მ-ის ჩვენების თანახმად, იგი ცხოვრობს მარტო. 2018 წლის 2 სექტემბერს, როდესაც გაეღვიძა, სახლში ვიღაცები დადიოდნენ (ზუსტ ოდენობას ვერ ასახელებს, მაგრამ ფიქრობს, რომ იყვნენ ორნი). ერთმა პირმა რამდენჯერმე დაარტყა, მერე დაანებეს თავი და წავიდნენ. ფული, კერძოდ, 60 ლარი, მეორე ოთახში, ლოგინში ჰქონდა შენახული, რომელიც წაიღეს. მეორე ოთახში რომ შევიდნენ, თვითონ სახლიდან გამოიქცა და მეზობელთან მივიდა. აღნიშნული პირები სახეზე დაზარალებულს არ დაუნახავს (რადგან ღამე იყო და ბნელოდა). მოწმე განმარტავს, რომ თავს ცნობს დაზარალებულად, ვინაიდან მას მიაყენეს ფიზიკური ტკივილი და წაიღეს თანხა. როდესაც დაზარალებული სახლში დაბრუნდა, სხვა არაფერი დაუნახავს. მეორე დღეს, ეზოში მან თავისი ოქროსფერი ყელსაბამი და ჯვარი ცეპით ვედროში ჩაგდებული ნახა.

5. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს ცალსახად, ერთგვაროვნად და რამდენჯერმე უპასუხა, რომ მძარცველებმა მისი სახლიდან წაიღეს მხოლოდ თანხა, კერძოდ, 60 ლარი. სხვა რაიმე სახის ნივთი (მათ შორის სამკაული) შემთხვევის ღამეს მას არ დაუკარგავს. მაშასადამე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ რ. მ-ის მიერ 2018 წლის 13 სექტემბერს ობიექტის (საგნის, კერძოდ, ყელსაბამების) ამოცნობის ოქმები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ა. მ-ის გამამტყუნებელ განაჩენს. რაც შეეხება დამაზუსტებულ შეკითხვაზე დაზარალებულის პასუხს, რომ მის სახლთან, ვედროში ნაპოვნი ნივთები იყო თავისი, ამ საგნებთან მსჯავრდებულის რაიმე სახის კავშირი დადასტურებული არ არის.

6. 2018 წლის 3 ოქტომბრის ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილიდან აღებული სხვადასხვა ობიექტიდან (მათ შორის: ანაწმენდები სასტუმრო ოთახში არსებული კომოდის სახელურებიდან, საძინებელში არსებული კარადის სახელურებიდან, რკინის ძელაკიდან, დანის შალითიდან, წებოვანი ლენტებიდან) ა. მ-ის გენეტიკური პროფილი ამოვიდა მხოლოდ „...№10 ნიშნულიდან ამოღებული სიგარეტის ნამწვიდან“, რომელიც 2018 წლის 2 სექტემბრის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმისა და მასზე თანდართული ფოტოცხრილის თანახმად, გამომძიებლებმა დააფიქსირეს შესასვლელთან, კიბის ძირში, ვედროსთან. მართალია, ბინის შესასვლელთან არსებულ ნამწვზე პირის გენეტიკური პროფილის ამოსვლა შესაძლოა, მიუთითებდეს მის უშუალოდ ბინაში შესვლაზეც, მაგრამ აღნიშნული ფაქტის

მტკიცება (ისევე, როგორც ამ პირის მიერ შემდეგში ძარცვის ჩადენის ფაქტი), სხვა, უტყუარი მტკიცებულებების გარეშე, პირის მსჯავრდებისთვის საკმარისი არ არის.

7. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, 2018 წლის 2 სექტემბრის ამოღების ოქმის თანახმად, საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის იატაკიდან ამოღებულია წებოვანი ლენტის ფრაგმენტი (ნახმარ მდგომარეობაში, რომელიც იყო გამჭვირვალე და ზედ აღენიშნება თმის ღერები), მაგრამ აღნიშნული ობიექტის კავშირი ა. მ-თან აგრეთვე არ არის დადასტურებული.

8. რაც შეეხება 2018 წლის 3 სექტემბრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, იგი მოცემულ შემთხვევაში ადასტურებს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ რ. მ-ს სხეულზე მსუბუქი ხარისხის დაზიანება ნამდვილად აღენიშნებოდა.

9. ექსპერტიზაზე გასაგზავნ სუნის ნიმუშებთან დაკავშირებით, დაცვის მხარე საკასაციო საჩივარში აპელირებს, რომ მოცემულ საქმეზე ერთობ საეჭვოდ ჯერ შემთხვევის ადგილიდან აღებული სუნის ნიმუში დაზიანდა, შემდეგ კი – ა. მ-ისგან აღებული სუნის ნიმუში.

10. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, 2018 წლის 2 სექტემბერს, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, ექსპერტებმა აიღეს სუნის ნიმუში, რომელიც, როგორც 2018 წლის 5 სექტემბრის ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმით დგინდება, გადაადგილებისას მართლაც დაზიანდა და ქილა გატყდა, ხოლო პაკეტი გაიხა, რომელიც წებოვანი ლენტით დაილუქა (რათა სუნის კვალი არ გამქრალიყო); პაკეტის გახსნისას მასში აღმოჩნდა გატეხილი ქილა ლუქის ნომრით №... და პაკეტში მობნეული სუნის ნახშირი, რომელიც კვლავ დაილუქა ერთ ქილად, ლუქის ნომრით №... და მოთავსდა ერთ პაკეტში.

11. აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალების თანახმად, ბრალდების ამავე ეპიზოდის ფარგლებში გადაუდებელი აუცილებლობით სუნის ნიმუში ა. მ-ისგან აიღეს ორჯერ, დროის მცირე ინტერვალით, კერძოდ, 2018 წლის 3 სექტემბერსა და 2018 წლის 5 სექტემბერს. 2018 წლის 4 სექტემბრის ოქმის თანახმად (უდავო მტკიცებულება), ა. მ-ისგან 2018 წლის 3 სექტემბერს აღებული სუნის ნიმუში დაზიანდა, რის გამოც ექსპერტიზის ჩასატარებლად გახდა უვარგისი.

12. როგორც შემდგომში, 2018 წლის 12 სექტემბრის ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, ა-ის სოფ. პ-ში მცხოვრებ რ. მ-ის ძარცვის ფაქტთან დაკავშირებით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სუნის კვალის ნიმუშები იდენტურია ა. მ-ისა და ს. ა-

ისაგან აღებული სუნის კვალის ნიმუშებისა. ამასთან, ექსპერტმა მ. ჩ-ემ სასამართლო სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ მასთან წარმოდგენილი იყო საკვლევი ობიექტის სუნის კვალის ნიმუშები, რომლებიც მოთავსებული იყო სპეციალურ ქილებში; არც ქილისა და არც თავსახურის მთლიანობა არ იყო დარღვეული.

13. სუნის ნიმუშის აღებასა და დალუქვის პროცედურასთან მიმართებით საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ექსპერტისა და გამომძიებლის ჩვენებებზე, კერძოდ:

13.1. ნ. ა-მა სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მუშაობს ახალციხის საექსპერტო კრიმინალისტიკურ სამსახურში, კინოლოგ-ექსპერტად. იგი სოფელ პ-ში შემთხვევასთან დაკავშირებით გამოიძახეს. როდესაც ადგილზე თავისი საქმე დაასრულა, ცელოფანი ხელიდან გაუცურდა და ძირს დავარდა. ქილა რომ გატყდა, მან ცელოფანი დააზიანა, ნახშირი იბნეოდა. სუნი რომ არ დაკარგულიყო, მაშინვე გადაახვიეს და იძულებულები იყვნენ, რომ შენობაში შეეტანათ. შედგა აქტი, სუნი მოათავსეს ახალ ქილაში, დაილუქა და დასრულდა ნ. ა-ის მოქმედება. ადგილზე რომ დაბრუნებულიყვნენ და ხელახლა აეღოთ სუნის ნიმუში, აზრი არ ჰქონდა, რადგან იმ ადგილზე მოწმის შესვლის შემდეგ ექსპერტები შევიდნენ (რის გამოც სუნის აღება შეუძლებელი იქნებოდა). გატეხილი ქილა მაშინვე დაილუქა. მოწმემ აგრეთვე აღნიშნა, რომ ნახშირს აქვს უნარი, დიდხანს შეინარჩუნოს სუნი. რადგანაც დაილუქა და მერე ხელახლა, ახალ ქილაში მოთავსდა, სუნს არ დაკარგავდა და შესაძლებელი იქნებოდა ამ ნიმუშის გამოყენება.

13.2. გ. გ-ის ჩვენებით, ექსპერტების მიერ აღებული ერთ-ერთი სუნის ნიმუში დაზიანდა და ხელახლა დაილუქა, პაკეტის მთლიანობა არ იყო დარღვეული, მხოლოდ ქილა დაზიანდა. ექსპერტების მონაწილეობით ნიმუში გადალუქა ხელახლა და სპეციალურ ქილაში მოთავსდა. სუნის დაკარგვის შანსი არ არსებობდა. ექსპერტ-კინოლოგმა დაასკვნა, რომ მისი ფერმენტულობა არ იყო დარღვეული და ვარაუდობდნენ, რომ ექსპერტიზისათვის იქნებოდა ვარგისი.

14. მაშასადამე, როგორც ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებიდან დგინდება, შემთხვევის ადგილზე აღებული სუნის ნიმუში არ დაკარგულა და ა. მ-ის სუნის ნიმუშის იდენტური აღმოჩნდა.

15. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებს, კერძოდ, ა. ა-ის, ექსპერტ ნ. კ-ისა და გამომძიებელ დ. მ-ის ჩვენებებს, აგრეთვე სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებულ ლ-ის გამოკითხვის ოქმს, ისინი ირიბი მტკიცებულებებია და მათი შინაარსი უტყუარად ვერ ადასტურებს ა. მ-ის მიერ ძარცვის ჩადენის ფაქტს.

16. ამდენად, როგორც საქმის მასალებით დგინდება, დაზარალებულს სახეზე არ დაუნახავს პირები, რომლებიც მის საცხოვრე-

ბელ სახლში იმყოფებოდნენ. ამასთან, თავად რ. მ-ის ჩვენების თანახმად, სახლიდან დაიკარგა მხოლოდ 60 ლარი და არა სხვა ნივთიც/ნივთებიც (რომლებიც ბრალდების შესახებ დადგენილებაშია აღწერილი). მაშასადამე, ა. მ-ის კავშირზე მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან მიუთითებს: ბიოლოგიური და ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით ა. მ-ის გენეტიკური პროფილი ამოვიდა მხოლოდ დაზარალებულის საცხოვრებელი სახლის შესასვლელთან, კიბის ძირში, ვედროსთან დაგდებული სიგარეტის ნამწვიდან). აღნიშნულ ნამწვზე ამოსული ა. მ-ის პროფილი კი, ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად, მოცემულ შემთხვევაში ვერ ქმნის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის განსაზღვრულ გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებით სტანდარტს, რის გამოც, ა. მ. რ. მ-ის ძარცვის ეპიზოდში (საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტები) წარდგენილ ბრალდებაში უნდა გამართლდეს.

17. რაც შეეხება ი. თ-ის ბინის ქურდობის ეპიზოდს, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლო ა. მ-ის მსჯავრდების დამადასტურებელ ძირითად მტკიცებულებებად უთითებს: დაქტილოსკოპიური №... ექსპერტიზის დასკვნასა და 2018 წლის 12 სექტემბრის ნივთის ამოცნობის ოქმებს, კერძოდ:

18. 2018 წლის 11 სექტემბრის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ხელის თითის კვლები, რომლებიც ი. თ-ის სახლიდან ამოიღეს (კვლები: №1, №2, №3, №4, №5, №6 და №7), პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ვარგისია. იდენტიფიკაციისათვის ვარგისი კვლებიდან ორი, კერძოდ, კვალი №1 იდენტურია ა. მ-ის მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის ანაბეჭდისა, ხოლო კვალი №2 იდენტურია ა. მ-ის მარჯვენა ხელის გულის ანაბეჭდის ფრაგმენტისა.

19. ნივთების ამოცნობის ოქმებთან მიმართებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც 2018 წლის 12 სექტემბრის გამომძიებელ დ. მ-ის პატაკით დგინდება, შსს ახალციხის რაიონულ სამმართველოში მიღებული ინფორმაციის თანახმად, ნ. ჩ-ის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი გაქურდული უნდა ყოფილიყო თ-ი, მ-ში მცხოვრებ ს. ა-ისა და ა-ის სოფელ წ-ში მცხოვრები ა. მ-ის მიერ, რის საფუძველზეც ხსენებული პირების საცხოვრებელ სახლებში 2018 წლის 10 სექტემბერს ჩატარდა ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად სხვადასხვა ნივთი ამოიღეს. ამავე პატაკში ჩამოთვლილია ნივთთა აღწერილობა და ამასთან, მითითებულია თხოვნა იმის თაობაზე, რომ პირად შემადგენლობას ეცნობოს მათი აღწერილობა, რათა დადგინდეს, ხომ არ ფიგურირებს ისინი რომელიმე სხვა სისხლის

სამართლის საქმეში.

20. ზემოაღნიშნულ პატაკში მითითებულ ა. მ-ის ბინის ჩხრეკასთან დაკავშირებით დაცვის მხარე საჩივარში უთითებს, რომ მისთვის უცნობია, ხსენებული ჩხრეკა გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარდა თუ სასამართლოს წინასწარი ნებართვის საფუძველზე, ან არსებობს თუ არა ამ ჩხრეკასთან დაკავშირებით სასამართლოს განჩინება, ან თუ არსებობს, რა მასალებზე დაყრდნობით მიიღო მოსამართლემ კანონიერად ცნობის შესახებ განჩინება.

21. პირველი ინსტანციის სასამართლო დაცვის მხარის აღნიშნულ პოზიციაზე პასუხობს, რომ გამომძიებელმა დ. მ-ემ სხდომაზე მიცემული ჩვენებით დაადასტურა ჩხრეკისა და პატაკის კანონიერება. ს. ა-ის გამოკითხვის ოქმით კი (ა. მ-ის პაპა) დადგენილია, რომ მის სახლში ამოიღეს სხვადასხვა ნივთი, რომლებიც დ. მ-ემ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში პატაკით წარადგინა. პირველი ინსტანციის სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ა. მ-ის სახლიდან ნივთების ამოღების ფაქტი დადასტურებული იყო თავად ს. ა-ის გამოკითხვის ოქმით, რის გამოც ამ ჩხრეკის უკანონობის დასამტკიცებლად დაცვის მხარე ვალდებული იყო, წარმოედგინა მტკიცებულება ჩხრეკის უკანონოდ ჩატარების თაობაზე.

22. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება მოცემულ მსჯელობას და აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ხსენებული საქმის მასალები: დ. მ-ის პატაკი, მისი ჩვენება, ს. ა-ის გამოკითხვის ოქმი (თავად ბინის ჩხრეკის ოქმის გარეშე) არ არის საკმარისი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ობიექტებზე ჩატარებული ამოცნობის ოქმების გაზიარებისათვის. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმის მასალებში წარმოდგენილ ა. მ-ის ადვოკატის ორ განცხადებასაც (მათგან ერთ-ერთი შედგენილია 2019 წლის 13 მაისს, ე.ი. პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპის დასრულებამდე), რომლებითაც იგი სწორედ ს. ა-ის / ა. მ-ის ბინის ჩხრეკისა და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის გადაცემას ითხოვს. ადვოკატს წერილებით განემარტა, რომ აღნიშნული მასალა ა. მ-ისა და ს. ა-ის სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი არ იყო. ბრალდების მხარის სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხაში (რომელიც წინასასამართლო სხდომაზე დამტკიცდა) ს. ა-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები მითითებული არ არის. ამასთან, ისინი მითითებული არ არის ა. მ-ის ადვოკატთან მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის ოქმებშიც.

23. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ჩხრეკის შედე-

გად ამოღებულ ნივთებზე ამოცნობის ჩატარება და ამგვარი ამოცნობის ოქმის პირის გამამტყუნებელ მტკიცებულებად გამოყენება, უშუალოდ ჩხრეკის ოქმის (მასთან დაკავშირებული პროცესუალური დოკუმენტების) გამოკვლევისა და დაცვის მხარისათვის გადაცემის გარეშე, არამართებულია.

24. ამდენად, მხოლოდ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა და სხვა ირიბი მტკიცებულებები (მათ შორის – ი. თ-ის, გ. ი-ის, მ. თ-ის ჩვენებები, რომლებიც ადასტურებენ ღია კარის დახვედრისა და ბინიდან გარკვეული ნივთების წაღების ფაქტებს) ა. მ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ი. თ-ის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებითი სტანდარტით ვერ ადასტურებს.

25. საკასაციო პალატა პროკურორის აპელირებას ა. მ-ისა და ს. ა-ის სასჯელის დამძიმების თაობაზე, მის საჩივარში მითითებულ არგუმენტებზე დაყრდნობით, არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ საapელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულთათვის დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ დანიშნული სასჯელი სამართლიანია და მისი დამძიმების საფუძველი არ არსებობს.

26. საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში იღებს ქმედების განხორციელების სახესა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს; ამასთან, ზიანთან მიმართებით აღნიშნავს, რომ როგორც საქმის მასალებით არის დადგენილი, ლითონის ორი კარი და სკამის ოთხი ფეხი ამოღებულია (ს-ისა და ს. ჩ-ის ეპიზოდები), რაც საბოლოოდ, კანონით დადგენილი წესით მათ მფლობელებს დაუბრუნდებათ.

27. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ კახაბერ ლეკიშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. მსჯავრდებულ ს. ა-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ს-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

3. მსჯავრდებულ ა. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4.1. ა. მ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს:

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ი. თ-ის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში;

საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით (რ. მ-ის ძარცვის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში;

4.2. ა. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ს-ის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 2 თვით;

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ს. ჩ-ის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 2 თვით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თანაბარი სასჯელებიდან ერთმა შთანთქას მეორე და საბოლოოდ, ა. მ-ს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა – 4 წლითა და 2 თვით;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 9 თებერვლის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად ა. მ-ს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა – 4 წლითა და 2 თვით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყოს 2018 წლის 12 სექტემბრიდან.

5. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში (მათ შორის ს. ა-ის მსჯავრდების) დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის უცვლელად დატოვება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№17აგ-19 30 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ს-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ნ. ჩ-ს, ჯ. ხ-ს და ზ. დ-ს საკასაციო საჩივრები ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 თებერვლის განაჩენით ბ. ს-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის 1-ლ ნაწილზე; ბ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით, 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 500 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და ბ. ს-ს საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 500 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 4 ივნისიდან.

2. ამავე განაჩენით პროკურორსა და ვ. ბ-ს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება ბრალზე.

3. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენში შევიდა ცვლილება: „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ასევე, ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ბ. ს-ს გაუნახევრდა საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ჯარიმის სახით დანიშნული სასჯელი – 500 ლარი; მასვე საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 250 ლარი.

5. ბ. ს-ს მსჯავრი დაედო: მოხელის მიერ მოტყუებით, ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით პირის იძულებაში ჩვენების მიცემისათვის; მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია; ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში; პირადი მოტივით, დოკუმენტების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებასა და გადამალვაში.

6. 2018 წლის 2 აპრილს ბ. ს-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ, საქართველოს სსსკ-ის 332[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვა, მისი გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 მარტის განაჩენით ბ. ს-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 27 დეკემბრის განჩინებაში შევიდა ცვლილება: ბ. ს. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში; დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენი და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 27 დეკემბრის განჩინება დარჩა უცვლელად.

8. ადვოკატები – ნ. ც., ჯ. ხ. და ზ. დ. საკასაციო საჩივრებით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 მარტის განაჩენის ნაწილობრივ გაუქმებასა და ბ. ს-ს გამართლებას ბრალდების ყველა ეპიზოდში, შუამდგომლობაში მითითებული მოტივებით.

9. საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორი ანრი არსენიშვილი შესაგებლით ითხოვს, არ დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივრების მოთხოვნები და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 25 მარტის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332[1]-ე მუხლში მითითებულია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის დამატებითი საფუძვლები, კერძოდ, ამ კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძვლებთან ერთად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება: „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-Iს დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ან პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად მიჩნეული მსჯავრდებულის მიმართ, თუ ეს განაჩენი გამოტანილია აღნიშნული დადგენილების მიღებამდე და შესაბამისი შუამდგომლობა სასამართლოს 2018 წლის პირველ ივლისამდე წარედგინება.

3. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციის (რომელიც წარმოადგენს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს) მე-5 მუხლზე, რომლითაც ასამბლეა მოუწოდებს ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს, გადააფასონ ყველა სავარაუდო პოლიტიკური პატიმრის საქმე რეზოლუციით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით და გაათავისუფლონ ისინი ან ხელახლა განიხილონ მათი საქმეები.

4. საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის პირველი ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №3) შექმნილი, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე წარდგენილი, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სიების შესაბამისად, იხელმძღვანელა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციის მე-3 პუნქტის ა, ც, დ და ე ქვეპუნქტებით და 2012 წლის 5 დეკემბერს მიიღო „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პო-

ლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ №76-Iს დადგენილება, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირებად მიჩნეულ იქნენ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №8) დამტკიცებულ, პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სიაში დასახელებული პირები (დანართი №2), მათ შორის სიის ..-ე ნომერი – ბ. ს., ხოლო ამავე დადგენილების მე-3 მუხლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტს დაევალა ამ დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ პირთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმების უმოკლეს ვადაში შექმნა, რაც განხორციელდა კიდეც, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდა პირი, რომელსაც აღნიშნული დადგენილებით მინიჭებული აქვს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ან პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილის სტატუსი;

ხოლო სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმი გაიწერა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 25-ე მუხლში, რომლის თანახმად, ყველა პირს, რომელზეც გავრცელდება ამ კანონის მოქმედება, უფლება აქვს, ისარგებლოს თავისი სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლებით.

5. ამასთან, აღნიშნულ პირთა დარღვეული უფლების აღსადგენად ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადასინჯვის საფუძვლების გაფართოებისა და ამ გზით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა სამართლებრივი რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით („საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 22 ივნისის კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი), საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 22 ივნისს მიიღო კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. ამ კანონით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332^{1}-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი, რომელშიც გათვალისწინებულია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის კიდევ ერთი, დამატებითი საფუძველი, კერძოდ – „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-Iს

დადგენილებით განსაზღვრულ პირებს მიეცათ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის (საქმის ხელახლა განხილვის) შესაძლებლობა.

6. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მსჯავრდებულ ბ. ს.-ს საპელაციო სასამართლოში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობა წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ: განაჩენი მსჯავრდებულ ბ. ს.-ს მიმართ გამოტანილია 2007 წლის 11 ოქტომბერს – აღნიშნული დადგენილების მიღებამდე, ხოლო შუამდგომლობა საპელაციო სასამართლოს წარედგინა 2018 წლის 2 აპრილს – სსსკ-ის 332[1]-ე მუხლში მითითებულ ვადაში – 2018 წლის პირველ ივლისამდე, რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო შუამდგომლობა და განიხილა კიდეც, მაგრამ საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული აქტები არ წარმოადგენს შუამდგომლობის უპირობოდ დაკმაყოფილებისა და მსჯავრდებულის გამართლების საფუძველს.

7. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზის, მათი სანდოობისა და უტყუარობის შემოწმების შედეგად საეჭვო გახდა ბ. ს-ს ბრალეულობა საქართველოს სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარი დაუდასტურებელი ეჭვი, „in dubio pro reo-ს“ პრინციპის შესაბამისად, უნდა გადაწყდეს ბრალდებული (მსჯავრდებული) პირის სასარგებლოდ. საკასაციო პალატის აზრით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, მითითებული პრინციპზე დაყრდნობით, სწორად გადაწყვიტა ეჭვი მსჯავრდებულის სასარგებლოდ და ბ. ს. გაამართლა საქართველოს სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, რასაც საკასაციო პალატაც ეთანხმება.

8. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორთა მოთხოვნა ბ. ს-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში გამართლების თაობაზე უსაფუძვლოა, ვინაიდან საქმეში არსებობს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურ-

დება მსჯავრდებულ ბ. ს-ს მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენით დადგენილი, ზემოჩამოთვლილი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა, ხოლო საკასაციო საჩივრებში მსჯავრდებულის სასარგებლოდ მითითებული გარემოებები არ დასტურდება არც საქმეში არსებული მასალებით და არც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებები იძლევა ბრალდების ამ ეპიზოდებში გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს.

9. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალებისა და გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა და მართებულად თქვა უარი შუამდგომლობის სრულად დაკმაყოფილებაზე, შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოთხოვნას მსჯავრდებულის ბრალდების სრული მოცულობით უდანაშაულოდ ცნობის შესახებ და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ საქმეში მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დასტურდება მსჯავრდებულ ბ. ს-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) შერაცხული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა.

10. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ზედა ინსტანციის სასამართლოებს უფლება აქვთ, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., Hirvisaari v. Finland, N49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001). სამართლიანი სასამართლოს უფლება სასამართლოებს ავალდებულებს, ნათლად მიუთითონ საფუძვლები, რომლებსაც დაეყრდნენ გადაწყვეტილების მიღებისას (იხ. Taxquet v. Belgium [GC], no. 926/05, § 91, ECtHR, 2010, და Nikolay Genov v. Bulgaria, no. 7202/09, § 27, ECtHR,13/07/2017). აღნიშნული არ მოითხოვს მომჩივნების მიერ წარმოდგენილ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, §31, ECtHR,11/11/2011), სამართალწარმოების მხარეები უნდა ელოდნენ კონკრეტულ და მკაფიო პასუხებს იმ არგუმენტებზე, რომლებიც გადამწყვეტია სამართალწარმოების შედეგებისთვის (იხ. Tchankotadze v. Georgia, no. 15256/05, § 103, ECtHR, 21/06/2016; და Deryan v. Turkey, no. 41721/04, § 33, ECtHR, 21/07/2015).

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს სადავო განაჩენის გაუქმების ან მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარ-

ჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ბ. ს.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ნ. ც-ს, ჯ. ხ-ს და ზ. დ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 მარტის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის უცვლელად დატოვება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№-1ag-20 3 აგვისტო, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ხ-ს ადვოკატის, ნ. ლ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 16 ნოემბრის განაჩენით ბ. ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა და-

ეწყო 2010 წლის 9 მარტიდან; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 1000000 ლარი და სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა ქონება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 16 ნოემბრის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 სექტემბრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 მარტის განაჩეზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

5. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №... დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად მიჩნეული ბ. ხ. გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

6. 2017 წლის 16 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულ ბ. ხ-ს ადვოკატმა ნ. ლ-მ, რომელმაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332[1]-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვა, მისი გაუქმება და ობიექტური გადაწყვეტილების მიღება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №. დადგენილების საფუძველზე, ვინაიდან ამ დადგენილების თანახმად, მსჯავრდებული ბ. ხ. მიჩნეულია პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ბ. ხ-ს ადვოკატ ნ. ლ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ნოემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ბ. ხ-ს ადვოკატმა ნ. ლ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება, იმ მოტივით, რომ ბ. ხ. საქართველოს პარლამენტმა აღიარა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად, რაც საეჭვოს ხდის მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენის კანონიერებას, რომელიც თავის მხრივ, არ გამომდინარეობს გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებების ერთობლიობიდან.

9. საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორმა ჯემალ ლომსაძემ საკასაციო შესაგებლით მოითხოვა ბ. ხ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე შეფარდებული სასჯელის – ქონების ჩამორთმევის – გაუქმება, ხოლო ბ. ხ-ს მსჯავრდების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ნოემბრის გამამტყუნებელი განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332[1]-ე მუხლში მითითებულია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის დამატებითი საფუძვლები, კერძოდ, ამ კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძვლებთან ერთად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება: „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №... დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ან პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად მიჩნეული მსჯავრდებულის მიმართ, თუ ეს განაჩენი გამოტანილია აღნიშნული დადგენილების მიღებამდე და შესაბამისი შუამდგომლობა სასამართლოს 2018 წლის პირველ ივლისამდე წარედგინება.

3. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №-900 რეზოლუციის (რომელიც წარმოადგენს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს) მე-5 მუხლზე, რომლითაც ასამბლეა მოუწოდებს ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს, გადააფასონ ყველა სავარაუდო პოლიტიკური პატიმრის საქმე რეზოლუციით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით და გაათავისუფლონ ისინი ან ხელახლა განიხილონ მათი საქმეები.

4. საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 1 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №...) შექმნილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ შეს-

წავლილი მასალების საფუძველზე წარდგენილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სიების შესაბამისად, იხელმძღვანელა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №-900 რეზოლუციის მე-3 პუნქტის ა, ც, დ და ე ქვეპუნქტებით და 2012 წლის 5 დეკემბერს მიიღო „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ №... დადგენილება, რომლის პირველი მუხლის თანახმად, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებად მიჩნეულ იქნენ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №...) დამტკიცებულ, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირთა სიაში დასახელებული მსჯავრდებულები (დანართი №...), მათ შორის სიის ... ნომერი – ბ. ხ., ხოლო ამავე დადგენილების მე-3 მუხლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტს დაევალა ამ დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ პირთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმების უმოკლეს ვადაში შექმნა, რაც განხორციელდა კიდეც, კერძოდ:

– „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდა პირი, რომელსაც აღნიშნული დადგენილებით მინიჭებული აქვს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ან პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილის სტატუსი;

– სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმი გაიწერა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 25-ე მუხლში, რომლის თანახმად, ყველა პირს, რომელზეც გავრცელდება ამ კანონის მოქმედება, უფლება აქვს, ისარგებლოს თავისი სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლებით.

5. ზემოაღნიშნულ პირთა დარღვეული უფლების აღსადგენად ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადასინჯვის საფუძვლების გაფართოებისა და ამ გზით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა სამართლებრივი რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით („საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 22 ივნისის კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი), საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 22 ივნისს მიიღო კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. ამ კანონით

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332[1]-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი, რომელშიც გათვალისწინებულია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის კიდევ ერთი, დამატებითი საფუძველი, კერძოდ – „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №. დადგენილებით განსაზღვრულ პირებს მიეცათ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის (საქმის ხელახლა განხილვის) შესაძლებლობა.

6. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მსჯავრდებულ ბ. ხ-ს ადვოკატ ნ. ლ-ს სააპელაციო სასამართლოში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობა წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ: განაჩენები მსჯავრდებულ ბ. ხ-ს მიმართ გამოტანილია 2010 წლის 16 ნოემბერსა და 2011 წლის 26 სექტემბერს – აღნიშნული დადგენილების მიღებამდე, ხოლო შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოს წარედგინა 2017 წლის 16 ივნისს – სსსკ-ის 332[1]-ე მუხლში მითითებულ ვადაში – 2017 წლის პირველ ივლისამდე (შუამდგომლობის წარდგენის დროს მოქმედი რედაქცია), რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო შუამდგომლობა და განიხილა კიდეც, მაგრამ საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული აქტები არ წარმოადგენს შუამდგომლობის უპირობოდ დაკმაყოფილებისა და მსჯავრდებულის გამართლების საფუძველს.

7. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში არსებობს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება მსჯავრდებულ ბ. ხ-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 ნოემბრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 26 სექტემბრის განაჩენებით დადგენილი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, ხოლო საკასაციო საჩივარში მსჯავრდებულ ბ. ხ-ს სასარგებლოდ მითითებული გარემოებები არ დასტურდება საქმეში არსებული მასალებით. სააპელაციო პალატამ შეაფასა მოწმეების ალ. თ-ს, ი. ს-სა და ს. ა-ს სააპელაციო სასამართლოში მიცემული ჩვენებები და მართებულად მიიჩნია, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან საქმეში არსებულ სხვა სამხილებს და მთლიანობაში ვერ აკმაყოფილებენ უტყუარობის სტანდარტს, რასაც საკასაციო სასამართლოც იზიარებს და ეთანხმება.

8. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა და მართებულად თქვა უა-

რი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას მსჯავრდებულის უდანაშაულოდ ცნობის შესახებ და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ საქმეში მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დასტურდება მსჯავრდებულ ბ. ხ-ს მიმართ შერაცხული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა.

9. გარდა ამისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტმა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა ინტერესების გათვალისწინებითა და მათთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის მიზნით მიიღო ზემოაღნიშნული აქტები, რომელთა საფუძველზეც გადასინჯა სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ბ. ხ-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები და მიიჩნია, რომ არ არსებობს განაჩენების გაუქმებისა და მისი გამართლების საფუძველი, რასაც, როგორც უკვე აღინიშნა, საკასაციო სასამართლოც ეთანხმება, ხოლო „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება არ ნიშნავს უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებას მათ მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენებით გათვალიწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში.

10. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირი, პოლიტიკური აქტიურობის მიუხედავად, ვერ მიიჩნევა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, თუნდაც ასეთი ქმედება პოლიტიკური აქტივობის ან პოლიტიკური ვითარების გამო იყოს ჩადენილი. ამასთან, სამართლიანი სასამართლოს უფლება და საქმის ხელახლა გადასინჯვა არ გულისხმობს მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ავტომატურ გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ბ. ხ-ს ადვოკატ ნ. ლ-ს საჩივრის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც სადავო განაჩენის გაუქმების ან მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 307-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ბ. ხ-ს ადვოკატ ნ. ლ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ნოემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის უცვლელად დატოვება

განაჩენი საქართველოს სახელით

№14აგ-20 5 აგვისტო, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ (სასჯელმოხდილ) ი. კ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 9 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 24 მაისის განაჩენით ი. კ., – დაბადებული 1975 წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს 2000 წლის პირველ ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის პირველი ნაწილით – 3 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით – 5 წლით, 19,190-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით, გადასახლების გარეშე, ხოლო 104-ე მუხლის პირველი, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებით – დახვრეტა, ქონების კონფისკაციით. ამავე კოდექსის მე-40 მუხლის საფუძველზე მკაცრმა სასჯელმა შთანთქა მსუბუქი სასჯელი და საბოლოოდ ი. კ.ს განესაზღვრა დახ-

ვრეტა.

2. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 25 ივლისის №387 ბრძანებულებით ი. კ. შეწყალებულ იქნა და სიკვდილით დასჯა შეეცვალა 20 წლით თავისუფლების აღკვეთით.

3. ამ სასჯელის მოხდის პერიოდში, კერძოდ: 2002 წლის 29 მარტს, ი. კ.მ კვლავ ჩაიდინა დანაშაული. 2003 წლის 25 თებერვლის განაჩენით ი. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 361-ე მუხლით და შეეფარდა ჯარიმა – 25 დღიური ანაზღაურება 2 ლარის ოდენობით, სულ – 50 ლარის გადახდა. ამავე განაჩენით ი. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და შეეფარდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით მოსახდელი სასჯელი – 13 წელი, 4 თვე, 25 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 18 წლით, 4 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა. ამ განაჩენით ი. კ.ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2002 წლის 29 მარტიდან.

4. თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 23 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 25 თებერვლის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: ი. კ. გამართლდა საქართველოს სსკ-ის 19,379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. ი. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 361-ე მუხლით – ჯარიმა 25 დღიური ანაზღაურება 2 ლარის ოდენობით, სულ – 50 ლარის გადახდა; სსკ-ის 19,379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილით უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ი. კ.ს საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც საქართველოს სსკ-ის მე-60 მუხლის საფუძველზე დაემატა დარჩენილი მოუხდელი სასჯელი – 12 წელი, 3 თვე, 28 დღე და საბოლოოდ ი. კ.ს განესაზღვრა 15 წლით, 3 თვითა და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა. ი. კ.ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2004 წლის 23 მარტიდან.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 იანვრის განჩინებით მსჯავრდებულ ი. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2004 წლის 23 მარტის განაჩენი მსჯავრდებულ ი. კ-ს მიმართ გაუქმდა, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მისი ბრალდების თაობაზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 361-ე მუხლით, 19,379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, დაუბრუნდა საქართველოს გენერალურ პროკურატურას დამატე-

ბითი გამოძიების ჩასატარებლად. დამატებითი გამოძიების ჩატარების შემდეგ საქმე კვლავ განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლომ, კერძოდ:

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენით ი. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 361-ე მუხლით ჯარიმა – 500 ლარი 250 (ორას ორმოცდაათი) დღიური ანაზღაურებით, დღიური ანაზღაურება 2 (ორი) ლარის ოდენობით; სსკ-ის 19, 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტით – 4 (ოთხი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და სასჯელთა ერთობლიობის წესით ი. კ-ს განესაზღვრა – 4 (ოთხი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დაემატა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 24 მაისის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი ნაწილობრივ – 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, სსკ-ის მე-60 მუხლის შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვრა 13 (ცამეტი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა. ი. კ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დანაშაულის ჩადენის დღიდან – 2002 წლის 29 მარტიდან, და სასჯელის მოხდის დასასრულად განესაზღვრა 2016 წლის 29 სექტემბერი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 15 მაისის დადგენილებით ამ განაჩენში აღმოიფხვრა უზუსტობა და სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ი. კ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2002 წლის 29 მარტიდან, ხოლო სასჯელის მოხდის დასასრულად განესაზღვრა – 2015 წლის 29 სექტემბერი.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 24 მაისის განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: ი. კ-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,190-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან (2000 წლის პირველ ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 24,339-ე მუხლის პირველ ნაწილზე (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; ი. კ-ს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-7 პუნქტიდან (2000 წლის პირველ ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე (განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა; ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-

6 პუნქტებით (2000 წლის პირველ ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავე კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, ი. კ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის განჩინებით ამავე პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინებაში აღმოიფხვრა ბუნდოვანება-უზუსტობა, კერძოდ: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენით ი. კ-სათვის მისჯილ 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და ი. კ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2002 წლის 29 მარტიდან.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ი. კ-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად. ი. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 361-ე მუხლითა და სსკ-ის 19, 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (პირველი ინსტანციის განაჩენის დადგენის დროისთვის მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 361-ე მუხლით ჯარიმა – 500 ლარი. სსკ-ის 19, 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლითა და 6 (ექვსი) თვით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილით (პირველი ინსტანციის განაჩენის დადგენის დროისთვის მოქმედი რედაქცია) უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და სასჯელთა ერთობლიობის წესით ი. კ.ს განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლითა და 6 (ექვსი) თვით. მასვე დაემატა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 24 მაისის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი ნაწილობრივ – 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, სსკ-ის მე-60 მუხლის შესაბამისად (პირველი ინსტანციის განაჩენის დადგენის დროისთვის მოქმედი რედაქცია), განაჩენთა ერთობლიობით სასჯელად განესაზღვრა 13 (ცამეტი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა. ი. კ-ს სასჯელის ათვლა დაეწყო დანაშაულის ჩადენის დღიდან – 2002 წლის 29 მარტიდან, ხოლო სასჯელის მოხდის დასასრულად განესაზღვრა 2015 წლის 29 სექტემბერი.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 აპრილის

უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის მე-7 აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ი. კ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო პირველი ინსტანციის განაჩენის მიღების დღიდან – 2006 წლის 12 აპრილიდან.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ ი. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: ი. კ-ს მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკის 19,379-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ი. კ. საქართველოს სსკ-ის 361-ე მუხლით დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლდა. ი. კ-ს საქართველოს სსკ-ის 19,379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მოსახდელად განესაზღვრა 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ი. კ-ს მოსახდელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. ი. კ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო – 2006 წლის 12 აპრილიდან.

12. 2019 წლის 6 ნოემბერს ი. კ-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით. მან საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოითხოვა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ 2009 წლის 3 აპრილის განჩინების გაუქმება (რაც წარმოადგენს ამავე სასამართლოს 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენის განუყოფელ ნაწილს); ცვლილების შეტანა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განჩინებაში სასჯელის ათვლის თარიღთან მიმართებით; მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განმარტება, რათა შესაძლებლობა მიეცეს, აინაზღაუროს უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიღებული ზიანის ადმინისტრაციული/სამოქალაქო წესით, შემდეგი საფუძვლებით: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2019 წლის 28 მარტს მიიღო გადაწყვეტილება (საბოლოო გახდა 2019 წლის 28 ივნისს) შუამდგომლობის ავტორის საჩივრის საფუძველზე, საქმეზე „კ. საქართველოს წინააღმდეგ“, რომლის თანახმადაც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა. ი. კ-ს განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ თბილისის სააპელა-

ციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ 2009 წლის 3 აპრილის განჩინებით შეგნებულად გაასწორა უზუსტობა და დაამძიმა მისი მდგომარეობა, რათა იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლო მის საჩივარს დააკმაყოფილებდა, არ გათავისუფლებულიყო პატიმრობიდან. აღნიშნული გადაწყვეტილებით მას მოუწია საპატიმრო დაწესებულებაში დაახლოებით 4 წლით სასჯელის უკანონოდ მოხდა. ამასვე ადასტურებს ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 20 თებერვლის განჩინება.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 9 იანვრის განაჩენით ი. კ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აპრილის განჩინება (რაც წარმოადგენს ამავე სასამართლოს 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენის განუყოფელ ნაწილს), ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განჩინება – მათ შორის სასჯელის მოხდის ვადის ათვლის ნაწილშიც.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 9 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. კ-მ. კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვს სააპელაციო პალატის განაჩენის გაუქმებასა და მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას შუამდგომლობაში მითითებული საფუძვლებით. კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2020 წლის 9 იანვრის განაჩენში საერთოდ არ იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემომითითებულ გადაწყვეტილებაში ასახულ არსებით დარღვევებზე.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდქსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი

ამ დარღვევას ეფუძნება.

3. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის არგუმენტებს, რომ განსახილველ შემთხვევაში ი. კ-ს მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობაში მითითებულ მოთხოვნებთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დარღვევა არ დაუდგენია, რის გამოც არ არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ:

4. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ ი. კ-ს დავის საგანს წარმოადგენს მისთვის განაჩენთა ერთობლიობით შეფარდებული სასჯელის მოხდის ათვლის კანონიერების საკითხი, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ 2009 წლის 3 აპრილის განჩინებითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განჩინებით ი. კ-ძისათვის შეფარდებული სასჯელის მოხდის ათვლის თარიღად დადგინდა არა დანაშაულის ჩადენის დღე – 2002 წლის 29 მარტი, როგორც ეს განსაზღვრული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის განჩინებით, არამედ – პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანის დღე – 2006 წლის 12 აპრილი, რაც, ი. კ-ს მოსაზრებით, კანონშეუსაბამოა. აღნიშნულისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ 2009 წლის 3 აპრილის განჩინების გაუქმებას, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განჩინებაში ცვლილების შეტანას სასჯელის ათვლის თარიღთან მიმართებით (სასჯელის მოხდის ათვლის თარიღად – 2002 წლის 29 მარტის მითითებას), ასევე – მისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განმარტებას.

5. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „კ. საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფთან მიმართებით დაადგინა დარღვევა, ხოლო კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის კონტექსტში მიიჩნია, რომ დარღვევა არ მომხდარა, კერძოდ, სასამართლომ განმარტა შემდეგი:

6. მომჩივნის სასჯელის ვადის მოხდის ათვლაში შესწორებების შეტანამ გავლენა მოახდინა მომჩივნის გათავისუფლების თარიღზე. ამასთან დაკავშირებით, მომჩივნის არგუმენტები საქმის კონ-

კრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით, როგორიცაა – რომ უკვე არსებობდა უზენაესი სასამართლოს განჩინება განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ გადააჭარბა სისხლის სამართლის კოდექსის 615-ე მუხლის ფარგლებს და უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სამართლებრივად აუარესებდა მომჩივნის მდგომარეობას სისხლის სამართლის კოდექსის 540-ე მუხლის საწინააღმდეგოდ – მიუთითებდნენ იმაზე, რომ მომჩივნის სასჯელის ათვლის შეცვლა სადავო საკითხს წარმოადგენდა. შესაბამისად, ეროვნულ სასამართლოებს ის უნდა განეხილათ შეჯიბრებით პროცესზე. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ სააპელაციო განჩინება მომჩივანს ჩაჰბარდა მხოლოდ 2009 წლის 16 აპრილს, მას შემდეგ, რაც უზენაეს სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილს მომჩივნის საქმეზე უკვე მიღებული ჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილება. უზენაესმა სასამართლომ იცოდა (განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლის საწყისი წერტილის შეცვლის შესახებ) სააპელაციო განჩინების შესახებ და როგორც ჩანს, მხარი დაუჭირა მას, როდესაც პირდაპირ გაითვალისწინა სასჯელის მოხდის ვადის ათვლის შეცვლილი თარიღი. თუმცა, იმ დროისთვის, როდესაც უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ სააპელაციო განჩინება იქნა მიღებული, მომჩივანს უზენაეს სასამართლოში უკვე წარდგენილი ჰქონდა საჩივარი. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული საქმე ზეპირი განხილვის გარეშე გადაწყვიტა, მომჩივანს არ ჰქონია შესაძლებლობა, სცოდნოდა უზუსტობის აღმოფხვრის განჩინების შესახებ; მას ასევე არ მიეცა შესაძლებლობა, წარედგინა საკუთარი არგუმენტები განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლის თარიღის შეცვლისა და ეროვნულ კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის შესახებ. როდესაც მომჩივანმა აღნიშნული განჩინების შესახებ შეიტყო და მოითხოვა უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განაჩენში შესწორების შეტანა, მისი მოთხოვნა არ განიხილეს. პირველად, მას მოთხოვნაზე უარი განუცხადა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსმა 2009 წლის 24 აპრილს, იმ საფუძვლით, რომ უზენაესი სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა აღნიშნული საჩივარი, ხოლო შემდგომ, 2009 წლის 15 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწემ განუმარტა, იმ საფუძვლით, რომ მიმდინარე საკასაციო საჩივარს განსახილველად ვერ მიიღებდნენ.

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს საკითხი, იმისდა მიუხე-

დავად, ექცევა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების კონტექსში, თუ ზეპირი განხილვის უფლების კონტექსტში, ნებისმიერ შემთხვევაში, საქმეში ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის ფორმა, რომელშიც მომჩივნის საქმეში უზუსტობის აღმოფხვრის პროცედურა განხორციელდა და რომლის ფარგლებშიც მომჩივანს ჩამოერთვა განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ვადის მოხდის ათვლასთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტების როგორც ზეპირად, ასევე წერილობით წარდგენის შესაძლებლობა. ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა.

8. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის კონტექსტში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: ერთი მხრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი პირდაპირ არ ადგენდა განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის დაწყების თარიღს. მეორე მხრივ, მომდევნო შესწორება, როგორც ჩანს, ეფუძნებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლს (2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებების შემდეგ), რომელიც პირდაპირ ადგენდა, რომ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელი აითვლებოდა ბოლო განაჩენის მიღების დღიდან. ამასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებაზე სხვა საქმესთან დაკავშირებით, სადაც მან განმარტა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლს შესაძლოა, ჰქონოდა უკუძალა. აღნიშნული გადაწყვეტილება წინ უსწრებდა როგორც 2009 წლის 3 აპრილის უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ სააპელაციო განჩინებას, ასევე – 2009 წლის 7 აპრილის უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას მომჩივნის საქმეზე. აქედან გამომდინარე, მართალია, განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის დაწყების თარიღთან დაკავშირებით კანონის განჭვრეტადობა არ განიხილეს ეროვნულმა სასამართლოებმა, თუმცა, უზუსტობა შესწორდა მას შემდეგ, რაც მანამდე უზენაესმა სასამართლომ იგი სხვა საქმეზე განმარტა. ასეთ გარემოებებში, სტრასბურგის სასამართლოს ამოცანა არ არის, განსაზღვროს მომჩივნის დაპატიმრების კანონიერება 2010 წლის 29 სექტემბრის შემდგომ, რის შესახებაც გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ იმ დროს მოქმედი კანონისა და პრაქტიკის შესაბამისად.

9. ამრიგად, ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია, რომ მომჩივნის პატიმრობით დაირღვა ეროვნული კანონმდებლობა. რაც შეეხება მომჩივნის დამატებით არგუმენტს, რომ მისი პატიმრობის ვადა

გაგრძელდა იმ პროცედურის შედეგად, რომელიც არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლს, ევროპულმა სასამართლომ უარყო ის არგუმენტი, რომ მე-6 მუხლის ყველა დარღვევა იწვევს მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას. უფრო მეტიც, რამდენადაც მომჩივნის არგუმენტი შეიძლება გავიგოთ ისე, რომ მას მსჯავრი დაედო და სასჯელი შეეფარდა იმ სამართალწარმოების შედეგად, რომელიც წარმოადგენდა „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უხეშ უარს“ და ამან გავლენა იქონია მისი პატიმრობის კანონიერებაზე მე-5 მუხლის კონტექსტში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უხეშად უარის თქმის“ ტესტი მკაცრია. აღნიშნული პრინციპის დარღვევისთვის აუცილებელია დაირღვეს სამართლიანი განხილვის ისეთი ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც გამოიწვევს ამ მუხლით გარანტირებული უფლების არსის ხელყოფას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, მან არ მიიჩნია, რომ დარღვევას ისეთი ხასიათი ჰქონდა, რაც გააუქმებდა ამავე მუხლში დადგენილი უფლების არსს. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეში მე-6 მუხლის დარღვევა არ უტოლდებოდა „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარს“. აქედან გამომდინარე, ამ საქმის არსებითი გარემოებების გათვალისწინებით, მომჩივნის პატიმრობა გამართლებული იყო კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პარაგრაფის შესაბამისად.

10. ი. კ-სათვის შეფარდებული სასჯელის მოხდის ათვლის კანონიერების შეფასებისას საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

11. დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენით ი. კ.ს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელად განესაზღვრა 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლაც დაეწყო 2002 წლის 29 მარტიდან.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად. ი. კ.ს ამ განაჩენითაც სასჯელის ათვლა დაეწყო დანაშაულის ჩადენის დღიდან – 2002 წლის 29 მარტიდან.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 აპრილის უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის მე-7 აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ი. კ.ს სასჯელის მოხდა დაეწყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მიღების დღიდან – 2006 წლის 12 აპრილიდან.

14. ნიშანდობლივია, რომ 2006 წლის 29 დეკემბერს სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით, შეიცვალა ის ნორმა, რომელიც აწესრიგებდა განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესს, კერძოდ: სსკ-ის 59-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს... განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელი აითვლება ბოლო განაჩენის მიღების დღიდან..“..

15. აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებაში განმარტა შემდეგი (რის შესახებაც ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც თავის გადაწყვეტილებაში – „კ. საქართველოს წინააღმდეგ“): მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებით სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლი ამოღებულ იქნა, მაგრამ მისი დებულებები არ გაუქმებულა და მათ თავი მოიყარეს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში, რომლითაც აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე მოწესრიგებული იყო დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესები. საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე განაჩენთა ერთობლიობით სასჯელთა განსაზღვრისას სასამართლო ბოლო განაჩენით განსაზღვრულ სასჯელს მთლიანად უმატებს წინა განაჩენით შეფარდებული სასჯელის მოუხდელ ნაწილს. ასეთ შემთხვევებში, განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელი აითვლება ბოლო განაჩენის მიღების დღიდან.

16. სისხლის სამართლის კოდექსში შესული ხსენებული ცვლილებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემომითითებული განმარტების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ ი. კ-ს მოთხოვნა მისთვის განაჩენთა ერთობლიობით შეფარდებული სასჯელის ათვლის თარიღად 2002 წლის 29 მარტის მითითების შესახებ გულისხმობს იმას, რომ მას სხვადასხვა ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სისხლის სამართლის საქმეებზე, სხვადასხვა დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელები – 2002 წლის 29 მარტიდან 2006 წლის 12 აპრილამდე – ერთდროულად უნდა მოეხადა, რაც სამართლებრივად ცალსახად არასწორია, არ გამომდინარეობდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან და სასამართლო პრაქტიკიდან. შესაბამისად, სასჯელის ათვლის თარიღად 2002 წლის 29 მარტის მითითება

წარმოადგენდა უზუსტობას, რომელიც გასწორდა თბილისის საააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ 2009 წლის 3 აპრილის განჩინებით და რასაც ასევე დაეთანხმა და გაიზიარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ – 2009 წლის 7 აპრილის განჩინებაში.

17. გარდა ამისა, ი. კ. ასევე აპელირებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 20 თებერვლის განჩინებაზე და აღნიშნავს, რომ ამ განჩინებით საბოლოოდ განისაზღვრა მისი სასჯელი და ასევე მოხდის ვადის ათვლის თარიღი, რომელიც აღარ უნდა შეცვლილიყო. ამასთან, ამ განჩინებას ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განჩინება, ვინაიდან ამ განჩინებებით სასჯელის ათვლის თარიღებად სხვადასხვა პერიოდია მითითებული, კერძოდ: 2008 წლის 20 თებერვლის განჩინებით მას სასჯელის მოხდის ათვლა განესაზღვრა – 2002 წლის 29 მარტიდან, ხოლო 2009 წლის 7 აპრილის განჩინებით – 2006 წლის 12 აპრილიდან.

18. საკასაციო სასამართლო ვერც ამ ნაწილში გაიზიარებს კასატორის პოზიციას და აღნიშნავს შემდეგს: წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ი. კ-ს საჩივრები, რომლებითაც იგი ითხოვდა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობის გამო მსჯავრდების ნაწილში მის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 24 მაისის განაჩენით განსაზღვრული ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე მას სიკვდილით დასჯა შეეცვალა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით, ხოლო სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2007 წლის 20 აპრილის განჩინებაში უზენაეს სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენზე და, შესაბამისად, არც – სასჯელების შეკრებასა და მისი მოხდის ვადის ათვლის თარიღზე. შემდეგ აპელანტმა კვლავ საჩივრით მომართა უზენაეს სასამართლოს. მომჩივანმა ამჯერად მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში უზუსტობის აღმოფხვრა და მასში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის (მეორე მსჯავრდების საქმე) განაჩენით შეფარდებული სასჯელის ასახვა სასჯელთა შეკრებისა და მისი მოხდის ვადის ათვლასთან მიმართებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 20 თებერვლის განჩინებით ი. კ-ს საჩივარი დაკმაყოფილდა, კერძოდ: აღმოიფხვრა იმავე სასამართლოს 2007 წლის 20 აპრილის გან-

ჩინებაში დაშვებული ბუნდოვანება-უზუსტობა, განაჩენთა ერთობლიობით შეიკრიბა სასჯელები და მისი მოხდის ათვლის თარიღად მიეთითა – 2002 წლის 29 მარტი.

19. მართალია, კასატორი საკასაციო საჩივარში მართებულად აპელირებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 20 თებერვლის განჩინების გამოტანის მომენტისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენი იყო საბოლოო და კანონიერ ძალაში შესული, მაგრამ, ერთი მხრივ, 2008 წლის 20 თებერვლის განჩინების გამოტანისას საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის ობიექტურად არ იყო ცნობილი სასჯელის ვადის ათვლის თარიღის შეცვლის შესახებ და ამიტომ ვერ აისახა ეს ფაქტი განჩინებაში, რის გამოც უზენაესი სასამართლო დაეყრდნო 2006 წლის 12 აპრილის განაჩენის მოცემულობას, რომელშიც სასჯელის ვადის ათვლის თარიღად მითითებული იყო – 2002 წლის 29 მარტი, ხოლო, მეორე მხრივ, უზენაესი სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, თვითონ ემსჯელა სასჯელის ათვლისას დაშვებულ უზუსტობაზე, ვინაიდან აღნიშნული არ წარმოადგენდა ი. კ-ს მიერ წარდგენილი საჩივრის მოთხოვნის საგანს. იგი მოითხოვდა ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას (სიკვდილით დასჯის შეცვლას ვადიანი თავისუფლების აღკვეთით).

20. აქვე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ თავდაპირველად მსჯავრდებულმა ი. კ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენის სააპელაციო წესით განხილვაზე თვითონვე განაცხადა უარი (2006 წლის 8 ივნისის განცხადებით) სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პირობების შემსუბუქების ინტერესიდან გამომდინარე, ხოლო მოგვიანებით, 2008 წლის 6 ოქტომბერს, შეცვალა პოზიცია, მოითხოვა სააპელაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენა (რაც დაკმაყოფილდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით) და, შესაბამისად, მისი სააპელაციო საჩივრის განხილვა. აღნიშნულის შემდეგ მისივე მოთხოვნის საფუძველზე ი. კ-ს ბრალდების საქმეზე განახლდა სამართალწარმოება, რის გამოც, ბუნებრივია მისთვის სრულიად განჭვრეტადი იყო, რომ განახლებული სამართალწარმოების პირობებში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 20 თებერვლის განჩინება აღარ იქნებოდა საბოლოო და სამართლებრივად შესაძლებელი და მოსალოდნელი გახდებოდა 2008 წლის 20 თებერვლის განჩინების შეცვლა.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ (სასჯელმოხდილ) ი. კ-

ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან არ არსებობს სადავო განაჩენის გაუქმების ან შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 307-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ (სასჯელმოხდილ) ი. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 9 იანვრის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

3. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის უცვლელად დატოვება

განაჩენი საქართველოს სახელით

№33აგ-20 12 ნოემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ია მეფარიშვილის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა კოლეგიის 2006 წლის 8 მაისის განაჩენით პ. რ. ცნობილ იქნა დამნაშავედ დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად, განზრახ მკვლელობაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

პ. რ-ს, დ. მ-სა და მ. მ-ს ბოლო ორი წლის განმავლობაში, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე, კონფლიქტი ჰქონდათ თანასოფლელ ვ. ნ-სა და მისი შვილების – ვ. და გ. ნ-ს ოჯახებთან. იყო შემთხვევები, როდესაც მათი უთანხმოება გადაიზარდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში. აღნიშნულით განაწყენებულებმა განიზრახეს გ. ნ-ს ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობა. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2004 წლის 14 აგვისტოს, დაახლოებით 10 საათზე, მივიდნენ სოფელ ა-ში, ფერმებთან, სადაც იმყოფებოდა გ. ნ.. ისინი მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვით. დ. მ-მა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, დანაშაულის ჩადენის უშუალო ამსრულებლობით, გ. ნ-ს მიაყენა ჭრილობა ზურგის არეში, რის შედეგადაც იგი დაეცა მიწაზე. აღნიშნულის შემდეგ დანაშაულის ჩადენის თანაამსრულებლებმა – მ. მ-მ და პ. რ-მ დ. მ-ს მოუწოდეს, მეორედაც ესროლა გ. ნ-სათვის, რათა იგი აუცილებლად მომკვდარიყო. ამ მიზნით, დ. მ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გ. ნ-ს მიაყენა ჭრილობები მარცხენა საფეთქლისა და შუბლის ძვლების მოტეხილობით, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 მაისის განაჩენით პ. რ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით წარდგენილი ბრალდებები მოეხსნა; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლით, რომლის ათვლა დაეწყო 2004 წლის 16 აგვისტოდან.

3. ამავე განაჩენით მსჯავრი დაედოთ: დ. მ-ს – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ნაწილებითა და ამავე კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა – 17 წლით; მ. მ-ს – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა – 16 წლით.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 სექტემბრის განჩინებით მსჯავრდებულ პ. რ-ს ადვოკატის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. 2019 წლის 17 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულ პ. რ-ს ადვოკატმა მ. ნ-მ, რომელმაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 მაისის განაჩენისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 სექტემბრის განჩინების გადასინჯვა იმ მოტივით, რომ 2018 წლის 8 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „რ. საქართველოს წინააღმდეგ“ (Rostomashvili v. Georgia, საჩივარი №13185/07) დასაშვებად ცნო წარმოდგენილი საჩივარი კონვენციის მე-6 მუხლის §1 საფუძველზე, შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების არაადეკვატურ დასაბუთებასთან დაკავშირებით, ხოლო საჩივრის დანარჩენი ნაწილი ცნო დაუშვებლად. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის §1.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ პ. რ-ს ადვოკატ მ. ნ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 მაისის განაჩენსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 სექტემბრის განჩინებაში შევიდა ცვლილება: პ. რ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით წარდგენილ მსჯავრდებაში გამართლდა; ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებიდან ამოირიცხა მითითება პ. რ.ს მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ; სხვა ნაწილში თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 მაისის განაჩენი და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 სექტემბრის განჩინება დარჩა უცვლელად.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ია მეფარიშვილმა, რომელმაც ითხოვა მისი გაუქმება და თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 მაისის განაჩენისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 სექტემბრის განჩინების უცვლელად დატოვება, ვინაიდან მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოება, რომ ეროვნულმა სასამართლო-

ებმა სათანადოდ ვერ დაასაბუთეს გადაწყვეტილებები პ. რ.ს ბრალეულობის ნაწილში, უპირობოდ არ უნდა გამხდარიყო თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 მაისის განაჩენისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 21 სექტემბრის განჩინების შეცვლისა და პ. რ.ს გამართლების საფუძველი, არამედ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას უნდა დაესაბუთებინა განაჩენი საქმეში არსებული ურთიერთშეთანხმებული, ეჭვის გამომრიცხავი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომელიც საკმარისია პ. რ.ს მსჯავრდებისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ია მეფარიშვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე საქმის გარემოებები სამართლებრივად სწორად შეაფასა.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.

4. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2018 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე „რ. საქართველოს წინააღმდეგ“ (Rostomashvili v. Georgia, საჩივარი №13185/07) დასაშვებად ცნო წარმოდგენილი საჩივარი კონვენციის მე-6 მუხლის §1 საფუძველზე, შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების არაადეკვატურ დასაბუთებასთან დაკავშირებით, ხოლო საჩივრის დანარჩენი ნაწილი ცნო დაუშვებლად და დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის §1.

5. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეში კვლავაც აღნიშნა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის §1 ავალდებულებს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებს, საკმარისი სიზუსტით

აჩვენონ თავიანთი გადაწყვეტილებების მიზეზები (იხ. Taxquet v. Belgium [GC], №926/05, 16 ნოემბერი 2010, §91 და Nikolay Genov v. Bulgaria, №7202/09, 13 ივლისი 2017, §27). გადაწყვეტილების მიზეზების წარმოდგენის ვალდებულების მოცულობა განსხვავდება გადაწყვეტილების ბუნების მიხედვით და უნდა განისაზღვროს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე (იხ. Ruiz Torija v. Spain, 9 დეკემბერი 1994, §29; Garcia Ruiz v. Spain [GC], №30544/96, 21 იანვარი 1999, §26 და Moreira Ferreira v. Portugal [GC] №19867/12, 11 ივლისი 2017, §84).

6. მომჩივნის მიერ წამოყენებულ ყოველ არგუმენტზე დეტალური პასუხის მოთხოვნის (იხ. Fomin v. Moldova, №36755/06, 11 ოქტომბერი 2011, §31) ვალდებულება წინასწარვე გულისხმობს, რომ მხარეებს აქვთ კონკრეტული და ზუსტი პასუხის მიღების მოლოდინი არგუმენტებზე, რომლებიც გადამწყვეტია სამართალწარმოების შედეგისთვის (იხ. სხვა ინსტანციებს შორის Moreira Ferreira, ციტირებული ზემოთ, §84; Tchankotadze v. Georgia, №15256/05, 21 ივნისი, 2016 §103 და Deryan v. Turkey, no. 41721/04, 21 ივლისი 2015, §33). გადაწყვეტილებიდან უნდა ჩანდეს, რომ საქმეში არსებული საკვანძო საკითხები განხილულ იქნა (იხ. Boldea v. Romania, №19997/02, §30, 15 თებერვალი 2007 და Uche v. Switzerland, №12211/09, §37, 17 აპრილი, 2018).

7. წინამდებარე საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ თუნდაც მოკლედ, მაგრამ მიმოიხილა მომჩივნის არგუმენტი ალიბთან დაკავშირებით. ეროვნულმა სასამართლომ განმარტა, რომ დაცვის მოწმეთა ჩვენებები იყო ურთიერთსაწინააღმდეგო, რის გამოც ისინი ჩაითვალა არასანდოდ.

8. ამის საპირისპიროდ, ეროვნული სასამართლოებისთვის მომჩივნის მიერ წარდგენილ ორ მთავარ არგუმენტს არ გაეცა ზუსტი პასუხი. პირველი – მომჩივანი დავობდა, რომ საქმეზე, სხვა ბრალდებულისაგან განსხვავებით, მტკიცებულების არცერთი ნაწილი, რომელიც ეხებოდა მას და მის სავარაუდო ქმედებებს, არ ცხადყოფდა დანაშაულში მის მონაწილეობას; და მეორე – მომჩივანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მკვლელობის შემდეგ მალევე მსხვერპლის მამა სახლში ნახეს, რომელმაც, თითქოსდა, არ იცოდა შვილის მკვლელობის ამბავი; გაუგებარია, რატომ აჩვენებდა იგი თავს, რომ თითქოს, მისთვის არ იყო ცნობილი შვილის მკვლელობის თაობაზე. სწორედ ეს ჰბადებს ღიად ეჭვს, იყო თუ არა იგი ნამდვილად დანაშაულის თვითმხილველი. ამ გარემოებებზე დაყრდნობით მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მის წინააღმდეგ არსებული ბრალდება მოკლებული იყო ყოველგვარ ფაქტობრივ და მტკიცებულებით საფუძველს და ემყარებოდა უბრალო ეჭვს, რაც არღვევდა შესაბამის კანონმდებ-

ლობას (იხ. Rostomashvili ციტირებული ზემოთ §§55-58).

9. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კვლავაც განმარტა, რომ მის ამოცანას არ წარმოადგენს იმ მეთოდის შემოწმება, რომლითაც ეროვნული სასამართლოები აფასებენ ექსპერტის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და მოწმის ჩვენებებს. სასამართლო არც იმისთვის არის მოწვეული, რომ დაადგინოს ეროვნული სასამართლოების მიერ მსჯავრდებული პირის ბრალეულობა ან უდანაშაულობა, ეს საკითხი ეროვნული სასამართლოების კომპეტენციას მიეკუთვნება (იხ. mutatis mutandis, Rohlena v. the Czech Republic [GC], № 59552/08, 27 იანვარი 2015, § 55 და Popov v. Russia, № 26853/04, 13 ივლისი 2006, §188). ამასთანავე, სასამართლო აღიარებს, რომ ასეთ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელიც ბრალდებულის დამნაშავეობის დასადგენად იყენებს მოწმის ჩვენებას, შეუძლია დაეყრდნოს უშუალო კონტაქტს მოწმესთან, რომლის ჩვენების სანდოობაც მან სათანადოდ უნდა შეაფასოს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციას განეკუთვნება შეაფასოს, შეესაბამებოდა თუ არა კონვენციას სასამართლო განხილვა მთლიანობაში, რაც მოიცავს ეროვნული სასამართლოების ვალდებულებას, დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებები (იხ. Rostomashvili ციტირებული ზემოთ §59).

10. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის მიერ ეროვნული სასამართლოების წინაშე წამოყენებული ორი არგუმენტი უკავშირდებოდა მის მიმართ წარდგენილი სისხლის სამართლის საქმის ძირითად ნაწილს და მოითხოვდა კონკრეტულ და ზუსტ პასუხს, თუმცა არცერთ ეროვნულ სასამართლოს აღნიშნული პასუხი არ გაუცია. ეროვნული სასამართლოების მიერ გაცემული ზოგადი პასუხი, რომ „საქმის მასალებში არსებული ყველა მტკიცებულება“ საკმარისი იყო მომჩივნის დამნაშავედ ცნობისთვის, არ შეიძლება ჩაითვალოს მომჩივნის მიერ სასამართლოებისადმი წარდგენილ არგუმენტებზე კონკრეტულ და ზუსტ პასუხად. ფაქტობრივად, ასეთი პასუხი წინამდებარე საქმის გარემოებებთან მიმართებით წარმოადგენს აშკარად ნაკლებ დასაბუთებას, ხოლო ეროვნული სასამართლოების მხრიდან ექსპერტების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების არცერთი ნაწილი არ მიუთითებდა მომჩივნის დამნაშავეობაზე და ერთადერთი თვითმხილველის ჩვენება არაერთხელ გასაჩივრდა, რადგან კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა მისი უტყუარობა და მტკიცებულებითი ღირებულება. გამომდინარე აქედან, ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნის დასაბუთებულ არგუმენტებს პასუხი ვერ გასცეს ვერცერთი ფორმით (იხ. Fomin, ციტირებული ზემოთ, §30, და საპირისპიროდ Kuparadze v. Georgia, №30743/09, 21 სექტემბერი 2017, §§72-73).

11. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნის სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გამოტანისას ვერ შეასრულეს საქმის სამართლიანი განხილვის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, კერძოდ, წარმოედგინათ გადაწყვეტილების მიღების ადეკვატური მიზეზები. შესაბამისად, დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის §1 დარღვევა (იხ. Rostomashvili ციტირებული ზემოთ §§60-61).

12. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ იმისათვის, რათა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადაისინჯოს განაჩენი, ერთდროულად უნდა არსებობდეს ორი სავალდებულო პირობა, კერძოდ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგინდა კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა და ის, რომ გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევაზეა დაფუძნებული.

13. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული და რომლითაც დადგინდა პ. რ-ს მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის §1 დარღვევა შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების არასათანადო დასაბუთების გამო და პ. რ-ს მიმართ გადასასინჯი გადაწყვეტილებები სწორედ ამ დარღვევას ეფუძნება. ამდენად, გამოკვეთილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, გადაწყვეტილებების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის კანონიერი წინაპირობები.

14. საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

15. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პ. რ-ს მიერ ეროვნული სასამართლოების წინაშე წარდგენილი ორი ძირითადი არგუმენტი, რომლებიც ეროვნულმა სასამართლოებმა პასუხგაუცემელი დატოვეს, მდგომარეობდა შემდეგში: დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ ერთადერთი თვითმხილველის ჩვენება შეიცავდა ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას და ვერ აკმაყოფილებდა უტყუარობის სტანდარტს და საქმეში არსებული არცერთი ექსპერტიზის დასკვნა არ მიუთითებდა პ. რ-ს დამნაშავეობაზე.

16. საკასაციო პალატა იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომელმაც შეაფასა საქმეში არსებული

მტკიცებულებების რელევანტურობა, დასაშვებობა, უტყუარობა და ერთობლივად მათი საკმარისობა დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის და მართებულად მიიჩნია, რომ გამოკვეთილი არ ყოფილა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ვ. ნ-ს ჩვენებისა და მისივე მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტისა და დაპირისპირების ოქმების საეჭვოდ მიჩნევის გონივრული საფუძველი, თუმცა სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვებოდა გამამტყუნებელი განაჩენისათვის სავალდებულო უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც საკმარისი იქნებოდა პ. რ-ს დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებისათვის.

17. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის არგუმენტაციას, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, ვინაიდან გადაწყვეტილებაში ნათლად და მკაფიოდ არის მითითებული იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მოტივებზე, რომელთა საფუძველზეც ვერ დადგინდა უტყუარად პ. რ.ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით მისთვის მსჯავრად შერაცხული ქმედების ჩადენა. ბრალდების მხარის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული მტკიცებულებებიდან, გარდა დაზარალებულ ვ. ნ-ს ჩვენებისა და ამ ჩვენების გაგრძელებებისა – საგამოძიებო ექსპერიმენტისა და დაპირისპირების ოქმებისა, რომლებიც სასამართლომაც გაიზიარა, მოწმეების – ნ. -ს, ვ. თ-ს, ლ. ვ-ს, რ. ბ-ს, გ. დ-ს, თ. ბ-ს, ა. ც-ს ჩვენებები არის ირიბი, ხოლო მოწმეების – ი. ჯ-ს, ჯ. ს-ს, მ. და მ. მ-სა და ს. პ-ს ჩვენებები, პ. რ-ს მსჯავრდებასთან მიმართებით, კონკრეტულად არაფრისმთქმელია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვება გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა პ. რ-ს ბრალეულობას.

18. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს, რომელიც ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც საკმარისია ბრალის დასადასტურებლად, ხოლო მისი საპირისპირო მტკიცება არ უნდა გამომდინარეობდეს წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასებიდან. სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებების შეფასებისას წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდებოდა კანონით დადგენილი წესით, მართებულად გადაწყვიტა პ. რ-ს სასარგებლოდ.

19. ზემოხსენებული სამართლებრივი მოტივაციის თანახმად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაუსაბუ-

თებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენი კანონიერია, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ია მეფარიშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 4 მარტის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

3. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის უცვლელად დატოვება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№4აგ-19 1 ოქტომბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. დ-ს საკასაციო საჩივრები ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 25 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ხონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აპრილის განაჩენით ზ. დ., – დაბადებული 19... წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ

და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (19 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ უკანონო შეძენა-შენახვისა და 19,3 გრამის – გადაზიდვისათვის) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ზ. დ.ს განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 12 იანვრიდან. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი. სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზ. დ.ს ჩამოერთვა და სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა ნივთმტკიცება – ვაზ 21011 მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით – ...

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აგვისტოს განაჩენით ხონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აპრილის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: სამოტივაციო ნაწილიდან ამოირიცხა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითება. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ ზ. დ.ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აგვისტოს განაჩენზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

4. 2018 წლის 22 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ზ. დ-მ, რომელმაც მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა და ჯარიმისგან გათავისუფლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განჩინების საფუძველზე.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2018 წლის 5 ნოემბრის განჩინებით მსჯავრდებულ ზ. დ-ს შუამდგომლობა დასაშვებად ცნო.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 25 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ზ. დ.ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების

შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონის მოქმედება გავრცელდა ზ. დ.ს მიმართ, კერძოდ: მსჯავრდებულ ზ. დ-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 273[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აგვისტოს განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 25 დეკემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ზ. დ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა და ჯარიმისგან გათავისუფლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განჩინების საფუძველზე. კასატორი საჩივარში ასევე აღნიშნავს, რომ მას საეჭვოდ მიაჩნია ხონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აპრილის განაჩენის საფუძველზე თავისი კუთვნილი ავტომანქანის ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შემდეგ მისი გასხვისების კანონიერების საკითხი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

3. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არცერთი გადაწყვეტილება ამ საქმესთან მიმართებით არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებასა და შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველს, მაგრამ, ვინაიდან დასაშვებობის ეტაპი უკვე გადალახულია, საკასაციო სასამართლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ვალდებულია, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები განიხილოს დასაშვებობის შემოწმების გარეშე.

4. კასატორის მიერ მითითებული საქართველოს საკონსტიტუ-

ციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განჩინებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით უკანონო შეძენისა და შენახვის გამო მსჯავრდებისას პირის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში კასატორი ითხოვს ჯარიმის გადახდისგან გათავისუფლებას, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს მსჯავრდებულ ზ. დ-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და ჯარიმის – 2000 ლარის გადახდისგან გათავისუფლების საფუძველი, ვინაიდან მას სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით თავისუფლების აღკვეთის სახით დადგენილი ძირითადი სასჯელი უკვე მოხდილი აქვს, ხოლო ჯარიმა დაკისრებული აქვს დამატებითი სასჯელის სახით, რომელზეც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ ვრცელდება.

5. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონის (რომლის შესაბამისად, კოდექსის 260-ე მუხლის (გარდა შენიშვნის პირველი და მე-2 ნაწილებისა) მოქმედება არ ვრცელდება „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის №2 დანართის ცხრილით გათვალისწინებული ჩამონათვალის – „ნარკოტიკული საშუალებების“ 73-ე და 92-ე გრაფებით განსაზღვრულ ნარკოტიკულ საშუალებებზე – მცენარე კანაფსა და „მარიხუანაზე“, რასაც, ნორმატიული თვალსაზრისით, აწესრიგებს ამავე ცვლილებით, ამავე კოდექსში დამატებული 273[1]-ე მუხლი) მოქმედება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას 2018 წლის 25 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ზ. დ.ს მიმართ არ უნდა გაევრცელებინა და მის მიმართ განსაზღვრული სანქცია უნდა დაეტოვებინა უცვლელად, ვინაიდან „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონით ზ. დ.ს სამართლებრივი მდგომარეობა არ უმჯობესდება და მოცემულ შემთხვევაში მის მიმართ კანონს არა აქვს უკუძალა, კერძოდ:

6. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რე-

დაქცია) სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენისა და შენახვის გამო.

7. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით – 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შეძენისა და შენახვისათვის მსჯავრდებისას პირის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა. მსგავსი აკრძალვაა კასატორის მიერ მითითებულ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განჩინებაშიც.

8. ამავე დროს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში, ხოლო მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული ვერ იქნება სასჯელის სხვა რომელიმე სახე, რაც გათვალისწინებულია ამავე კოდექსის მე-40 მუხლით, რადგან დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არ გააჩნდა სხვა ალტერნატიული სასჯელი.

9. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა, ხოლო სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

10. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, მართალია, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონმა სისხლის სამართლის კოდექსში 273[1]-ე მუხლის დამატებით შეამსუბუ-

ქა ამავე კოდექსის 260-ე მუხლით – მცენარე კანაფსა და მარიხუანასთან მიმართებით დადგენილი პასუხისმგებლობა, რაც ფორმალურად შეიძლება გავრცელდეს ხონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აპრილის განაჩენით სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებულ ზ. დ-ს მიმართ, მაგრამ აღნიშნული გარემოების მიუხედავად, პალატა მიიჩნევს, რომ ამ ცვლილების მიღებამდე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის მსჯავრდებულ ზ. დ-ს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უფრო ამსუბუქებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომელიც კრძალავს 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შეძენისა და შენახვისათვის მსჯავრდებისას პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას, რაც თავისუფლების აღკვეთის სახით განსაზღვრული სასჯელის მოხდისგან მისი გათავისუფლების საფუძველი იყო, ვინაიდან ცვლილების მიღებამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად ადგენდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არ გააჩნდა სხვა ალტერნატიული სასჯელი. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილების შემდეგ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 273[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქცია ითვალისწინებს ჯარიმას ან 160-დან 200 საათამდე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ზ. დ-ს ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამავე კოდექსის 273[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილზე გადაკვალიფიცირებით მისი სამართლებრივი მდგომარეობა არ უმჯობესდება, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში ახალ კანონს არა აქვს უკუძალა და ამ კანონის მოქმედება არ უნდა გავრცელდეს მის მიმართ.

11. ამდენად, არ არსებობს ზ. დ-ს მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ამავე კოდექსის 273[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილზე გადაკვალიფიცირების (ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის) საფუძველი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ: უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის №83აგ-17 და 2018 წლის 28 მარტის №102აგ-17 განჩინებები).

12. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან წარმოდგენილია მხოლოდ მსჯავრდებულ ზ. დ-ს საკასაციო საჩივრები, რომლებითაც ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გადასინჯვას მხოლოდ ჯარიმის გადახდისაგან გათავისუფლების ნაწილში და იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო საქმეს იხილავს საკასაციო საჩივ-

რის ფარგლებში, ამ მოცემულობით საკასაციო სასამართლოს მსჯავრდებულ ზ. დ.ს ქმედების კვალიფიკაციის ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 25 დეკემბრის განაჩენის გაუქმების ან შეცვლის უფლებამოსილება არ გააჩნია.

13. რაც შეეხება კასატორის მითითებას მისთვის ჩამორთმეული და სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემული ნივთმტკიცების – ავტომანქანის გასხვისების კანონიერებით სასამართლოს დაინტერესების შესახებ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ მოცემულობით სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამოწმოს ნივთმტკიცების გასხვისების კანონიერება.

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ზ. დ.ს საჩივრების მოთხოვნები არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც სადავო განაჩენის გაუქმების ან შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 307-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ზ. დ.ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 25 დეკემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენში ცვლილების შეტანა კანონის უკუძალითი გამოყენების უფლების დარღვევისათვის

განაჩენი
საქართველოს სახელით

№58აგ-20 10 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. გ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განაჩენით ი. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი; მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, 3 წლით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები.

სასამართლომ დაადგინა, რომ ი. გ-მ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2017 წლის 9 მაისს ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულ ი. გ-ს დაუდგინდა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალებების – „ბუპრენორფინისა“ და „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ მოხმარების ფაქტი.

ზემოაღნიშნულ განაჩენს საფუძვლად დაედო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 აგვისტოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე, რომლითაც ი. გ. ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით (ნარკოტიკული სა-

შუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება).

2016 წლის 27 აგვისტოს ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნით ი. გ-ს ლაბორატორიულად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანის) მოხმარება.

2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენით ი. გ- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 155 საათით, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლოს შრომა – 155 საათით და ჯარიმა – 831,78 ლარი; მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, 6 თვით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 2 წლით – ამავე კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

სასამართლომ დაადგინა, რომ ი. გ-მ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით ნასამართლევ ი. გ-ს 2017 წლის 9 ნოემბერს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტი.

3. 2020 წლის 8 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ი. გ-მ, რომელმაც ითხოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილების საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილების საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მის მიმართ გამოტანილი განაჩენების გადასინჯვა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ივლისის განაჩენით ი. გ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება და ი. გ. გათავისუფლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული და-

ნაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, თუმცა უცვლელად დარჩა ი. გ-ს მიმართ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განაჩენი.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ივლისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. გ-მ და მოითხოვა განაჩენის შეცვლა, ვინაიდან მიიჩნევს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის № 1/13/732 და 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს როგორც 2017 წლის 18 მაისის, ასევე 2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენზე და, ამდენად, მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს სრულად.

6. 2020 წლის 6 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას განცხადებით მომართა მსჯავრდებულმა ი. გ-მ, რომლითაც ითხოვს, არ იქნეს განხილული მისი საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ივლისის განაჩენზე, ვინაიდან 2020 წლის 15 ივნისის დადგენილებით იგი ბრალდებულად არის ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 273-ე მუხლით, საქმე არსებითად განსახილველად წარმართულია ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში და მიღებულია გადაწყვეტილება ბრალდების მხარესთან საპროცესო შეთანხმების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეამოწმა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ ი. გ-ს მოთხოვნა მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ივლისის განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ კასატორს უფლება აქვს, შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე გაითხოვოს თავისი საჩივარი, რომლის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

3. ამდენად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს მოცემულობას, როდესაც, ერთი მხრივ, კასატორმა ისარგებლა კანონით მინიჭებული უფლებით და უარი თქვა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, აცნობიერებს, რომ ეკისრება ვალდებულება, დაიცვას საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებები და ბლანკეტურად არ შეიბოჭოს ქვემდგომი ინ-

სტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული სამართლებრივი შეცდომების გამოსწორებისას.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე: Marpa Zeeland B.V. and Metal Welding B.V. v. the Netherlands სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის §1. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, განმცხადებლებმა, რომლებიც დამნაშავედ ცნო რეგიონულმა სასამართლომ, გაასაჩივრეს გადაწყვეტილება, თუმცა მოგვიანებით საჩივარზე განაცხადეს უარი, ვინაიდან გენერალურმა ადვოკატმა დაარწმუნა ისინი, რომ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციას გასცემდა. მას შემდეგ, რაც ასეთი რეკომენდაცია არ გაიცა, განმცხადებლებმა ახალი საჩივარი შეიტანეს. უზენაესმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო, რადგან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მომჩივნებმა ფორმალურად უარი განაცხადეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, რომელიც არ გასაჩივრებულა კანონით განსაზღვრულ ვადაში და, შესაბამისად, იყო საბოლოო.

5. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-6 მუხლის §1 არ უზრუნველყოფს გასაჩივრების უფლებას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნები გენერალურმა ადვოკატმა დაარწმუნა, უარი ეთქვათ საჩივარზე, რაც, მათი გაგებით, განაპირობებდა მათთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას. როდესაც სასჯელი არ შემსუბუქდა და მათ საჩივართან დაკავშირებით სამართალწარმოება დასრულდა, მომჩივნები დარჩნენ სასჯელის შემსუბუქებისა და საჩივრის წარდგენის გზით საქმის გასაჩივრების შესაძლებლობის გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულ გარემოებებში მომჩივნებს უარი ეთქვათ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაზე და მათ ვერ შეძლეს, არსებითი ფორმით ესარგებლათ გასაჩივრების უფლებით. (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Marpa Zeeland B.V. and Metal Welding B.V. v. the Netherlands - 46300/99, §49-50).

6. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ ექცევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ საქმის სამართლიანი განხილვის უფლების ფარგლებში, საკასაციო სასამართლო ვერც მოცემულ შემთხვევაში აუვლის გვერდს, შეაფასოს ის მინიმალური გარანტიები,

რაც საქმის სამართლიანი განხილვის პირობებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში. კონვენციის მე-6 მუხლის არც ტექსტი და არც მისი სულისკვეთება არ უკრძალავს პირს, საკუთარი ნებით ცალსახად, ან ჩუმი თანხმობის გზით უარი განაცხადოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაზე. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია, რომ იმისათვის, რათა ასეთი უარი კონვენციის მიზნებთან შესაბამისად ჩაითვალოს, ასეთი უარი არ უნდა იძლეოდეს ეჭვის წარმოშობის საფუძველს (უნდა განხორციელდეს არაორაზროვანი ფორმით) და ამ ვითარების დაცვის გარანტიები უნდა არსებობდეს. გარდა ამისა, იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე საჯარო ინტერესს. უფრო მეტიც, ვიდრე სავარაუდოა, რომ ბრალდებულმა შეიძლება უარი თქვას მე-6 მუხლით გარანტირებულ მნიშვნელოვან უფლებაზე, უნდა გამოჩნდეს, რომ იგი გონივრულად ითვალისწინებდა ამ ქმედების სამართლებრივ შედეგს (შეეძლო მისი ქცევის შედეგების განჭვრეტა) იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Hermi v. Italy, §73; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: Sejdovic v. Italy, § 86).

7. საკასაციო სასამართლომ განსახილველ საქმეში შეაფასა კასატორის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაზე უარი და მიიჩნევს: იმ ვითარებაში, როდესაც აშკარად გამოკვეთილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი ეცლება მის მსჯავრდებას, ხოლო ი. გ., რომელსაც არ ჰყავს ადვოკატი და გონივრულად ვერ ითვალისწინებს მისი ქმედების სამართლებრივ შედეგს, მისივე ფუნდამენტური უფლებების დასაცავად, უარი უნდა ეთქვას საჩივრის განუხილველად დატოვებაზე და საქმის განხილვა უნდა გაგრძელდეს. საკასაციო სასამართლო აქვე დასძენს, რომ საქმის განხილვის გაგრძელება ემსახურება საჯარო ინტერესსაც, ვინაიდან კანონის უკუძალით გამოყენების ფუნდამენტური უფლების უგულებელყოფა შესაძლოა, არ იყოს უკანასკნელი და უსამართლობის ჯაჭვი გაგრძელდეს, რადგან თავად ი. გ-ს განცხადებით ირკვევა, რომ ბრალდების საქმეში, სადაც გადაწყვეტილი აქვს პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება, სააპელაციო სასამართლოს მიერ ძალაში დატოვებული მსჯავრდება არის დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება (ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები), რაც პირდაპირ მოახდენს გავლენას მის შემდგომ შესაძლო უკანონო მსჯავრდებაზე.

8. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. გ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით – ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ უკანონო მოხმარებისათვის და ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის სიტყვები „ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის, ი. გ. გაათავისუფლა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

9. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განაჩენით ი. გ-ს მსჯავრდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით შემდეგი მოტივით: ზემოაღნიშნული განაჩენით ი. გ. მსჯავრდებულია ნარკოტიკული საშუალებების – „ბუპრენორფინისა“ და „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ უკანონო მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, რის გამოც მიიჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება, ი. გ-ს მიმართ ვერ გავრცელდება, ვინაიდან მას ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანასთან“ ერთად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ უკანონო მოხმარების ფაქტი.

10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილების შესახებ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელზეც შუამდგომლობაში აპელირებდა ი. გ., სააპელაციო სასამართლომ

აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში იმსჯელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის კონსტიტუციურობის თაობაზე, რისი გათვალისწინებითაც, არ არსებობდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ი. გ-ს მიმართ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განაჩენის გადასინჯვის წინაპირობა. სააპელაციო სასამართლომ დასძინა, რომ შუამდგომლობის ავტორს იმის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 აგვისტოს დადგენილება ი. გ-ს ადმინისტრაციულსამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე გაუქმებულია, არ წარმოუდგენია.

11. სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების „ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 35-ე პუნქტში მითითებული გარემოებების არარსებობისას ითვალისწინებს პასუხისმგებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის, რითაც ფაქტობრივად საფუძველი გამოეცალა იმ დანაშაულის შემადგენლობას, რომლისთვისაც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განაჩენით მსჯავრი დაედო ი. გ-ს.

12. სააპელაციო სასამართლომ ფორმალური არგუმენტით, რომ შუამდგომლობის ავტორს სასამართლოსთვის არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 აგვისტოს დადგენილება ი. გ-ს ადმინისტრაციულსამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე გაუქმებულია, უგულებელყო ის აშკარა ფაქტი, რომ ი. გ-ს ქმედებაში (ნარკოტიკული საშუალების განმეორებით უკანონო მოხმარება) გამოკვეთილი აღარ არის დანაშაულის შემადგენლობისათვის სავალდებულო ერთ-ერთი ელემენტი და, შესაბამისად, მისი მსჯავრდება მოკლებულია მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს.

13. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კა-

ნონის უკუძალით გამოყენების კონსტიტუციურ დებულებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება ადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და გამაუქმებელი კანონის უკუძალით გავრცელებისთვის კონსტიტუციურ საფუძველს. მართალია, ის არ ბოჭავს ხელისუფლებას ისეთივე აბსოლუტური, უპირობო ვალდებულებით, როგორსაც წარმოადგენს ამავე ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი კანონის უკუძალით გავრცელების აკრძალვა, მაგრამ ნამდვილად დამატებით ზღუდავს სახელმწიფოს თავისუფალი მიხედულების ფარგლებს პრინციპით – არ მოხდეს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ/აღარ არსებობს და იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია კონკრეტული ლეგიტიმური მიზნების დასაცავად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II -71).

14. „როდესაც ხდება ქმედების დეკრიმინალიზაცია ან სასჯელის შემსუბუქება, საფუძველი ეცლება გარკვეული დროით ადრე ჩადენილი იგივე ქმედებისთვის პასუხისმგებლობის ან უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას... პირმა პასუხი უნდა აგოს რეალურად საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენისთვის, ამასთან, იმ წესითა და ფარგლებში, რაც ობიექტურად აუცილებელი და საკმარისია კონკრეტული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნების მისაღწევად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II - 64).

15. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ „Nullum crimen, nulla poena sine lege“ – კონვენციის მე-7 მუხლში ასახული გარანტია, რომელიც კანონის უზენაესობის არსებითი ელემენტია, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს კონვენციის დაცვის სისტემაში, რასაც ხაზი ესმება იმ ფაქტით, რომ მე-15 მუხლი არ უშვებს მისგან გადახვევას, თუნდაც ომის ან ერის სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი სხვა გადაუდებელი ვითარებისას. ის უნდა განიმარტოს და შემდეგ მოხდეს მისი შეფარდება მისი ობიექტისა და მიზნის შესაბამისად, იმგვარად, რომ საკმარისი გარანტიები შექმნას თვითნებური ბრალდების, მსჯავრდებისა და დასჯისგან (იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

1995 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებები საქმეებზე: S.W. v. the United Kingdom § 34, სერია A № 335-B, და C.R. v. the United Kingdom § 32, სერია A № 335-C, 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Kafkaris v. Cyprus [GC], § 137; 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: Rohlena v. the Czech Republic [GC], § 50).

16. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განაჩენით ი. გ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით მსჯავრდების ძალაში დატოვებით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კანონის უკუძალით გამოყენების ფუნდამენტური უფლება და ეს დარღვევა უპირობოდ უნდა გამოსწორდეს: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ივლისის განაჩენი უნდა გაუქმდეს და ი. გ. უნდა გათავისუფლდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით, 314-ე მუხლის პირველი, მე-4 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ი. გ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ივლისის განაჩენი;

3. ცვლილება შევიდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენში და ი. გ. გათავისუფლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

4. ცვლილება შევიდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განაჩენში და ი. გ. გათავისუფლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება
საქართველოს სახელით

№40ˡ-20 2 ოქტომბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ბ. გ. (B. G.) და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ბ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 17 სექტემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ-ს რესპუბლიკიდან მოწოდებული მასალების თანახმად:

2006 წლის 9 ნოემბერს თ-ს რესპუბლიკის დენიზლის საქალაქო მე-3 მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენით ბ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ თ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის №5237 კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დაგეგმვით, მშობლის მიმართ) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა. ბ. გ. სრულად ესწრებოდა მის წინააღმდეგ საქმის სასამართლოში განხილვას.

2. 2008 წლის 20 მაისს თ-ს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პირველი სამმართველოს გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულმა განაჩენმა საბოლოო სახე მიიღო.

3. 2018 წლის 19 იანვარს თ-ს რესპუბლიკის დენიზლის რესპუბლიკურმა მთავარმა პროკურატურამ გამოსცა ბრძანება ბ. გ-ს დაკავების შესახებ.

4. 2019 წლის 22 ოქტომბერს გამოცხადდა ბ. გ-ს ძებნა წითელი ცირკულარით.

5. ამასთან, ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის თანახმად, ზემოაღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით ბ. გ. 2005 წლის 15 ივლისიდან მოთავსებული იყო თ-ს რესპუბლიკის შესაბამის პენი-

ტენციურ დაწესებულებაში, საიდანაც იგი გაიქცა 2018 წლის 19 იანვარს (აღნიშნული დანაშაულისათვის ექსტრადიცია არ იქნა მოთხოვნილი). ამავე შუამდგომლობის თანახმად, თურქეთის რესპუბლიკის №5275 კანონის 107-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, თ-ს რესპუბლიკის შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში მას მოსახდელად დარჩა 11 წლითა და 172 დღით თავისუფლების აღკვეთა, რის შემდეგაც მოიპოვებს პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლებას.

6. თ-ს რესპუბლიკიდან მოწოდებული მასალების თანახმად, ბ. გ-ს მიერ თ-ს რესპუბლიკაში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

მ. გ-ს სიკვდილი მატერიალურად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მისი შვილის – ბ. გ-ს და მეუღლის – ა. გ-ს, რასთან დაკავშირებითაც მოცემული პირები დაუკავშირდნენ დ. ჩ-ს და მ. გ-ს მკვლელობის სანაცვლოდ, შესთავაზეს გარკვეული რაოდენობის თანხა და უძრავი ქონება, რასაც დ. ჩ. დასთანხმდა. აღნიშნულის შემდეგ ბ. გ-მ, ა. გ-მ და დ. ჩ-მ არაერთი კომუნიკაციის შედეგად შეიმუშავეს მ. გ-ს მკვლელობის გეგმა და შეთანხმდნენ, რომ მ. გ. თავისი სახლიდან მოტყუებით ისეთ ტერიტორიაზე გაეყვანათ, სადაც თავისუფლად განახორციელებდნენ ჩანაფიქრს. ამ მიზნით დ. ჩ., მ. გ-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თითქოსდა შესყიდვის მიზნით, შეხვდებოდა მ. გ-ს და მას ავტომანქანით წაიყვანდა ბ-ს რაიონში, მითითებული უძრავი ქონების დასათვალიერებლად და ფასზე მოსალაპარაკებლად.

შემთხვევის დღეს, 2005 წლის 21 მარტს, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მ. გ., ა. გ., დ. ჩ. და გამოძიებით დაუდგენელი პირი – ვინმე ჰ. ს., დ. ჩ-ს ავტომანქანით გაემგზავრნენ ბ-ს რაიონში. ავტომანქანით გადაადგილებისას დ. ჩ-მ მის ხელთ არსებული ცეცხლსასროლი იარაღით მ. გ-ს ერთხელ ესროლა თავის არეში და დაჭრა, რის შემდეგაც გააჩერა ავტომანქანა, გადმოიყვანა დაჭრილი მ. გ. და დამატებით რამდენჯერმე ესროლა. აღნიშნულის შემდეგ ხსენებულმა პირებმა ცხედარი დატოვეს ბ-ს რაიონში მდებარე ქ-ს სოფლის ტერიტორიაზე და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

7. აღწერილი ქმედება დასჯადია თ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის №5237 კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დაგეგმვით, მშობლის მიმართ), რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას. ამასთან, მოცემული დანაშაულისათვის ბ. გ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

8. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი საქართველოს იურისდიქციაში, დაკვალიფიცირდებოდა, სულ მცირე, საქართველოს სსკ-ის 25-ე,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (შეკვეთით ჩადენილი განზრახ მკვლელობის წაქეზება), რომელიც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას.

9. 2020 წლის 23 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ექსტრადიციის მიზნით დააკავეს ბ. გ.

10. 2020 წლის 26 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ბ. გ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

11. 2020 წლის 26 მარტს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიიღო ბ. გ-ს ექსტრადიციის თაობაზე თ-ს რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობა და შესაბამისი დანართი მასალა.

12. 2020 წლის 21 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის განჩინების საფუძველზე ბ. გ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 6 თვემდე – 2020 წლის 23 აგვისტომდე.

13. 2020 წლის 13 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის განჩინების საფუძველზე ბ. გ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 9 თვემდე – 2020 წლის 23 ნოემბრამდე.

14. ამჟამად ბ. გ. მოთავსებულია სპეციალური პენიტენციური სამსახურის №6 პენიტენციურ დაწესებულებაში.

15. 2020 წლის 14 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა დემეტრე ჯინჯოლიამ და ითხოვა ბ. გ-ს თ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობა, მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით, იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც აღწერილია თ-ს რესპუბლიკის დენიზლის საქალაქო მე-3 მძი-

მე სისხლის სამართლის სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის განაჩენში და დასჯადია თ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის №5237 კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დაგეგმვით, მშობლის მიმართ).

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიამ 2020 წლის 17 სექტემბრის განჩინებით დასაშვებად ცნო ბ. გ-ს თ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც აღწერილია თ-ს რესპუბლიკის დანიზლის საქალაქო მე-3 მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის განაჩენში და დასჯადია თ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის №5237 კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დაგეგმვით, მშობლის მიმართ).

17. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – ბ. გ. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ბ. საკასაციო საჩივრებით ითხოვენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 სექტემბრის განჩინების გაუქმებასა და თ-ს რესპუბლიკაში ბ. გ-ს ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას იმ მოტივით, რომ თ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მას დაემუქრება წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სიკვდილის საშიშროება; 5 წლის წინ მოკლეს მისი დედა – ა. გ.; თ-ს სახელმწიფოსათვის მისი გადაცემა სიკვდილით დასჯის ტოლფასი იქნება.

18. პროკურორმა დემეტრე ჯინჯოლიამ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრებს და ითხოვა ბ. გ-ს თ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 სექტემბრის განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: და-

ცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, ორმაგი დასჯის აკრძალვისა და ხანდაზმულობის პრინციპები, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

3. ბ. გ. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2020 წლის 23 თებერვალს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას მის მიმართ არ დარღვეულა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

4. საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, არ დგინდება ის გარემოებები, რომ ბ. გ-ს მიმართ არ იქნება დაცული საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ადამიანის უფლებების მინიმალური სტანდარტები. ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ადვოკატმა ვერ მიაწოდეს სასამართლოს რაიმე მტკიცებულებები, რაც მის მიმართ თ-ს რესპუბლიკაში რაიმე ნიშნით დევნის ეჭვს წარმოშობდა.

5. დაცვის მხარის მითითებასთან დაკავშირებით, რომ თ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ბ. გ. დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ მოპყრობას ან მის სიცოცხლეს დაემუქრება საფრთხე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში დევნის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საფრთხის არსებობა უნდა დადასტურდეს მტკიცების სტანდარტით, რაც გულისხმობს კონკრეტულ, უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნისა და არასათანადო მოპყრობის საფრთხეების შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბ. გ. ექსტრადიციის ქვემდებარე დანაშაულთან დაკავშირებით 2005-2018 წლებში, 12 წელზე მეტი დროის განმავლობაში, პატიმრობაში იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში. ბ. გ-ს ექსტრადიციის მიზნით დაკავებიდან ამ დრომდე დაცვის მხარეს არცერთი წერილობითი განცხადება ან მტკიცებულება არ წარმოუდგენია მის მიმართ საპატიმრო დაწესებულებაში ძალადობის ან/და არასათანადო მოპყრობის რაიმე ინციდენტის თაობაზე. ამდენად, დაუსაბუთებელია დაცვის მხარის მოსაზრება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ან მისი სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობის შესახებ.

6. ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის

არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) №46827/99 and №46951/99, §73, 04.02.2005).

7. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბ. გ-ს სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენებაც არ არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო, ვინაიდან მას სასჯელისგან გათავისუფლების შესაძლებლობა მიეცემა 11 წლისა და 172 დღის მოხდის შემდეგ. ამდენად, მის მიმართ გამოყენებული უვადო სასჯელი არ არის გადაჭარბებულად არაპროპორციული, უპირობო და ექვემდებარება გონივრულ დროში გადასინჯვას. ასეთ პირობებში კი უვადო თავისუფლების აღკვეთა არ წარმოშობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამობის საკითხს.

8. მხედველობაშია მისაღები თ-ს რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თ-ს რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნის თ-ს რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით.

9. გარდა ამისა, საექსტრადიციო მასალების შესწავლით ირკვევა, რომ ბ. გ-ს საქმეში არ არის რაიმე სახის აშკარა და უხეში პროცედურული დარღვევა, რომელიც წარმოშობდა ვარაუდს, რომ თ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვევა მისი ცალკეული უფლებები, მეტიც, საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული კომპლექსური საექსტრადიციო პროცედურების შედეგადაც ვერ იქნა მოპოვებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფრთხის დამადასტურებელი მტკიცებულებები. საქმეშია თ-ს რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ბ. გ. ისარგებლებს თ-ს რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიცაა თ-ს რესპუბლიკა.

10. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით ბ. გ. არ ითვლება საქართველოს მოქალაქედ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არ-

მქონე პირად, ვინაიდან იგი არის თ-ს რესპუბლიკის მოქალაქე.

11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2020 წლის 7 მაისს ბ. გ-ს კომპეტენტური ორგანოს მიერ უარი ეთქვა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის თაობაზე განცხადების განხილვაზე, რაც განპირობებული იყო აღნიშნული მოთხოვნის წარდგენის კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. აღნიშნული გადაწყვეტილება ბ. გ-ს არ გაუსაჩივრებია. ამდენად, იგი არ სარგებლობს საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სტატუსით და მას საქართველოში თავშესაფარი არ გააჩნია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არ არსებობს „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის ჟენევის კონვენციის 33-ე მუხლისა და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოება.

12. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლისა და „საქართველოსა და თ-ს რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ“ 1996 წლის 4 აპრილის ხელშეკრულების 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი არ ექვემდებარება ექსტრადიციას, თუ იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებისთვისაც ექსტრადიცია მოითხოვება, არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან მიღებულია გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებისთვისაც ექსტრადიცია მოითხოვება, უკვე მიღებულია შესაბამისი საბოლოო გადაწყვეტილება ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის განმხილველ სახელმწიფოში (non bis in idem). დანაშაულებრივი ქმედება, რომლისთვისაც მოითხოვება ბ. გ-ს ექსტრადიცია, არ ექცევა საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნულის გამო, არ შეიძლება საქართველოს კომპეტენტური ორგანოები ახორციელებდნენ წარმოებას ან საქართველოს სასამართლომ გამოიტანოს განაჩენი ხსენებულ დანაშაულთან დაკავშირებით. შესაბამისად, ბ. გ-ს ექსტრადიციის შემთხვევაში არ მოხდება პარალელური წარმოების აკრძალვისა და non bis in idem-ის დარღვევა.

13. გარდა ამისა, დანაშაულებრივი ქმედება, რომლის ჩადენისთვისაც ბ. გ. მსჯავრდებულია თ-ს რესპუბლიკაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგო-

რიას განეკუთვნება. საქართველოს სსკ-ის 76-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა 15 წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. თ-ს რესპუბლიკაში ბ. გ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 2006 წლის 9 ნოემბერს. ამასთან, ზემოაღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით ბ. გ. 2005 წლის 15 ივლისიდან მოთავსებული იყო თ-ს რესპუბლიკის შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში, საიდანაც იგი გაიქცა 2018 წლის 19 იანვარს. იმავე დღეს თ-ს რესპუბლიკის დენიზლის რესპუბლიკურმა მთავარმა პროკურატურამ გამოსცა ბ. გ-ს დაკავების ბრძანება. შესაბამისად, მოცემულ განაჩენთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის. თ-ს რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ მოწოდებული საექსტრადიციო მასალებისა და თ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბ. გ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენით დადგენილი სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება 30 წლით და იგი გასული არ არის.

14. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ბ. გ-მ 2020 წლის 7 აგვისტოს გასაუბრებისას განმარტა, თ-ში ცხოვრობს მისი ორი ძმა, ხოლო საქართველოში – მისი პარტნიორი ქალი, რომელიც ჯერ „ა. გ“. მოიხსენია, შემდეგ – „მახანიად“. როგორც ადვოკატმა განმარტა, მისთვის ცნობილია, რომ ბ. გ-ს პარტნიორი ქალის გვარია „ვ“; ბ. გ-ს თქმით, პარტნიორთან არ არის რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაგრამ დაახლოებით წელიწადნახევარია, ერთად ცხოვრობენ თბილისში; მათ არ ჰყავთ შვილი, თუმცა პარტნიორ ქალს ჰყავს 22 წლის შვილი „ეკა“, რომელიც დაოჯახებულია და ცალკე ცხოვრობს. ბ. გ-ს განმარტებით, მის პარტნიორს აქვს თ-ს რესპუბლიკაში ცხოვრების გამოცდილება, მაგრამ ვერ დაასახელა დროის კონკრეტული მონაკვეთები, როდესაც იგი ცხოვრობდა ამ სახელმწიფოში. ამასთან, ბ. გ-მ ვერ გაიხსენა პარტნიორის საკონტაქტო მონაცემები.

15. ბ. გ-ს მიერ პარტნიორი ქალისა და მისი შვილის შესახებ მითითებული დემოგრაფიული მონაცემებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზებში შესაბამისი პირები ვერ მოიძებნა.

16. გასათვალისწინებელია, რომ ბ. გ. საქართველოში იმყოფება 2018 წლის 19 იანვრიდან, მანამდე ის საქართველოში ნამყოფი არ იყო. მას არ აქვს საქართველოში ხანგრძლივი დროის განმავლობა-

ში ცხოვრების გამოცდილება. თ-ს რესპუბლიკაში ცხოვრობენ მისი ოჯახის წევრები. ასეთ ვითარებაში ბ. გ-ს ექსტრადიციის შემთხვევაში არ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევის რისკი.

17. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 17 სექტემბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი ბ. გ-ს თ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც აღწერილია თ-ს რესპუბლიკის დანიზლის საქალაქო მე-3 მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის განაჩენში და დასჯადია თ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის №5237 კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დაგეგმვით, მშობლის მიმართ), კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ბ. გ-ს და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ბ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 17 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება
საქართველოს სახელით

№43[1]-20 27 ოქტომბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თადუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ნ. ო-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ქ-სა და დ. ლ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 15 ოქტომბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ო-ს მიმართ რუსეთის ფედერაციაში განხორციელებული სისხლისსამართლებრივი პროცედურები:

2017 წლის 3 ნოემბერს ... ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს ... და ...-ის ოლქში საგამოძიებო ნაწილის მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება ნ. ო-ს ბრალდების შესახებ, რომლის თანახმად, ნ. ო-ს ბრალი დაედო რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის მე-4 ნაწილით (თაღლითობა, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

2017 წლის 14 დეკემბერს ... ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს ...-ის ოლქში საგამოძიებო ნაწილის გადაწყვეტილებით ნ. ო-ს მიმართ გამოცხადდა ძებნა.

2018 წლის 26 მარტს ... ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს ... და ...-ის ოლქში ოპერატიულ-სამძებრო ნაწილის გადაწყვეტილებით ნ. ო-ს მიმართ გამოცხადდა საერთაშორისო ძებნა.

2018 წლის 18 მაისს ... ფედერაციის ...-ის ...-ის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. ო-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა.

2018 წლის 8 ოქტომბერს ნ. ო-ს მიმართ გამოცხადდა ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

2. ნ. ო-ს მიმართ საქართველოში განხორციელებული საექსტრადიციო პროცედურები:

2018 წლის 6 ნოემბერს ნ. ო. ექსტრადიციის მიზნით დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა.

2018 წლის 8 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ნ. ო-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით.

2018 წლის 15 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი ნ. ო-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2018 წლის 8 ნოემბრის განჩინების შეცვლის თაობაზე.

2018 წლის 22 ნოემბერს საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიღებულ იქნა ნ. ო-ს ექსტრადიციის თაობაზე ... ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობა და შესაბამისი დანართი მასალა.

2019 წლის 4 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ნ. ო-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა 3 თვის ვადით, 6 თვემდე – 2019 წლის 6 მაისამდე.

2019 წლის 8 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი ნ. ო-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2019 წლის 4 თებერვლის განჩინების შეცვლის თაობაზე.

2019 წლის 2 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ნ. ო-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა 3 თვის ვადით, 9 თვემდე – 2019 წლის 6 აგვისტომდე.

2019 წლის 1 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ნ. ო-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა შეიცვალა გირაოთი 50000 ლარის ოდენობით და იგი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

3. ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. ო-მ ა. ს-ი დაარწმუნა მის მიერ დაფუძნებული კომპანია შპს სავაჭრო სახლი ...თვის მიეყიდა ქ. ...-ში, ...ს პროსპექტის №...-ში მდებარე, 337.30 კვ.მ. ფართობის მქონე არასაცხოვრებელი შენობა, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 50 000 000 რუსულ რუბლს. მხარეებმა აღნიშნულ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმეს 2014 წლის 12 მაისს. ნ. ო-სთვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ იგი ვერ შეძლებდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების ღირებულების გადახდას.

აღნიშნულის შემდეგ, ნ. ო-მ შპს სავაჭრო სახლი ...ის სახელით ქ. ...-ში, სახელმწიფო სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინა განცხადება ზემოაღნიშნული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. ...-ში, ...ის პროსპექტის №...-ში მდებარე, 337.30 კვ.მ. ფართობის მქონე არასაცხოვრებელ შენობაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ. სარეგისტრაციო სამსახურს ინფორმაცია წარედგინა იმდაგვარად, თითქოს ა. ს-ის მიმართ ყველა ვალდებულება შესრულებული იყო შპს სავაჭრო სახლი ...ის მიერ, რის საფუძველზეც 2014 წლის 27 მაისს განხორციელდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია. მოგვიანებით, შპს სავაჭრო სახლი ...-ის იურისტმა ა. ...მა, რომლისთვისაც არ იყო ცნობილი ნ. ო-ს დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ, ნ. ო-ს მითითების შესაბამისად, ქ. ....-ის ს-ის რაიონულ სასამართლოში, ა. ს-სა და შპს სავაჭრო სახლი ....ის შორის, ზემოხსენებულ ქონებასთან დაკავშირებით წარმოებულ №... სამოქალაქო საქმის განხილვის ფარგლებში წარადგინა ყალბი ხელწერილი ა. ს-ის მიერ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 50 000 000 რუსული რუბლის მიღების თაობაზე, რაც რეალურად სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ამასთან, აღნიშნული ხელწერილის საფუძველზე, ...-ის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მითითებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შპს სავაჭრო სახლი ...ზე აღიარების და რეგისტრაციის კანონიერად ცნობის შესახებ. ნ. ო-ს მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, დაზარალებულ ა. ს-ს მიადგა ჯამში 50 000 000 რუსული რუბლის ოდენობით მატერიალური ზიანი.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ დემეტრე ჯინჯოლიას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დასაშვებად იქნა ცნობილი ნ. ო-ს ...-ის ფედერაციაში ექსტრადიცია მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციე-

ლების მიზნით, დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც აღწერილია ...ის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს ....სა და ...-ის ოლქში საგამოძიებო ნაწილის 2017 წლის 3 ნოემბრის ბრალდების შესახებ დადგენილებაში და დასჯადია ... ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის მე-4 ნაწილით (თაღლითობა, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით).

5. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ნ. ო-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები – გ. ქ-ა და დ. ლ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 15 ოქტომბრის განჩინების გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვისა და ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპები, ხანდაზმულობის ვადა, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

3. ... ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ნ. ო. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2018 წლის 6 ნოემბერს. წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ როგორც დაკავებისას, ისე საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები არ დარღვეულა.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული მონაცემებით დასტურდება, რომ ნ. ო. არ ითვლება საქართველოს მოქალაქედ. ამასთან, ხსენებული პირი არ ითვლება აგრეთვე საქართველოში მუდ-

მივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირად, ვინაიდან ნ. ო. არის ... ფედერაციის მოქალაქე.

5. ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის ჟენევის კონვენციის 33-ე მუხლისა და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ექსტრადიცია არ დაიშვება, თუ პირს მიცემული აქვს პოლიტიკური თავშესაფარი ან თუ იგი ...-ში საერთაშორისო დაცვის მქონე პირია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის 24 დეკემბერს ნ. ო-ს უარი ეთქვა საქართველოში საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ნ. ო-ს მიერ გასაჩივრებულ იქნა სასამართლოს ორ ინსტანციაში. ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის 2019 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ნ. ო-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამდენად, ნ. ო-ს ...-ში საერთაშორისო დაცვა ან თავშესაფარი მინიჭებული არ აქვს. იგი აგრეთვე, არ ითვლება თავშესაფრის მაძიებელ პირად საქართველოში.

6. სასამართლო აღნიშნავს, რომ შუამდგომლობაში მითითებული ნ. ო-ს მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედება, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ ჩადენის შემთხვევაშიც, დასჯადი იქნებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით 1 წელზე მეტი ვადით. შესაბამისად, დაცულია ორმაგი დასჯადობის პრინციპის სასჯელთან მიმართებით დადგენილი მოთხოვნები.

7. 2019 წლის 23 სექტემბერსა და 2020 წლის 24 იანვარს დაცვის მხარემ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომართვის წერილი და ამავე ბიუროს 2019 წლის 1 ოქტომბრის №.... ექსპერტიზის დასკვნა, რომლებიც შეეხება 2014 წლის 4 აგვისტოთი დათარიღებულ სადავო ხელწერილზე ნ. ო-ს დაცვის მხარის მიერ საქართველოში ჩატარებულ ექსპერტიზას იმ გარემოების დასადგენად ეკუთვნის თუ არა ხელწერილის ხელნაწერი ტექსტი ა. ს-ს.

8. კასატორების არგუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უდანაშაულობის მტკიცებას შეეხება, სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლო არ იხილავს პირის ბრალეულობის საკითხს და ამოწმებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობას (მაგ. იხ. საქმე №2ˡ-17).

9. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაცვის მხარემ ექსტრადიციის პროცესში არასრულად წარმოადგინა რე-

ლევანტური დოკუმენტაცია და .... ფედერაციის გენერალური პროკურატურიდან მიღებული დამატებითი ინფორმაციით დადასტურდა, რომ .... ფედერაციის შესაბამისი სამოქალაქო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არათუ აქარწყლებს, არამედ პირიქით ადასტურებს ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს.

10. გარდა ამისა, იმის მიუხედავად, რომ იმავე დავის საგანზე პარალელურად სისხლისა და სამოქალაქო საქმეებზე მიმდინარეობდა წარმოება ნ. ო-ს მიმართ არსებული ბრალდება მიზნითა და ხასიათით (inter alia მოტყუებისა და განზრახ სიყალბის ელემენტები) აშკარად სისხლის სამართლებრივი შინაარსისაა და სამოქალაქო დავასთან აღრევის საკითხიც კი არ დგას (განსხვავება, (Navalnyy and Ofitserov v. Russia, §§ 110-115).

11. ადვოკატის მტკიცებით, ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობს ნ. ო-ს მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე.

12. ექსტრადიციის გადაწყვეტილებამ გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია მართლაც წარმოშვას საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, როდესაც მიმღებ სახელმწიფოში პირი დგას მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის წინაშე. მაგრამ „მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარი“ გულისხმობს დარღვევებს, რომლებიც იმდენად ფუნდამენტური ხასიათისაა (იხ. Sejdovic v. Italy [GC], ECtHR, no. 56581/00, § 84; Stoichkov Stoichkov v. Bulgaria, ECtHR, no. 9808/02, 25/03/2005, §56; Drozd and Janousek v. France and Spain, ECtHR, 26/06/1992, § 110), რომ შეიძლება გამოიწვიოს მე-6 მუხლით დაცული უფლების ან მისი არსის გაუქმება. ასეთად, Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom (ECtHR, N8139/09, 17/01/2012, § 259) გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მიდგომის თანახმად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს:

– in absentia მსჯავრდებას, როდესაც არ არსებობს საქმის ხელახლა არსებითად განხილვის შესაძლებლობა;

– სასამართლო პროცესი, რომელიც შემაჯამებელი ხასიათისაა და განხორციელდა დაცვის უფლებების სრული უგულებელყოფით;

– პატიმრობა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის და მის მიერ პატიმრობის კანონიერების განხილვის გარეშე;

– ადვოკატის ხელმისაწვდომობაზე განზრახი და სისტემატური უარი, განსაკუთრებით უცხო ქვეყანაში დაპატიმრებული პირის მიმართ.

13. ექსტრადიციის შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორ-

ციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის რეალურობის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კასატორს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს აღნიშნული საფრთხის დამადასტურებელი კონკრეტული და სარწმუნო მტკიცებულებები (Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom, ECtHR, no8139/09, 17/01/ 2012, § 261).

14. ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ განცხადება არ არის საკმარისი. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (იხ. Mamatkulov and Askarov v. Turkey, ECtHR, no46827/99, 46951/99, 04/02/2005, §72-73; K. v. Russia, ECtHR, no 69235/11, 23/05/2013, §58), რომლებიც ადასტურებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (იხ. Shamayev and Others v. Georgia and Russia, ECtHR, no36378/02, 12/04/2005, §352). მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარემ ზოგადად მიუთითა რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის საფრთხეზე.

15. პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს, .. როდესაც არსებობს საფუძველი რწმენისთვის, რომ პირი, ... შესაძლოა დადგეს მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის საფრთხის წინაშე. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (K v Russia, ECtHR, no 69235/11, 23/05/2011, § 66). ასევე, ზოგადად ქვეყანაში არსებული ძალადობრივი მდგომარეობა თავისთავად არ არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს პირის ამ ქვეყანაში ექსტრადიციის შემთხვევაში (იხ. H.L.R. v. France, ECtHR, 29/04/1997, § 41), გამონაკლისია „განსაკუთრებით უკიდურესი შემთხვევები“ (T.K. and S.R. v. Russia, no28492/15 da 49975/15, 19/11/2019, § 79, იხ.Sufi and Elmi v. the United Kingdom, nos. 8319/07, 11449/07, §§ 216, 218, 28/06/2011). ევროპული სასამართლოს განმარტებით, „სასამართლოს არ შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, რომ რუსეთში არსებული ზოგადი მდგომარეობა იმდენად სერიოზულია რომ ... პირის გადაცემა თავისთავად წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას“ (იხ. Zarmaev v Belgium, ECtHR, no 35/10, 27/02/2014).

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედე-

რაციაში შესაძლო დევნისა და უფლებების დარღვევის რისკები, საქართველოს გენერალური პროკურატურის პარალელურად, შეისწავლა შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომელიც საერთაშორისო დაცვის მინიჭების შესახებ ნ. ო-ს მოთხოვნას განიხილავდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ნ. ო-ს უარი ეთქვა საქართველოში საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე. აღნიშნული სამინისტროს მიერ ვერ იქნა დადგენილი რეალური საფრთხის არსებობა ნ. ო-ს ექსტრადიციის შემთხვევაში მისი რაიმე ნიშნით დევნასთან ან/და უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. მსგავსი საფრთხეების არსებობა ვერ იქნა დადგენილი ვერც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ.

17. გარდა აღნიშნულისა, თავის მხრივ, საქართველოს პროკურატურამ ნ. ო-ს შესახებ ინფორმაცია მოიძია ინტერნეტის ყველაზე მოხმარებად საძიებო სისტემებში (google.com, bing.com, yahoo.com, yandex.ru). ნ. ო-ს მიმართ დევნის მანიშნებელი არანაირი ინფორმაცია არ იძებნება ინტერნეტის ღია წყაროებში. ინტერნეტის ღია წყაროებში ინფორმაციის მოძიება ერთ-ერთი მზარდად გამოყენებადი მეთოდია პირის მიმართ უცხო სახელმწიფოში დევნის დასადასტურებლად.

18. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსტრადიციის შუამდგომლობაში ... ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს წარმოუდგინა გარანტია, რომ „ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავს მიზნად ნ. ო-ს პოლიტიკური მოტივით დევნას მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით“ და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში „ნ. ო. არ დაექვემდებარება წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას. იგი უზრუნველყოფილი იქნება დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობით (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლები)“.

19. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი გარანტია, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, გაცემულია კომპეტენტური ორგანოს მიერ, დაკავშირებულია საპროკურორო ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან და მათთვის სავალდებულო ხასიათი აქვს. წარმოდგენილი გარანტიები არ არის ზოგადი და ბუნდოვანი (იხ. Klein v. Russia, ECtHR, no24268/08, §55;

Chahal v. The United Kingdom, ECtHR, no22414/93, §105), ატარებს კონკრეტულ ხასიათს, პირდაპირ ეხება კასატორის კონვენციური უფლებების დაცვას. გარანტიები მოიცავს სიცოცხლის და წამებისგან დაცვის, ადვოკატის ხელმისაწვდომობის, დაცვის უფლების პატივისცემის (იხ. T.K. and S.R. v. Russia,ECtHR, no28492/15, 49975/15, 19/11/2019, §102, 103; Othman (Abu Qatada) v UK, ECtHR, no8139/09, 17/01/2012, §194) და სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებებს.

20. ევროპული სასამართლოს თანახმად, „ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობა არ გამორიცხავს მისგან გარანტიების მიღებას (იხ. Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom, no. 8139/09, § 194, 188, 17/01/2012) და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მიუთითებს, რომ აღნიშნულ გარანტიებს არანაირი წონა არ შეიძლება მიენიჭოთ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აფასებს გაცემული გარანტიების ხარისხს – რამდენად არის მიღებული გარანტიები საკმარისი, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასათანადო მოპყრობის საფრთხე (იხ. Saadi v. Italy [GC], no. 37201/06, § 148, ECHR 2008; Othman (Abu Qatada) v UK, ECtHR, no.8139/09, 17/01/2012, §186; T.K. and S.R. v. Russia, no. 28492/15, 49975/15, 19/11/, 2019, § 99).

21. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ევროპული სასამართლო „განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობს კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი აქვს ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (Zarmayev v Belgium, ECtHR, no 35/10, 27/02/2014, §113; Gasayev v Spain, ECtHR, no 48514/06, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v Slovakia, ECtHR, no 21022/08; 51946/08, 14/09/2010) და ექვემდებარება საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით.

22. „სასამართლო არ ივიწყებს არც ექსტრადიციის ფუნდამენტური მიზნის მნიშვნელობას, რაც გულისხმობს გაქცეული დამნაშავეების მიერ მართლმსაჯულებისგან თავის არიდების პრევენციას და არც სასიკეთო მიზანს ყველა სახელმწიფოსთვის, როდესაც დანაშაული უფრო დიდ საერთაშორისო დონეზე გადადის“ (Trabelsi v Belgium, ECtHR, no140/10, 04/09/2014, § 11; Soering v UK, ECtHR, 07/07/1989, §86).

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის

სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 15 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი ნ. ო-ს ...-ის ფედერაციაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც აღწერილია .... ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს ...სა და ...ის ოლქში საგამოძიებო ნაწილის 2017 წლის 3 ნოემბრის ბრალდების შესახებ დადგენილებაში და დასჯადია ... ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის მე-4 ნაწილით (თაღლითობა, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით) – კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ნ. ო-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ქ-სა და დ. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 15 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება
საქართველოს სახელი

№53[1]-20 28 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ი. თ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 15 დეკემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ი. თ-ის მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში განხორციელებული სისხლისსამართლებრივი პროცედურები:

2012 წლის 18 ივნისს თურქეთის რესპუბლიკის ერზურუმის საქალაქო მე-2 მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენით ი. თ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №5237 კოდექსის 220-ე მუხლის პირველი ნაწილით (დანაშაულის ჩადენის მიზნით დაჯგუფების შექმნა და ხელმძღვანელობა) და ამავე კოდექსის 227-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით (პროსტიტუციის ხელშეწყობა, ჩადენილი ჯგუფურად) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად დანაშაულის თითოეული შემთხვევისათვის განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 4 თვის და 3 წლის და 9 თვის ვადით (10-ჯერ; 10 დაზარალებულის მიმართ). სასჯელთა შეკრების შედეგად, ი. თ-ს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 33 წლის და 94 თვის ვადით.

2013 წლის 8 მაისს თურქეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მე-14 სამმართველოს გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულმა განაჩენმა საბოლოო სახე მიიღო.

2013 წლის 19 ივლისს თურქეთის რესპუბლიკის ერზურუმის რესპუბლიკურმა მთავარმა პროკურატურამ გამოსცა ი. თ-ის დაკავების შესახებ ბრძანება.

2014 წლის 12 მაისს ი. თ-ის მიმართ გამოცხადდა ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

2. ი. თ-ის მიმართ ...-ში განხორციელებული საექსტრადიციო პროცედურები:

2014 წლის 20 მაისს ი. თ-ი, ექსტრადიციის მიზნით, დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა.

2014 წლის 22 მაისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებით ი. თ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

2014 წლის 11 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი ი. თ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2014 წლის 22 მაისის განჩინების შეცვლის თაობაზე.

2014 წლის 20 ივნისს საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიღებულ იქნა ი. თ-ის ექსტრადიციის თაობაზე თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობა და შესაბამისი დანართი მასალა.

2014 წლის 19 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ი. თ-ის მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა 3 თვის ვადით 6 თვემდე – 2014 წლის 20 ნოემბრამდე.

2014 წლის 19 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ი. თ-ის მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა 3 თვით 9 თვემდე – 2015 წლის 20 თებერვლამდე.

2015 წლის 6 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ი. თ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა შეცვლილ იქნა გირაოთი 5000 ლარის ოდენობით და იგი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

3. ფაქტობრივი გარემოებები:

თურქეთის რესპუბლიკიდან მოწოდებული მასალების თანახმად, ექსტრადიციის ქვემდებარე დანაშაულთა ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობს შემდეგში: ი. თ-მა დააარსა და ხელმძღვანელობდა დანაშაულებრივ დაჯგუფებას, რომელიც ...-ის რესპუბლიკის ქ. ...ში 2008 წლის ნოემბრიდან 2009 წლის ივლისამდე დროის მონაკვეთში ორგანიზებას უწევდა ...ის რესპუბლიკაში უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეების პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით ჩაყვანას, მათთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევასა და ი. თ-ის კუთვნილ სასტუმრო „...“-ში მიყვანას. სასტუმროში განთავსების შემდეგ, მი-

თითებულ პირებს ეკრძალებოდათ სასტუმროდან გასვლა და მისი ტერიტორიის დატოვების ნებართვა ეძლეოდათ მხოლოდ პროსტიტუციის განხორციელების მიზნით. ამდენად, დროის მითითებულ პერიოდში, ი. თ-მა, ნ. ქ-მა, ჯ. ქ-მა და დანაშაულებრივი დაჯგუფის სხვა წევრებმა ორგანიზება გაუწიეს ათ დაზარალებულს დაკავებულიყვნენ პროსტიტუციით, ხოლო პროსტიტუციიდან მიღებული შემოსავლიდან კი იღებდნენ გარკვეული ოდენობის თანხებს. ამასთანავე, დროის მითითებულ პერიოდში, ი. თ-ი უზრუნველყოფდა ზემოხსენებული პირებისათვის კლიენტთა მოძიებას და საერთო კოორდინაციას უწევდა პროსტიტუციის საქმიანობას.

4. 2020 წლის 11 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა დემეტრე ჯინჯოლიამ დაითხოვა ი. თ-ის ...-ის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობა მოცემული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც აღწერილია ...ის რესპუბლიკიდან მოწოდებულ მასალებში.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორის დემეტრე ჯინჯოლიას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დასაშვებად იქნა ცნობილი ი. თ-ის ...-ის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით, ...ის რესპუბლიკის ერზურუმის საქალაქო მე-2 მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2012 წლის 18 ივნისის განაჩენში აღწერილი ქმედებებისათვის, რომლებიც დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №5237 კოდექსის 220-ე მუხლის პირველი ნაწილით (დანაშაულის ჩადენის მიზნით დაჯგუფების შექმნა და ხელმძღვანელობა) და ამავე კოდექსის 227-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით (პროსტიტუციის ხელშეწყობა, ჩადენილი ჯგუფურად).

6. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ი. თ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 15 დეკემბრის განჩინების გაუქმებას და ი. თ-ის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვისა და ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპები, ხანდაზმულობის ვადა, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

3. თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ი. თ-ი საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2014 წლის 20 მაისს. წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ, როგორც დაკავებისას, ისე საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში, მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები არ დარღვეულა.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული მონაცემებით დასტურდება, რომ ი. თ-ი არ ითვლება ...ს მოქალაქედ. ამასთან, ხსენებული პიროვნება არ ითვლება აგრეთვე ...ში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირად, ვინაიდან ი. თ-ი არის ...-ის რესპუბლიკის მოქალაქე.

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით ი. თ-ს უარი ეთქვა ...-ში ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე. 2017 წლის 11 დეკემბერს ი. თ-მა განმეორებით მიმართა აღნიშნულ სამინისტროს საერთაშორისო დაცვაზე, მაგრამ 2017 წლის 15 დეკემბერს მას უარი ეთქვა საქმის ხელახლა განხილვაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მან გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. 2018 წლის 13 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის გადაწყვეტილებით,

ი. თ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოცემული გადაწყვეტილება მან გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. 2020 წლის 18 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის განჩინებით ი. თ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით, ი. თ-ი აღარ ითვლება თავშესაფრის მაძიებლად, შესაბამისად, არ არსებობს ზემომითითებული ნორმებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოება.

6. ადვოკატის მტკიცებით, ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობს ი. თ-ის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე.

7. ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ განცხადება არ არის საკმარისი. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (იხ. Mamatkulov and Askarov v. Turkey, no46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005, K. v. Russia, no 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013), რომლებიც ადასტურებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (იხ. Shamayev and Others v. Georgia and Russia, no36378/02, §352, ECtHR, 12/04/2005). მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარემ ზოგადად მიუთითა თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის საფრთხის თაობაზე.

8. პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით დადგენილი უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს, ... როდესაც არსებობს არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება ან/და იგი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან დევნას. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (K v Russia, ECtHR, no 69235/11, § 66, 23/05/2011). ასევე, ზოგადად, ქვეყანაში არსებული ძალადობრივი მდგომარეობა თავისთავად არ არღვევს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებს პირის ამ ქვეყანაში ექსტრადიციის შემთხვევაში (იხ. H.L.R. v. France, § 41,

ECtHR, 29/04/1997), გამონაკლისია „განსაკუთრებით უკიდურესი შემთხვევები“ (T.K. and S.R. v. Russia, no28492/15 da 49975/15, §79, 19/11/2019; იხ. Sufi and Elmi v. the United Kingdom, no. 8319/07, 11449/07, §§216, 218, 28/06/2011).

9. დაცვის მხარის განცხადებით, თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ი. თ-ი შესაძლებელია გახდეს დევნის მსხვერპლი და მისი შვილების მხრიდან მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას დაემუქროს საფრთხე, ვინაიდან საქართველოში მან შეიცვალა სარწმუნოება და გახდა ქრისტიანი. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად დაცვის მხარემ წარმოადგინა 2020 წლის 18 ივნისით დათარიღებული დოკუმენტი, რომელიც, მისი მტკიცებით, წარმოადგენს ...ის რესპუბლიკის სოფელ ...-ის (ი. თ-ის განმარტებით ადგილი, სადაც მუდმივად ცხოვრობენ მისი შვილები) გამგებლის მიერ გაცემულ ცნობას, რომელშიც მითითებულია, რომ ი. თ-ის თურქეთის რესპუბლიკაში დაბრუნება არის საფრთხის შემცველი და შვილები მას მოკლავენ.

10. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულ დოკუმენტს მტკიცებითი ხარისხი ან საერთოდ არ აქვს ან იმდენად დაბალია, რომ არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. კერძოდ, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ არ არის ცნობილი აღნიშნული დოკუმენტის წარმომავლობა, არ არის წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტის გამცემი პირის პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის ასლი მისი ვინაობის გადასამოწმებლად, არ დასტურდება ხელმომწერი პირის მიერ ცნობაში მითითებული პოზიციის დაკავება (შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო); დოკუმენტი ეყრდნობა არა ფაქტებს, არამედ ვარაუდებს ან/და შეფასებებს კონკრეტულ ფაქტებზე მითითების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მოკლებულია დოკუმენტში მითითებული ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობას.

11. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2020 წლის 20 ნოემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს გენერალურ პროკურატურას წარმოუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციის შემთხვევაში, ...-ის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ იქნება ყველა საჭირო ზომა ი. თ-ის სიცოცხლის დაცვის მიზნით და იგი არ დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

12. ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულებების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-

თლოს მიერ (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188).

13. ი. თ-ის მიერ ჩადენილი ქმედებები დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №5237 კოდექსის 220-ე მუხლის პირველი ნაწილით (დანაშაულის ჩადენის მიზნით დაჯგუფების შექმნა და ხელმძღვანელობა), რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას და ამავე კოდექსის 227-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით (პროსტიტუციის ხელშეწყობა, ჩადენილი ჯგუფურად), რაც სასჯელის სახედ და ზომად ასევე ითვალისწინებს 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას. ამასთან, დანაშაულის თითოეული შემთხვევისათვის ი. თ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 4 თვის და 3 წლის და 9 თვის ვადით (10-ჯერ; 10 დაზარალებულის მიმართ).

14. ი. თ-ის ქმედება, ჩადენილი საქართველოს იურისდიქციაში, დაკვალიფიცირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ ორგანიზებული ჯგუფის მიერ), რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 20 წლამდე ვადით, ან სულ მცირე, 254-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (პროსტიტუციის ხელშეწყობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6 წლამდე ვადით.

15. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის 143[1]-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული შეესაბამება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ხოლო 254-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მიხედვით, მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა ათ წელში მძიმე დანაშაულისათვის და თხუთმეტ წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებიდან. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. ...ის რესპუბლიკაში ი. თ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი მიღებულ იქნა 2012 წლის 18 ივნისს, ხოლო 2013 წლის 19 ივლისს თურქეთის რესპუბლიკის ერზურუმის რესპუბლიკურმა მთავარმა პროკურატურამ გამოსცა ი. თ-ის დაკავების შესახებ ბრძანება. შესაბამისად, მოცე-

მულ განაჩენთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის, იმისდა მიუხედავად თუ რომელი შემოთავაზებული ალტერნატივით განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დასჯადობა. ამასთან, ...ის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ი. თ-ის მიმართ გამოტანილი განაჩენით დადგენილი სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება 24 წლის ვადით და იგი გასული არ არის.

16. ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა – ი. თ-მა პროკურორთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ...-ში ცხოვრობს მისი პარტნიორი ა.მ. (....), რომელიც არის ...ს მოქალაქე. მისივე განმარტებით, მათ არ ჰყავთ შვილი და არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, პარტნიორს აქვს ...-ის რესპუბლიკაში ცხოვრების გამოცდილება, სადაც ცხოვრობდა 2008-2011 წლებში. გარდა ამისა, ი. თ-ის მითითებით, ა.მ. წარსულში იმყოფებოდა ქორწინებაში და ჰყავს ორი სრულწლოვანი შვილი. ი. თ-მა ასევე აღნიშნა, რომ ....ის რესპუბლიკაში ცხოვრობენ მისი მეუღლე, რომელთანაც .... წლიდან იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში და ხუთი შვილი.

17. იმის გათვალისწინებით, რომ ...-ის რესპუბლიკა არის ...ს მოსაზღვრე სახელმწიფო და ორ ქვეყანას შორის მოქმედებს უვიზო რეჟიმი, ი. თ-ის პარტნიორს შესაძლებლობა ექნება ბიუროკრატიული და შორი მგზავრობით გამოწვეული დაბრკოლებების გარეშე იმოგზაუროს ...-ის რესპუბლიკაში ი. თ-ის მოსანახულებლად. უფრო მეტიც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ა. მ-მ ...სა და ....ის რესპუბლიკის საზღვარი 4-ჯერ გადაკვეთა, რაც კიდევ უფრო ამყარებს რწმენას, რომ მას ...ის რესპუბლიკაში მოგზაურობისათვის დაბრკოლებები არ ექმნება.

18. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ი. თ-ის ...ის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვას, ეს შეზღუდვა თანაზომიერია (პროპორციულია) დასახული ლეგიტიმური მიზნისა. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები იმ დანაშაულთა ხასიათი, რომელთა ჩადენაშიც ი. თ-ი მსჯავრდებულია ....ის რესპუბლიკაში, მან სასჯელის მოხდას თავი აარიდა და შესაბამისად, მის მიმართ არსებობს სასჯელის აღსრულების ლეგიტიმური ინტერესი. მოცემულ პირობებში და აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ

...-ის რესპუბლიკაში ცხოვრობენ მისი ოჯახის სხვა წევრები, ი. თ-ის ექსტრადიცია ...-ის რესპუბლიკაში სრულ შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით ...ს მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან.

19. ამდენად, არ არსებობს არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ ...-ის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ი-ს მიმართ დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-8 მუხლები.

20. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 15 დეკემბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი ი. თ-ის ....-ის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით, ...-ის რესპუბლიკის ერზურუმის საქალაქო მე-2 მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2012 წლის 18 ივნისის განაჩენში აღწერილი ქმედებებისათვის, რომლებიც დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №5237 კოდექსის 220-ე მუხლის პირველი ნაწილით (დანაშაულის ჩადენის მიზნით დაჯგუფების შექმნა და ხელმძღვანელობა) და ამავე კოდექსის 227-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით (პროსტიტუციის ხელშეწყობა, ჩადენილი ჯგუფურად), კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ი. თ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 15 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება
საქართველოს სახელით

№54ი-20 29 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ი. პ./ფ-ს (I. P.) ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 17 დეკემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ი. პ-ს მიმართ მ-ს რესპუბლიკაში განხორციელებული სისხლისსამართლებრივი პროცედურები:

ი. პ-ს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ 2017 წლის 17 იანვრის დადგენილების თანახმად, ბრალად ედება მ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ადამიანებით ვაჭრობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

ი. პ-ს მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედების ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის განმავლობაში ი. პ-მ, თავის დედასთან – ზ. პ-სა და გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად განიზრახა გ. გ-ს კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია და შრომის ან/და მომსახურების გაწევის იძულება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ი. პ-მ ისარგებლა გ. გ-ს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და მოტყუების გზით, ქორწინების დაპირებით, მ-ს რესპუბლიკიდან გადაიყვანა ა-ს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

აღნიშნულის შემდეგ ი. პ-მ ზ. პ-სა და გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად, გ. გ. განათავსეს ნაქირავებ ბინაში და ისარგებლეს მისი მოწყვლადი მდგომარეობით, რაც გამოიხატებოდა უც-

ხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნაში, ენის ცოდნისა და საარსებო სახსრების გარეშე. აღნიშნულმა პირებმა განახორციელეს გ. გ-ს კომერციული სექსუალური და იძულებითი შრომითი ექსპლუატაცია, კერძოდ: დღის განმავლობაში გ. გ. ეწეოდა მძიმე ფიზიკურ შრომას, შემდგომი ვაჭრობის მიზნით, ზიდავდა მძიმე ტვირთს, აგრეთვე, უვლიდა ზ. პ-ს შვილიშვილებს, ხოლო ღამის საათებში მაკიაჟით ეწეოდნენ მის სექსუალურ ექსპლუატაციას.

ი. პ-სა და მისი თანამონაწილეების ზემოაღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებებს 2016 წლის 16 თებერვალს მოჰყვა გ. გ-ს სიცოცხლის მოსპობა, კერძოდ: მან მიიღო სიცოცხლესთან შეუსაბამო დაზიანებები სიმაღლიდან ვარდნის შედეგად. ჩატარებული ექსპერტიზის თანახმად, გ. გ-ს სხვა დაზიანებებთან ერთად აღენიშნებოდა სისხლდენა მცირე სასირცხო ბაგეების გაგლეჯით მარცხნივ, რაც განვითარებული იყო სიკვდილამდე 12-24 საათით ადრე და გამოწვეული იყო საშოში მყარი ბლაგვი საგნის შეყვანის შედეგად, რაც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სქესობრივი აქტი.

2017 წლის 20 იანვარს მ-ს რესპუბლიკის ქ. კ-ს ჩ-ს სასამართლოს განჩინებით ი. პ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

იმავე დღეს მ-ს რესპუბლიკის ქ. კ-ს ჩ-ს სასამართლომ გამოსცა ი. პ-ს დაკავების ბრძანება.

2017 წლის 6 თებერვალს მ-ს რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოაცხადეს ი. პ-ს მიმართ ძებნა.

2017 წლის 21 მარტიდან ი. პ. მ-ს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნება ინტერპოლის არხებით.

2. ი. პ-ს მიმართ საქართველოში განხორციელებული საექსტრადიციო პროცედურები:

2017 წლის 10 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს მ-ს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ი. პ..

2017 წლის 12 მაისს მცხეთის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ი. პ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

2017 წლის 7 ივნისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო ი. პ-ს ექსტრადიციის თაობაზე მ-ს რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა და თანდართული დოკუმენტები.

2017 წლის 2 აგვისტოსა და 7 ნოემბერს საქართველოს მთავარ-

მა პროკურატურამ მ-ს რესპუბლიკის გენერალური პროკურატურიდან გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია ი. პ-ს მ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან მიმართებით, რომელიც მიიღო – 2017 წლის 5 სექტემბერს, 4 დეკემბერსა და 10 იანვარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 9 აგვისტოს განჩინებით ი. პ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 6 თვემდე – 2017 წლის 10 ნოემბრამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 9 ნოემბერის განჩინებით ი. პ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 9 თვემდე – 2018 წლის 10 თებერვლამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 11 იანვარის განჩინებით ი. პ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა შეიცვალა გირაოთი – 10 000 ლარით. იმავე განჩინებით ი. პ-ს დაეკისრა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლით გათვალისწინებული დამატებითი აკრძალვა და ვალდებულებები.

3. 2020 წლის 11 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა ნანიკო ზაზუნაშვილმა და მოითხოვა მ-ს რესპუბლიკაში ი. პ-ს ექსტრადიციის დასაშვებად ცნობა, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც მითითებულია ი. პ-ს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე 2017 წლის 17 იანვრის დადგენილებაში და დასჯადია მ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ადამიანებით ვაჭრობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში).

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 17 დეკემბრის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ნანიკო ზაზუნაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. დასაშვებად იქნა ცნობილი ი. პ-ს მ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებე-

ბისათვის, რომლებიც მითითებულია ი. პ-ს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე 2017 წლის 17 იანვრის დადგენილებაში და დასჯადია მ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ადამიანებით ვაჭრობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში).

5. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ი. პ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ბ. საკასაციო საჩივრით ითხოვს, რომ გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 17 დეკემბრის განჩინება და არ დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარის მოთხოვნა, შემდეგი საფუძვლებით:

6. დაცვის მხარემ საქართველოს გენერალურ პროკურატურას წარუდგინა არაერთი უტყუარი მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ ი. პ-ს მიმართ წაყენებულია უკანონო და აბსურდული ბრალდება, რომლის მიზანია მისი გადაცემა მ-ს სახელმწიფოსათვის, სადაც იგი დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობას, არაა გამორიცხული მისი ლიკვიდაციაც; აწ გარდაცვლილ გ. გ-ს ოჯახის წევრებისგან ი. პ-ს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება რეალური საფრთხე, ამასთან, სამართალდამცავი ორგანოები არიან მიკერძოებულნი მათ სასარგებლოდ, რასაც ადასტურებს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ფოტო და ვიდეომასალები, კერძოდ: მითითებული მასალებით დგინდება, რომ გარდაცვლილ გ. გ-ს ოჯახის რამდენიმე ათეული წევრი თავს დაესხა პ-ს საცხოვრებელ სახლს, რომელიც დაარბიეს და ცეცხლი წაუკიდეს. აღნიშნული თავდასხმის ფაქტი კი მ-ს რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა ჯერ ვერ აღკვეთეს, ხოლო შემდეგ – არაეფექტურად და მიკერძოებულად გამოიძიეს და ბოლოს შეწყვიტეს სისხლისსამართლებრივი დევნა; ამასთან, დაცვის მხარე არასაკმარისად მიიჩნევს მ-ს რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილ გარანტიას.

7. საკასაციო სასამართლომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ი. პ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-ს საკასაციო საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე მხარეებს მისცა შესაძლებლობა, დამატებით წარმოედგინათ მათ ხელთ არსებული რაიმე სახის მტკიცებულება, ინფორმაცია თუ შუამდგომლობა.

8. ბრალდების მხარემ წარმოადგინა თავისი პოზიცია დაცვის მხარის საკასაციო საჩივართან მიმართებით, ხოლო დაცვის მხარეს რაიმე მასალა თუ შუამდგომლობა არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, შეაფასა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვის, ორმაგი დასჯის აკრძალვისა და ხანდაზმულობის პრინციპები, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

3. მ-ს რესპუბლიკაში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ი. პ. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2017 წლის 10 მაისს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

4. დაცვის მხარის მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ ი. პ-ს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია და მას წაყენებული აქვს უკანონო და აბსურდული ბრალდება, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ი. პ-ს ბრალეულობის საფუძვლიანობის საკითხს არ განიხილავს, არამედ – პალატა მსჯელობს მხოლოდ იმის თაობაზე, ხომ არ არსებობს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი რომელიმე გარემოება. ამასთან, წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, არ იკვეთება, რომ საქმეში არის „აშკარა“ და უხეში პროცედურული დარღვევები, რაც საქართველოს მხარეს მისცემდა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დაირღვა ან არსებობს სამართლიანი სასამართლოს უფლების ამგვარი დარღვევის საფრთხე.

5. კასატორის მითითებას, რომ არსებობს აწ გარდაცვლილ გ. გ-ს ოჯახიდან მომდინარე ი. პ-ს მიმართ წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სიცოცხლის მოსპობის საფრთხე, რისი აღკვეთაც მ-ს რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს არ შეუძლიათ მათი მიკერძოებულობისა და არაეფექტურობის გამო და რომ მ-ს რეს-

პუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტია ი. პ-ს ცალკეულ უფლებათა დაცვის შესახებ არასარწმუნოა, საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, დაუშვებელია პირის ექსტრადიცია, თუ არსებობს არსებითი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან/და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება რეალური საფრთხე. ამასთან, კასატორმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არსებობს მისი უფლებების შელახვის რისკი. ევროპულმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ განზოგადებული ხასიათის ცნობები, სხვა სპეციფიკური სამხილის გარეშე, არ წარმოადგენს საკმარის გარემოებას. უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (Shamayev and Others v. Georgia and Russia) ECtHR, №36378/02, 12/04/2005, §352); („მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) ECtHR, №46827/99, 46951/99, 04/02/2005, §70).

7. წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, დაცვის მხარის მითითებული პოზიციიდან გამომდინარე, მ-ს რესპუბლიკის გენერალური პროკურატურიდან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია ი. პ-სა და მისი ნათესავების ქონების დაზიანებასთან დაკავშირებით და გარანტიები მ-ს რესპუბლიკაში ი. პ-ს უსაფრთხოების შესახებ. მ-ს რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებიდან წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტებით დგინდება, რომ ი. პ-სა და მისი ნათესავების კუთვნილი ქონების (საცხოვრებელ სახლი) დაზიანების ფაქტი გამოიძიეს მ-ს კომპეტენტურმა ორგანოებმა, რის შედეგადაც ი. პ-ს ქონების ხელმყოფებს დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ არ არსებობდა დაზარალებულის საჩივარი, რაც მ-ს რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნულ ქმედებებთან დაკავშირებით სავალდებულო იყო. მითითებულით კი დასტურდება, რომ მ-ს რესპუბლიკის შესაბამისმა ორგანოებმა სამართალდამრღვევი პირების მიმართ მიიღეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაძლო ღონისძიება ი. პ-ს უფლებების დასაცავად. ამასთან, მ-ს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ განმეორებით წარმოადგინა გარანტია, რომ ი. პ-ს ექსტრადიციის შემთხვევაში მ-ს

რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები გაატარებენ ყველა შესაძლო ღონისძიებას მისი სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ცალკეული უფლებების დაცვის მიზნით, მათ შორის – მესამე პირებთან მიმართებით.

8. გარდა ამისა, მ-ს რესპუბლიკის კომპეტენტურმა ორგანოებმა ასევე წარმოადგინეს გარანტიები, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ი. პ. „არ დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მესამე მუხლი...)“. ამასთან, იგი ისარგებლებს დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით.

9. რაც შეეხება მ-ს რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიების სარწმუნოობის საკითხს, რასაც დაცვის მხარე საეჭვოდ მიიჩნევს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულებების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188). სასამართლოს განმარტებით, მსგავსი გარანტიები უნდა იყოს სარწმუნო შესაბამისი გარემოებების მხედველობაში მიღებით (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188; Sultanov v. Russia, no. 15303/09, ECHR, 73).

10. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას, რომ მოცემულ საქმეში მ-ს რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიები სარწმუნოა, რაზეც მეტყველებს ის გარემოებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ცალკეულ საქმეებზე მსგავსი გარანტიების სარწმუნოობის სათანადო ინდიკატორებად იქნა მიჩნეული:

– გარანტიები საჯაროა ან/და ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოებისთვის (Ryabikin v. Russia, no. 8320/04, ECHR, 119, Muminov v. Russia, no. 42502/06, ECHR, 97);

– გარანტიები არის საკმარისად კონკრეტული და არა – ზოგადი და ბუნდოვანი (Klein v. Russia, no. 24268/08, ECHR, 55);

– გარანტიები გაცემულია სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიერ (Chahal v. The United Kingdom, no 22414/93, ECHR 105-107; Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, ECHR, 344; Kordian v. Turkey , no. 6575/06, Decision, ECHR);

– გარანტიები გაცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონ-

ვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR); Gasayev v. Spain, App no. 48514/06, Decision, ECHR);

– ქმედებები, რომელთა არგამოყენების გარანტიას იძლევა ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო, უკანონოდ ითვლება ამ ქვეყანაში (Cipriani v. Italy, no. 221142/07, Decision, ECHR; Youb Saoudi v. Spain, no. 22871/06, Decision, ECHR);

– ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო არასათანადო მოპყრობისგან დაცვის საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების წევრია და აღნიშნულ მექანიზმებთან სათანადოდ თანამშრომლობს (Koktysh v. Ukraine, no. 43707/07, ECHR, 63).

11. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ მ-ს რესპუბლიკა არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფო.

12. მ-ს რესპუბლიკა ასევე არის ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა. აღნიშნული ორგანიზაცია კარგად გამართული და ეფექტური სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და ინსტიტუციების მეშვეობით თავის წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების დაცვას მაღალი სტანდარტებით უზრუნველყოფს. ამდენად, მ-ს რესპუბლიკის იურისდიქციაში არსებული პირები სარგებლობენ ადამიანის უფლებათა მონიტორინგის, ინდივიდუალური საჩივრისა და ორგანიზაციის ფარგლებში შექმნილი ადამიანის უფლებების დაცვის სხვა, მრავალი ეფექტური მექანიზმით, რომელთა შორისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი და ა.შ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული შესაბამისი ევროპული მექანიზმების გამო (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, App no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR).

13. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ-ს რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიები სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებს და არ არსებობს არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ მ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ი. პ-ს მიმართ დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლები.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღიარებს საქართველოს კანონმდებლობითა და სა-

ერთაშორისოსამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 17 დეკემბრის განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ი. პ./ფ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 17 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge